

ISSN - 0321-1665

საქართველოს  
ნაციონალური  
აკადემიის

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შტაბი  
Известия Национальной Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

784 -8

2011

**BIOMEDICAL SERIES**

**ბიომედიცინის სერია**

**БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ**

*იანვარი - აპრილი*

*Январь - Апрель*

*January - April*

**2011 № 1-2 37**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
Известия Национальной Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

**BIOMEDICAL SERIES**  
**ბიომედიცინის სერია**  
**БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ**

**2011 № 1-2**

**ტომი**  
**TOM**  
**VOL.**

**37**

ჟურნალი დაარსებულია 1975 წელს  
Журнал основан в 1975 году  
Founded in 1975

თბილისი Тбилиси Tbilisi  
2011



## სარედაქციო კოლეგია

**ვაჟა ოკუჯავა** (მთავარი რედაქტორი)  
**გურამ ბექია** (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
**ნოდარ მითაგვარია** (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
**არკადი სურმავა** (სწ. მდივანი)

**ჯემს ბიჩერი (აშშ)**  
**ფრიდონ თოდუა**  
**მერაბ კოკია (შვედეთი)**  
**ილია ლაზრიშვილი**  
**დავით მიქელაძე**  
**კიაზო ნადარეიშვილი**

**თენგიზ ონიანი**  
**ზურაბ ქომეთიანი**  
**რომან შაქარიშვილი**  
**სიმონ ხეჩინაშვილი**  
**ნინო ჯავახიშვილი**

## სარედაქციო საბჭო

**რევაზ ადამია**  
**ტელმან აგაევი (აზერბაიჯანი)**  
**ივა ბერაძე**  
**რევაზ გაგუა**  
**აფიკ გაზიევი (აზერბაიჯანი)**  
**ნიკოლოზ გონგაძე**  
**ივანე დემინკო (აშშ)**  
**ზურაბ ვადაჭკორია**  
**დმიტრო ვასილენკო (უკრაინა)**  
**ოთარ თოიძე**  
**არჩილ კეზელი**  
**ირინე კვაჭაძე**  
**ბორის კორსანტია**  
**დემიტრი კორძია**  
**პლატონ კოსტიუკი (უკრაინა)**

**ფელიქს მაკაროვი (რუსეთი)**  
**ლავრენტი მანაგაძე**  
**ლევონ მანველიანი (სომხეთი)**  
**დავით მეტრეველი**  
**ბაადურ მოსიძე**  
**ეკატერინე პატარაია (ავსტრია)**  
**ალექსანდრე სკრუბიციკი (რუსეთი)**  
**ზურაბ ქევანიშვილი**  
**ალექსანდრე ქორელი**  
**ალექსანდრე ცისკარიძე**  
**დემიტრი წვერავა**  
**ნინო წაქაძე (აშშ)**  
**ბეჟან წინამძღვრიშვილი**  
**არჩილ ხომასურაძე**

კორექტორი: დ. სოხაძე      კომპიუტერული დიზაინი და დაკაპდონება: ა. სურმავა

გამოცემულია არასამთავრობო ორგანიზაცია “ბიომედის” მიერ, 2011  
 თბილისი, 0160, ლ. გოთუას 14

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

<b>В. Окуджавა</b>	(гл. редактор)
<i>Г. Бекая</i>	(зам. гл. редактора)
<i>М. Митагвария</i>	(зам. гл. редактора)
<i>А. Сурмава</i>	(уч. секретарь)
<i>Дж.И. Бичер (США)</i>	<b>К. Надарейшвили</b>
<i>Н. Джавахишвили</i>	<i>Т. Опяни</i>
<i>М. Кокая (Швеция)</i>	<i>П. Тодуа</i>
<i>З. Кометиани</i>	<b>С. Хечинашвили</b>
<i>И. Лазришвили</i>	<i>Р. Шакаришвили</i>
<i>Д. Микеладзе</i>	

## РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

<i>Р. Адамия</i>	<b>П. Костюк (Украина)</b>
<i>Т. Агаев (Азербайджан)</i>	<i>Ф. Макаров (Россия)</i>
<i>И. Берадзе</i>	<i>Л. Манагадзе</i>
<i>З. Вадачкория</i>	<i>Л. Манвелян (Армения)</i>
<i>Д. Василенко (Украина)</i>	<i>Д. Метревели</i>
<i>Р.О. Гагуа</i>	<i>Б. Мосидзе</i>
<i>А. Газиев (Азербайджан)</i>	<i>Е. Патарая (Австрия)</i>
<i>Н. Гонгадзе</i>	<i>А. Скребицкий (Россия)</i>
<i>И. Демченко (США)</i>	<i>О. Тоидзе</i>
<i>И. Квачадзе</i>	<i>А. Хомасуридзе</i>
<i>З. Кванишвили</i>	<i>Н. Цакадзе (США)</i>
<i>А. Кезели</i>	<i>Д. Цверавა</i>
<i>Д. Кордзая</i>	<i>Б. Цинамдзგვიшвили</i>
<b>А. Корели</b>	<i>А. Цискаридзе</i>
<i>Б. Корсаития</i>	

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано неправительственной организацией "Биомед", 2011

Тбилиси, 0160, ул. Л. Гогова, 14

## EDITORIAL BOARD

- |                           |                         |
|---------------------------|-------------------------|
| <b>V. Okujava</b>         | (Editor-in-Chief)       |
| <i>G. Bekaya</i>          | (Vice-Editor)           |
| <i>N. Mitagvaria</i>      | (Vice-Editor)           |
| <i>A. Surmava</i>         | (Scientific Secretary)  |
| <i>J.I. Bicher (USA)</i>  | <i>D. Mikeladze</i>     |
| <i>N. Javakhishvili</i>   | <b>K. Nadareishvili</b> |
| <b>S. Khechinashvili</b>  | <i>T. Oniani</i>        |
| <i>M. Kokaia (Sweden)</i> | <i>R. Shakarishvili</i> |
| <i>Z. Kometiani</i>       | <i>P. Todua</i>         |
| <i>I. Lazrishvili</i>     |                         |

## ADVISORY BOARD

- |                               |                                |
|-------------------------------|--------------------------------|
| <i>R. Adamia</i>              | <i>F. Makarov (Russia)</i>     |
| <i>T. Agaev (Azerbaijan)</i>  | <i>L. Managadze</i>            |
| <i>I. Beradze</i>             | <i>L. Manvelian (Armenia)</i>  |
| <i>I. Demchenko (USA)</i>     | <i>D. Metreveli</i>            |
| <i>R. Gagua</i>               | <i>B. Mosidze</i>              |
| <i>A. Gaziev (Azerbaijan)</i> | <i>E. Pataraiia (Austria)</i>  |
| <i>N. Gongadze</i>            | <i>A. Skrebitskiy (Russia)</i> |
| <i>Z. Kevanishvili</i>        | <i>O. Toidze</i>               |
| <i>A. Kezeli</i>              | <i>N. Tsakadze (USA)</i>       |
| <i>A. Khomasuridze</i>        | <i>A. Tsiskaridze</i>          |
| <i>D. Kordzaia</i>            | <i>B. Tsinamdzgvrishvili</i>   |
| <b>A. Koreli</b>              | <i>D. Tsverava</i>             |
| <i>B. Korsantia</i>           | <i>Z. Vadachkoria</i>          |
| <b>P. Kostiuik (Ukraine)</b>  | <i>D. Vasilenko (Ukraine)</i>  |
| <i>I. Kvachadze</i>           |                                |

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

**შინაარსი**

**СОДЕРЖАНИЕ**

**CONTENTS**

**ნეიროტრანსმიტერებისა და სინაპტოსომური**

**შაპტორის ბავლენა Ca,Mg-ATP-ზე და**

**Mg-ATP-ზე აქტიურობაზე**

ნ. არუთინოვა, ე. ნოზაძე, ზ. კომეთიანი

**ВЛИЯНИЕ НЕЙРОТРАНСМИТТЕРОВ**

**И СИНАПТОСОМАЛЬНОГО ФАКТОРА**

**НА АКТИВНОСТЬ Ca,Mg-АТРАЗЫ И Mg-АТРАЗЫ**

Н. Арутюнова, Е. Нозадзе, З. Кометиани

**THE EFFECT OF SOME NEUROTRANSMITTERS**

**AND SYNAPTOSOMAL FACTOR ON THE Ca,Mg-ATPASE**

**AND Mg-ATPASE ACTIVITY**

N. Arutinova, E. Nozadze, Z. Kometiani ..... 1

**მოფიზიოლოგიური გენერალიზებული**

**მცირე ეპილეფსიური გულყრების ბავლენის**

**პათოფიზიოლოგიური და პათოჰისტოლოგიური ასპექტები**

**მხედველობითი არასივრცითი ცნობის მახსიერებაზე**

თ. ბაგაშვილი, თ. ჯორბენაძე, გ. ანდრონიკაშვილი, თ. გურაშვილი,

ლ. ლეჟავა, ს. ძულიაშვილი

**ПАТОФИЗИОЛОГИЧЕСКИЕ И**

**ПАТОГИСТОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ВЛИЯНИЯ**

**ГЕНЕРАЛИЗОВАННЫХ МАЛЫХ ЭПИЛЕПТИЧЕСКИХ ПРИПАДКОВ**

**НА ЗРИТЕЛЬНУЮ НЕПРОСТРАНСТВЕННУЮ ПАМЯТЬ УЗНАВАНИЯ**

Т. Багашвили, Т. Джорбенадзе, Г. Андроникашвили, Т. Гурашвили, Л. Лежава,

С. Дзулиашвили

**PATHOPHYSIOLOGICAL AND PATHOHISTOLOGICAL ASPECTS OF**

**GENERALIZED PETIT MAL EPILEPTIC DISCHARGE INFLUENCE**

**ON VISUAL RECOGNITION MEMORY**

T. Bagashvili, T. Jorbenadze, G. Andronikashvili, T. Gurashvili, L. Lezhava,

S. Dzuliashevili ..... 5



**II**

**კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევების გამოვლენა და მართვა თვითშეფასების კითხვათაგანის და დღიურის გამოყენებით**

გ. ბერაძე, მ. შეროზია, ნ. ლურსმანაშვილი

**ВЫЯВЛЕНИЕ И УПРАВЛЕНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНЫХ НАРУШЕНИЙ ЖЕЛУДОЧНО-КИШЕЧНОГО ТРАКТА ПУТЕМ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ВОПРОСНИКА И ДНЕВНИКА САМООЦЕНКИ**

Г. Берадзе, М. Шерозия, Н. Лурсманашвили

**IDENTIFICATION AND MANAGEMENT OF FUNCTIONAL GASTROINTESTINAL DISORDERS USING SELF-APPRAISAL QUESTIONNAIRES AND DIARIES**

G. Beradze, M. Sherozia, N. Lursmanashvili..... 15

**აზოტის ოქსიდის შესაძლო როლი მიომეტრიუმის რელაქსაციაში (ლიტერატურის მიმოხილვა)**

თ.გ. ბეკაია, თ. გაიხარაშვილი, ლ. მაჭავარიანი, ო. სინაურიძე, მ. ფრუიძე, ხ. ხომასურიძე, კ. ხუციშვილი

**ВОЗМОЖНАЯ РОЛЬ ОКСИДА АЗОТА В РЕЛАКСАЦИИ МИОМЕТРИЯ**

Т.Г. Бекаия, Т. Гаикхарашвили, Л. Магавариани, О. Синауридзе, М. Пруидзе, Х. Хомасуридзе, К. Хуцишвили

**POSSIBLE ROLE OF NITRIC OXIDE IN THE RELAXATION OF THE MYOMETRIUM**

T.G. Bekaia, T. Gaikharashvili, L. Machavariani, O. Sinauridze, M. Pruidze, Kh. Khomasuridze, K. Khutsishvili ..... 25

**МИТОХОНДРИАЛЬНАЯ ПАТОЛОГИЯ И СИГНАЛЬНАЯ РОЛЬ МИТОХОНДРИЙ В КАРДИОПРОТЕКЦИИ**

Н. Гонгадзе, Т. Кезели, Г. Сукоян, Н. Дolidze, М. Чипашвили

**მიტოქონდრიული პათოლოგია**

**და მიტოქონდრიუმის სანბნალო როლი კარდიოპროტექციაში**

ნ. გონგაძე, თ. კეხელი, გ. სუკოიანი, ნ. დოლიძე, მ. ჭიპაშვილი

**MITOCHONDRIAL PATHOLOGY AND SIGNALING ROLE OF MITOCHONDRIA IN CARDIOPROTECTION**

N. Gongadze, T. Kezeli, G. Sukoyan, N. Dolidze, M. Chipashvili..... 33

**ACINETOBACTER BAUMANNII-ს კლინიკური შტამების მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და დახასიათება**

ე. თევდორაძე, ლ. ლეშკაშელი, თ. მესხი, ნ. სხირტლაძე, ნ. ბალარჯიშვილი, მ. კუტატელაძე

**ВЫДЕЛЕНИЕ И ХАРАКТЕРИСТИКА ЛИТИЧЕСКИХ БАКТЕРИОФАГОВ ПРОТИВ КЛИНИЧЕСКИХ ШТАММОВ ACINETOBACTER BAUMANNII**

Е. Тевдорадзе, Л. Лешкашели, Т. Месхи, Н. Схиртладзе, Н. Балардживили, М. Кутателадзе

**ISOLATION AND CHARACTERIZATION OF LYTIC BACTERIOPHAGES AGAINST ACINETOBACTER BAUMANNII**

E. Tevdoradze, L. Leshkasheli, T. Meskhi, N. Skhirtladze, N. Balarjishvili, M. Kutateladze ..... 45

**რბილი ქსოვილების რელიზის თავისებურებები მინჯ-გარკამის სახსრის ტოტალური ენდოპროთეზირების დროს**

მ. კაპანაძე, გ. ხუციშვილი, გ. ღვინჯილია, გ. არაბიძე

**ОСОБЕННОСТИ РЕЛИЗА МЯГКИХ ТКАНЕЙ ПРИ ТОТАЛЬНОМ ЭНДОПРОТЕЗИРОВАНИИ ТАЗОБЕДРЕННОГО СУСТАВА**

М. Капанაძე, Г. Хуцишвили, Г. Гвинджилия, Г. Арабидзе

**PECULIARITIES OF RELEASE OF SOFT TISSUES DURING TOTAL HIP REPLACEMENT**

М. Kapanadze, G. Khutsishvili, G. Gvinjilia, G. Arabidze..... 57

**ИЗМЕНЕНИЕ СОДЕРЖАНИЯ САХАРА В КРОВИ У РАЗНОВОЗРАСТНЫХ ЯПОНСКИХ ПЕРЕПЕЛОК, ВЫРАЩЕННЫХ В УСЛОВИЯХ ДВУХДНЕВНЫХ И ДВУХНОЧНЫХ РЕЖИМОВ**

Г.Ю. Мамедова

**სისხლში გლუკოზის შემცველობის ცვლილება სხვადასხვა ასაკის 2 დღის და 2 ღამის რეჟიმში გამომრდილ იაპონური ჯიშის მუხებრებში**

გ. მამედოვა

**CHANGES IN BLOOD GLUCOSE CONTENT OF DIFFERENT AGE JAPANESE QUAIL, GROWN IN 2-DAY AND 2-NIGHT MODES**

G.Yu. Mamedova..... 63

**რაიტთერაპიის ეფექტიანობა კეთილთვისებრივი პიპერობილური სახსრების (კჰსს) სინდრომის დროს**

თ. მოსულეიშვილი, მ. ლორია, ბ. კოტეტიშვილი

**КОРРЕКЦИЯ ДОБРОКАЧЕСТВЕННОГО ГИПЕРМОБИЛЬНОГО СИНДРОМА С ПОМОЩЬЮ РАЙТТЕРАПИИ**

Т. Мосулишвили, М. Лория, В. Котетишвили

**RIDETHERAPY CORRECTION OF BENING HYPERMOBILITY JOINT SYNDROME**

T. Mosulishvili, M. Loria, B. Kotetishvili ..... 71

**“გაუვსისებურუჯრედოვანი” (“გუსუსოვანუჯრედოვანი”, “თმინანუჯრედული”) ლეიკემიისა და წვრილი ნაწლავის ნეიროენდოკრინული კარცინომის “თანაარსებობის” შემთხვევა**

ა. მუხაძე, თ. გვასალია, დ. მაკარიძე

**СОСУЩЕСТВОВАНИЕ ВОЛОСАТОКЛЕТОЧНОГО ЛЕЙКОЗА И ЗЛОКАЧЕСТВЕННОГО КАРЦИНОИДА ТОНКОЙ КИШКИ**

А. Мухадзе, Т. Гвасалия, Д. Макаридзе

**SYNCHRONOUS OCCURRENCE OF SMALL BOWEL NEUROENDOCRINE CARCINOMA AND HAIRY CELL LEUKEMIA**

A. Mukhadze, T. Gvasalia, D. Makaridze..... 75

**IV**

**ინტრააბდომინური ჰიპერტენზიისა და აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის მართვის თავისებურებები**

ა. მუხაძე, თ. გვახალია, ნ. ჩადუნელი, ნ. კადეიშვილი

**ОСОБЕННОСТИ МЕНЕДЖМЕНТА ИНТРААБДОМИНАЛЬНОЙ ГИПЕРТЕНЗИИ И АБДОМИНАЛЬНОГО КОМПАРТМЕНТ-СИНДРОМА**

A. Mukhadze, T. Gvasalia, N. Chaduneli, N. Kadeishvili

**MANAGEMENT SPECIFICATIONS OF INTRAABDOMINAL HYPERTENSION AND ABDOMINAL COMPARTMENT SYNDROME**

A. Mukhadze, T. Gvasalia, N. Chaduneli, N. Kadeishvili ..... 81

**ოვარიექტომიის გავლენა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე**

ნ. ნანობაშვილი, ნ. ბუკია, ლ. მაჭავარიანი, მ. ბუცხრიკიძე,  
ო. ბილანიშვილი, ნ. ხიზანიშვილი

**ВЛИЯНИЕ ОВАРИЭКТОМИИ НА ТЕЧЕНИЕ АУДИОГЕННЫХ СУДОРОГ**

З.И. Нанобашвили, Н.Г. Букия, Л.И. Мачавариани, М.И. Буцхрикидзе, И.Г. Биланишвили, Н.А. Хизанишвили

**THE INFLUENCE OF OVARIECTOMY ON THE PROCESS OF AUDIOGENIC SEIZURE**

Z.I. Nanobashvili, N.G. Bukia, L.I. Machavariani, M.P. Butskhrikidze, I.G. Bilanishvili, N.G. Khizanishvili ..... 89

**სტომატოლოგიაში აბგილოგრივი ანესთეტიკების გამოყენების ზოგადი საკითხები**

მ. კლიასუნოვა, ნ. საყვარელიძე, თ. კეკოშვილი, ი. კვაჭაძე,  
ხ. საგანელიძე, გ. ბექაია

**ОБЩИЕ ВОПРОСЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МЕСТНЫХ АНЕСТЕТИКОВ В СТОМАТОЛОГИИ**

М. Плясунова, Н. Сакварелидзе, Т. Кекошвили, И. Квачадзе, Х. Саганелидзе, Г. Бекаия

**GENERAL PROBLEMS OF THE USE OF LOCAL ANESTHETICS IN DENTISTRY**

M. Plyasunova, N. Sakvarelidze, T. Kekoshvili, I. Kvachadze, Kh. Saganelidze, G. Bekaia ..... 95

**ინფანტილური სპაზმების პროგნოზი: ეპილეზიის ევოლუცია და ნევროლოგიური გამოსავალი**

ლ. ყანდარელი, მ. შიშნიაშვილი, ც. სირბილაძე, თ. სამხარაძე, თ. კიპიანი

**ПРОГНОЗ ИНФАНТИЛЬНЫХ СПАЗМОВ: ЭВОЛЮЦИЯ ЭПИЛЕПСИИ И НЕВРОЛОГИЧЕСКИЙ ИСХОД**

Л. Кандарели, М. Шишниашвили, Ц. Сирбиладзе, Т. Самхарадзе, Т. Кипиани

**PROGNOSIS OF INFANTILE SPASMS: EVOLUTION OF EPILEPSY AND NEUROLOGICAL OUTCOME**

L. Kandareli, M. Shishniasvili, Ts. Sirbiladze, T. Samkharadze, T. Kipiani ..... 99

EFFECTS OF EXERCISE INTENSITY ON LEUKOCYTE COUNT AND SUBPOPULATION IN YOUNG NON ACTIVE MEN

E.A. Shojaei, A. Farajov, A. Jafari, A. Gaziyeu

ფიზიკური ვარჯიშის ინტენსივობის გავლენა ლეიკოციტების რაოდენობასა და სუბპოპულაციებზე ახალგაზრდა მამაკაცებში

ი.ა. შოჯაი, ა. ფარაჯოვი, ა. ჯაფარი, ა. გაზიევი

ВЛИЯНИЕ ФИЗИЧЕСКИХ УПРАЖНЕНИЙ НА КОЛИЧЕСТВО И СУБПОПУЛЯЦИЮ ЛЕЙКОЦИТОВ СРЕДИ МОЛОДЫХ МУЖЧИН

И.А. Шоджаи, А. Фараджов, А. Джафари, А. Газиев ..... 107

ARL67156-ის გავლენა  $Mg^{2+}$ -არააპოკრიდებულ  $HCO_3^-$ -ანონებებზე აქტივირებულ ATP-ზე რეაქციაზე

ლ. წაქაძე, მ. ლელაძე, ს. ძნელაძე, ზ. კომეთიანი

ВЛИЯНИЕ ARL67156 НА  $Mg^{2+}$ -НЕЗАВИСИМУЮ АКТИВИРУЕМУЮ  $HCO_3^-$ -ИОНАМИ АТРАЗУ

Л. Цакадзе, М. Леладзе, С. Дзнеладзе, З. Кометиани

EFFECT OF ARL67156 ON  $Mg^{2+}$ -INDEPENDENT  $HCO_3^-$ -IONS ACTIVATED ATPASE

L. Tsakadze, M. Leladze, S. Dzneladze, Z. Kometiani ..... 113

PECULIARITIES OF ATTENTION DISTRIBUTION IN THE VISUAL FIELD

M. Khomeriki, D. Janelidze, M. Kunchulia, N. Lomashvili, Kh. Parkosadze, L. Roinishvili, A. Kezeli

მხედველობის ველში ყურადღების განაწილების თავისებურებანი

მ. ხომერიკი, დ. ჯანელიძე, მ. კუნჭულია, ნ. ლომაშვილი, ხ. ფარქოსაძე, ლ. როინიშვილი, ა. კეზელი

ОСОБЕННОСТИ РАСПРЕДЕЛЕНИЯ ВНИМАНИЯ В ПОЛЕ ЗРЕНИЯ

М. Хомерики, Д. Джanelидзе, М. Кунчулия, Н. Ломашвили, Х. Паркосадзе, Л. Роинишвили, А. Кезели ..... 119

ინსტრუქცია ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

INSTRUCTIONS FOR AUTHORS



## ნეიროტრანსმიტერებისა და სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა Ca,Mg-ATPაზურ და Mg-ATPაზურ აქტიურობაზე

*ნ. არუთინოვა, ე. ნოზაძე, ზ. ქოქეთიანი*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

მიღებულია 24.01.2011

თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფტოსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარ ფრაქციასა და მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca,Mg-ATPაზურ და Mg-ATPაზურ აქტიურობებზე ნეიროტრანსმიტერებისა (ნორადრენალინი, სეროტონინი) და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნორადრენალინი და სეროტონინი სინაფტოსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარ ფრაქციაში ააქტივებენ ლოკალიზებულ Ca,Mg-ATPაზას, ხოლო ნეიროტრანსმიტერთან ერთად სინაფტოსომური ფაქტორის მოქმედებით ფერმენტი მკვეთრად ინჰიბირდება. მიკროსომული Ca,Mg-ATPაზა და სინაფტოსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარი მემბრანებისა და მიკროსომულ ფრაქციებში ლოკალიზებული Mg-ATPაზა კი არ იჩენენ მგრძობებლობას ნეიროტრანსმიტერებისა და სინაფტოსომური ფაქტორის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: Ca,Mg-ATPაზა, Mg-ATPაზა, ნორადრენალინი – NA, სეროტონინი – 5-HT, ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი – SF

კალციუმი და მაგნიუმი მნიშვნელოვანი ბიოელემენტებია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია უჯრედისა და ორგანიზმის ფუნქციობა. ამასთან, სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ იონთა კომეოსტაზის შენარჩუნება უჯრედში, რაც ხორციელდება ტრანსპორტული სისტემების საშუალებით. Ca<sup>2+</sup>-ისა და Mg<sup>2+</sup>-ის ერთ-ერთი ტრანსპორტირებადი სისტემაა P-ტიპის ATPაზები, კერძოდ, Ca,Mg-ATPაზა და Mg-ATPაზა [1, 5, 7, 8, 9]. აქედან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ATPაზური სისტემების შესწავლას, მათი მოქმედების მოლეკულური მექანიზმის გაშიფვრასა და რეგულაციის პრინციპების დადგენას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა Ca,Mg-ATPაზური და Mg-ATPაზური სისტემების მოქმედების რეგულაციაში ზოგიერთი ნეიროტრანსმიტერისა და ციტოზოლში აღმოჩენილი სინაფტოსომური ფაქტორის როლის დადგენა.


## კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინიდან ცენტრიფუგირების მეთოდით დიფერენცირებული საქაროზას გრადიენტში მიღებული სინაფსური შემაერთებული კომპლექსით მდიდარი ფრაქცია (12-0.9 M საქაროზას ფენებს შორის) და მიკროსომების (0.32 M საქაროზას) ფრაქცია [2, 10]. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [6], ხოლო არარორგანული ფოსფორი – მოდიფიცირებული ფისკე-სუბაროუსა [3] და კაზანოვ-მასლოვას მეთოდით [4]. ATP-ზე აქტიურობაზე ვმსჯელობდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლით გამოყოფილი არარორგანული ფოსფორის რაოდენობით მილიგრამ ცილაზე საათში. სინაფტოსომური ფაქტორი მიიღებოდა ნერვული დაბოლოებებით მდიდარი უხეში მიტოქონდრიული ფრაქციის ოსმოსური შოკის შემდეგ მიღებული ფრაქციის შემდგომი ცენტრიფუგირებით.

ცდები მკაცრ სტატისტიკურ დამუშავებას ექვემდებარებოდა. სიდიდეებს შორის განსხვავების სარწმუნობის შეფასებისთვის  $p < 0.02$ , ხოლო ერთნაირობის სარწმუნობის შეფასებისთვის  $p > 0.1$ . გამოიყენებოდა სტიუდენტის განაწილება და ფიშერის კრიტერიუმი.

## შედეგები და მათი განხილვა

Ca, Mg-ATP-ისა და Mg-ATP-ის მოქმედების რეგულაციის მექანიზმები, შესაძლოა, სხვა P-ტიპის ATP-ების მსგავსი იყოს. P-ტიპის ATP-ების ყველაზე კარგად შესწავლილი წარმომადგენლის, Na, K-ATP-ის რეგულაციის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ნეიროტრანსმიტერებითა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორებით რეგულაცია. ამიტომ, შესწავლილ იქნა ზოგიერთი ნეიროტრანსმიტერისა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა Ca, Mg-ATP-ზე და Mg-ATP-ზე აქტიურობაზე.



სურ. 1. სინაფსური შემაერთებული კომპლექსით მდიდარ ფრაქციაში ლოკალიზებული Ca, Mg-ATP-ზე აქტიურობაზე ნორადრენალინის (NA), სეროტონინის (5-HT) და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) გავლენა. 1 – კონტროლი: [NA] = 0, [5-HT] = 0 და [SF] = 0; 2 – [NA] = 0.1mM; 3 – NA (0.1mM) / SF (0.03mg/ml); 4 – [5-HT] = 0.1mM; 5 – 5-HT (0.1mM) / SF (0.03mg/ml)

სურათზე 1 წარმოდგენილია სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca, Mg-ATP-ზე აქტიურობაზე ნორადრენალინის (NA),

სეროტონინის (5-HT) და აღნიშნული ნეიროტრანსმიტერებისა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) ერთდროული მოქმედების გავლენა. აღმოჩნდა, რომ NA და 5-HT ააქტივებენ სინაფსური მემბრანების Ca, Mg-ATP-ზას ( $p < 0.001$ ), ხოლო SF ხსნის ნეიროტრანსმიტერებით გამოწვეულ აქტივაციას და ფერმენტი მკვეთრად ინჰიბირდება ( $p < 0.001$ ).

მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca, Mg-ATP-ზურ აქტიურობაზე ნეიროტრანსმიტერებისა და სინაფტოსომური ფაქტორის ეფექტი არ გამოქვლიანდა ( $p > 0.1$ ).

ცხრილში ნაჩვენებია სინაფსური და მიკროსომული მემბრანების ფრაქციებში ლოკალიზებულ Mg-ATP-ზურ აქტიურობაზე სეროტონინის, აგრეთვე, სინაფტოსომური ფაქტორისა და სეროტონინის ერთდროული მოქმედების გავლენა.

ცხრილი

სეროტონინისა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა სინაფსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარ და მიკროსომული მემბრანების ფრაქციებში ლოკალიზებულ Mg-ATP-ზურ აქტიურობაზე

მოქმედი ნივთიერება	სინაფსური მემბრანების Mg-ATP-ზური აქტიურობა	მიკროსომული მემბრანების Mg-ATP-ზური აქტიურობა
კონტროლი [5-HT] = 0; [SF] = 0	21.740 ± 0.616	9.834 ± 0.837
[5-HT] = 0.1mM	21.539 ± 0.534	10.705 ± 0.849
5-HT (0.1mM) / SF (0.03mg/ml)	22.221 ± 0.728	10.175 ± 0.378

აღმოჩნდა, რომ სარეაქციო არეში აღნიშნული ნივთიერებების დამატება არ იწვევს სინაფსური და მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Mg-ATP-ზური აქტიურობის სარწმუნო ცვლილებას ( $p > 0.1$ ).

ამრიგად, ნორადრენალინი და სეროტონინი ააქტივებენ სინაფსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარ ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca, Mg-ATP-ზას, ხოლო ნეიროტრანსმიტერთან ერთად სინაფტოსომური ფაქტორის მოქმედებით ფერმენტი მკვეთრად ინჰიბირდება. მიკროსომული Ca, Mg-ATP-ზა და სინაფსური შემაერთებელი კომპლექსით მდიდარი მემბრანებისა და მიკროსომულ ფრაქციებში ლოკალიზებული Mg-ATP-ზა კი არ იწვევს მგრძობელობას ნეიროტრანსმიტერებისა და სინაფტოსომური ფაქტორის მიმართ.

## ლიტერატურა

1. Beeler T.J., Wang T., Gable K., Lee S. J. Arch. Biochem. Biophys., 1985, 243 (2), 644-654.
2. De Robertis E., Rodriguez de Lores, Armair G. In: Handbook of Neurochemistry (Lagtha A. ed.), Plenum Press, New York, 1969, 2, 365-380.

3. *Fiske G., Subbarow Y.* J. Biol. Chem., 1925, 66, 375-400.
4. *Kazanov A., Maslova M.* Zhur. Evol. Biokh. Fiziol., 1980, 16, 5, 81-87.
5. *Karjalainen E.L., Hauser K., Barth A.* Biochem. Biophys. Acta, 2007, 1767, 1310-1318.
6. *Lowry O.H., Rosenbrogh N.* J. Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
7. *Mac Lannan D.H., Rice W.J., Green N.M.* J. Biol. Chem., 1997, 272, 28815-28818.
8. *Snavelly M.D., Gravina S.A., Cheang T.T., Miller Ch. G.* The Journal of Biological Chemistry, 1991, 266, 2, 824-829.
9. *Ushimaru M., Fukushima Y.* Biochem. J., 2008, 18, 976-985.
10. *Whittaker W.* In: Handbook of Neurochemistry (Lagtha A. ed.), Plenum Press, New York, 1962, 2, 327-364.

## ВЛИЯНИЕ НЕЙРОТРАНСМИТТЕРОВ И СИНАПТОСОМАЛЬНОГО ФАКТОРА НА АКТИВНОСТЬ Ca,Mg-АТРАЗЫ И Mg-АТРАЗЫ

*Н. Арутюнова, Е. Нозадзе, З. Кометиани*

Научно-исследовательский центр наук о жизни, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Норадреналин и серотонин вызывают активацию Ca,Mg-АТРАЗы, локализованной в синапсосомах головного мозга белых крыс, тогда как вместе с цитозольным синапсосомальным фактором резко ингибируют ферментную активность.

Ca,Mg-АТРаза, локализованная в микросомальной фракции, а также Mg-АТРаза синапсосом и микросом нечувствительны к нейротрансмиттерам и синапсосомальному цитозольному фактору.

## THE EFFECT OF SOME NEUROTRANSMITTERS AND SYNAPTOSOMAL FACTOR ON THE Ca,Mg-ATPASE AND Mg-ATPASE ACTIVITY

*N. Arutinova, E. Nozadze, Z. Kometiani*

Life Science Research Center, Tbilisi

### SUMMARY

The study of effects of some neurotransmitters and synaptosomal factor on Ca,Mg-ATPase and Mg-ATPase from rat brain synaptic junctional complex and microsome fractions has shown that Ca,Mg-ATPase located in the synaptic fraction is activated by noradrenalin and serotonin, but the synaptosomal factor together with neurotransmitter sharply inhibits it. Whereas neurotransmitters and synaptosomal factor have no effects on microsomal Ca,Mg- and Mg-ATPase as well as synaptosomal Mg-ATPase.

## **მოდულირებადი გენერალიზებული მცირე ეპილეფსიური გულყრების გავლენის პათოფიზიოლოგიური და პათოპისტოლოგიური ასპექტები მხედველობითი არასივრცითი ცნობის მეხსიერებაზე**

*თ. ბავაშვილი, თ. ჯორბენაძე, ვ. ანდრონიკაშვილი\*,  
თ. გურაშვილი\*, ლ. ლეჟავა, ს. ძელიაშვილი*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
\* სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

მიღებულია 24.01.2011

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის აბსანსის ტიპის არაკრუნჩხვითი მცირე ეპილეფსიური გულყრების ვალიდური ცხოველური მოდელის – “კატის გენერალიზებული პენიცილინური ეპილეფსია” – გავლენის პათოფიზიოლოგიური და პათოპისტოლოგიური ასპექტების შესწავლა არასივრცით მხედველობით ცნობის მეხსიერებაზე “ნიმუშის დაყოფნებული (10 წამიანი) შერჩევის” (“ნდშ”) ტესტით. ექსპერიმენტები ტარდებოდა ზრდასრულ კატებზე ქრონიკული ცდის პირობებში. მიღებული შედეგების თანახმად, არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების სტატისტიკურად სარწმუნო გაუარესებას იწვევს აბსანსის ტიპის გენერალიზებული მცირე ეპილეფსიური არაკრუნჩხვითი აქტიურობა. თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში გამოვლენილი პისტოპათოლოგიური არასპეციფიკური ცვლილებები მიუთითებს ნერვული ქსოვილის მესამე სტადიის ჰიპოქსიურ დაზიანებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ეპილეფსია, მეხსიერება, მოდელირება, კატა, პათოფიზიოლოგია, პათოპისტოლოგია

თავისი ხანგრძლივი ისტორიული არსებობის მანძილზე მედიცინამ მრავალი დაავადების ეტიოპათოგენეზის დადგენისა და მკურნალობის გზებს მიაგნო, თუმცა კაცობრიობის ცივილიზაციისა და მედიცინის პროგრესის ფონზე დღესაც და, ალბათ, მომავალშიც კვლავ იარსებებს მრავალი სამედიცინო პრობლემა.

ნეირომეცნიერთა კვლევის ინტერესი დღესაც არ განელეზულა თავის ტვინის ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადების ეტიოპათოგენეზის, კლინიკისა და მკურნალობის მიმართ, როგორცაა “ღვთაებრივ დაავა-

დებად” წოდებული ეპიდემიისა და მეხსიერების დეფიციტი. ეპიდემიისას, როგორც თავის ტვინის ქრონიკულ, პოლიეტიოლოგიურ, გენეტიკურად წინასწარგანწყობის მქონე დაავადებას, პათოლოგიური კერის ლოკალიზაციის მიხედვით ახასიათებს განმეორებითი კრუნჩხვები, არაკრუნჩხვითი და/ან ფსიქოპათოლოგიური პაროქსიზმული გამოვლინებები ნეირონთა ხშირი განმუხტვებითა და ემოციური და ფსიქიკური სფეროს დაზიანებით [6, 8].


იგი უვითარდება ნებისმიერი ასაკის, რასისა და სოციალური ფენის ადამიანთა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი პოპულაციის ინდივიდებს, ამასთან განსაკუთრებით ხშირად – ბავშვებს, მოზარდებსა და მოხუცებს. ასეთივე მძიმე შედეგების მატარებელია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონის დარღვევით გამოწვეული ურთულესი სამედიცინო პრობლემა – მეხსიერების დეფიციტი, აზროვნების პროცესის მოშლა. მეხსიერების სხვადასხვა ფორმების (ივ. ბერიტაშვილის მიხედვით – ხატისმიერი ცნობის ანუ კოგნიტიური, ემოციური, სიტყვიერ-ლოგიკური, პირობითრეფლექსური) [3] დეფიციტი ან გაუარესება გვხვდება ორგანიზმის დაბერების, ამნეზიის, დემენციის, დეპრესიის, ეპილეფსიის, შიზოფრენიის, ათეროსკლეროზის და მრავალი სხვა ფსიქო-ნევროლოგიური პათოლოგიების დროს.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოველებში ფსიქიკური პროცესებისა და აზროვნების პროცესების არსებობის ფაქტი ეჭვს აღარ იწვევს, მრავალრიცხოვან თეორიულ და პრაქტიკულ სამედიცინო დისციპლინებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფილოგენეზური განვითარებით ადამიანთან ახლოს მდგომ ცხოველურ მოდელებზე პრობლემების პათოლოგიური ასპექტების კვლევა, რადგან ცნობილია, რომ დაავადებათა მიზეზებისა და მექანიზმების გარკვევა მნიშვნელოვანწილად ადვილდება და ჩქარდება ასეთ მოდელებზე შეუზღუდავი ექსპერიმენტირების გზით. ამიტომ, დღესაც თეორიულ და პრაქტიკულ ნეირომეცნიერებათა დარგების კვლევის მიზნად კვლავ რჩება ნერვული სისტემის საკმაოდ გავრცელებული და დღემდე ბოლომდე ამოუცნობი პათოლოგიური ბუნების მქონე ამ ორი ფენომენის – ეპილეფსიისა და მეხსიერების დარღვევის პათოფიზიოლოგიური და პათოპისტოლოგიური ასპექტების შესწავლა ცალ-ცალკე და მათი ურთიერთზეგავლენა, მითუმეტეს, რომ დღეისთვის ამ ორი დაავადების ზომოდელირების პრობლემა გადაჭრილია [2, 11, 12, 16].


წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ნათელი მოფინოს ეპიდემიისა და მეხსიერების ვალიდურ ცხოველურ მოდელებზე [1, 14, 16] ამ ორი ფენომენის ურთიერთგავლენას, კერძოდ, ეპიდემიის მრავალი ფორმიდან – აბსანსის ტიპის მცირე ეპილეფსიური არაკრუნჩხვითი გენერალიზებული აქტიურობის გავლენის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმებს არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერებაზე (იგივე ხატისმიერ ანუ კოგნიტიურ მეხსიერებაზე) და ამ ფენომენების განხორციელებაში მონაწილე ტვინოვან სტრუქტურებში პათოპისტოლოგიური ცვლილებების ვარიანტებს.

## მასალა და მეთოდები

საექსპერიმენტო ცხოველებთან ურთიერთობის საერთაშორისო კანონების დაცვით ექსპერიმენტები ტარდებოდა ოთხ ზრდასრულ, ორივე სქესის 2.5-3.6 კგ-იან კატაზე ქრონიკული ცდის პირობებში ორ სერიად. ცდების პირველ სერიაში არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების შესწავლისთვის გამოიყენებოდა ჩვენ მიერ მოდიფიცირებული ვისკონსინის სატესტო აპარატი [14], კვირაში ხუთი დღის განმავლობაში. აპარატი შედგება სასტარტო კამერისგან (55 × 65 × 60 სმ) (სურ. 1ა) და სამი იდენტურსაკვებურიანი სატესტო ნაწილისგან (სურ. 1ბ). აპარატის ა და ბ ნაწილები ერთმანეთისგან გამოიჯნულია ვისოსებით (სურ. 1კ) და გაუმჭვირვალე მოძრავი კარებით (სურ. 1დ). ექსპერიმენტების დაწყებამდე მშვიდ კატებს ვათავსებდით აპარატის სასტარტო კამერაში და ვაჩვენებდით სატესტო ნაწილის სამი საკვებურიდან ცენტრალური საკვებურის ქვეშ მის დასანახად ჩადებული საკვების (ძეხვის პატარა ნაჭერი ან მშრალი სპეციალური საკვები კატებისთვის) მფარავე სხვადასხვა ზომის, ფერის, ფორმის სათამაშო ფიგურების გადაადგილებას და “ჯილდოს” აღებას ვისოსებიდან თათის გამოყოფით (სურ. 2).



სურ. 1. მხედველობითი ცნობის მეხსიერების შესასწავლი ვისკონსინის სატესტო აპარატი. ა - სასტარტო კამერა; ბ - სამი იდენტურსაკვებურიანი სატესტო ნაწილი; გ - ა და ბ-ს გამმიჯნავი ვისოსები; დ - გაუმჭვირვალე კარები




სურ. 2. ცენტრალური საკვებურიდან ფიგურის გადაადგილებისა და საკვების მოპოვების მიხვევა “ნდშ”-ის ტესტამდე

ამ “დავალების” დასწავლა გრძელდებოდა 7-10 დღე, რის შემდეგ ვიწყებდით საკუთრივ მხედველობითი არასივრცითი ცნობის მეხსიერების მოდელირებას “ნიმუშის დაყოვნებული შერჩევის” - “ნდშ”-ის ტესტით, რომლის ორიგინალური მეთოდის მ. მიშკინს [11] (როგორც



ცნობილია, დაყოვნების რეაქცია წარმოადგენს მოკლევადიანი მეხსიერების შედარებით-ფსიქოლოგიური შესწავლისა და ქცევის მთელი კომპლექსის ანალიზის მეთოდს). ტესტის თითოეული სინჯი შედგებოდა ორი ქვესინჯისგან: ნიმუშის ჩვენებისა და ნიმუშის შერჩევისგან. ნიმუშის ჩვენების ქვესინჯში ობიექტი-ნიმუში თავსდებოდა ცენტრალურ საკვებურზე, რომელშიც იმალებოდა საკვები (სურ. 3ა) და იხურებოდა გაუმჭვირვალე კარები. ახსნილი კარებით კატებს გისოსებიდან თათის გამოყოფის, ობიექტ-ნიმუშის გადაგდებისა და საკვებურიდან საკვების მოპოვების საშუალება ეძლეოდათ. 10-წამიანი დაყოვნების შემდეგ ნიმუშის შერჩევის ქვესინჯში ნაცნობი ობიექტი-ნიმუში თავსდებოდა კიდურა საკვებურებზე (ცენტრალური საკვებურიდან მარჯვნივ ან მარცხნივ) შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგილზე პირობითი რეფლექსური მეხსიერების გამომუშავების თავიდან აცილების მიზნით. საკვები თავსდებოდა მხოლოდ ნაცნობი ობიექტი-ნიმუშის ქვეშ (სურ. 3ბ). სწორი რეაქციის შემთხვევაში ცხოველი ირჩევდა ნაცნობ ობიექტ-ნიმუშს, რომლის არჩევაც ნიმუშის ჩვენების ქვესინჯში მისი საკვებით დაჯილდოებით მთავრდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველი ტესტის სინჯში გამოიყენებოდა ობიექტ-ნიმუშების ახალ-ახალი წყვილი. ყოველდღიურად წინასწარ დამშუული ცხოველები ასრულებდნენ “ნღშ”-ის საშუალოდ 20 სინჯს 30-წამიანი ინტერვალებით და 10-წამიანი დაყოვნებით. შეცდომების კორექცია არ იყო დაშვებული. ტესტის შესრულების კრიტერიუმად ითვლებოდა 80 სწორი პასუხი 100 თანმიმდევრულ სინჯში.



სურ. 3. არასიერცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტით მანიპულირება. ა - ნიმუშის ჩვენება; ბ - ნიმუშის სწორი შერჩევა 10 წამიანი დაყოვნებით

ცდების II სერიაში აბსანსის ტიპის არაკრუნხვითი მცირე ეპილეფსიური გულყრის მოდელის შესაქმნელად ვიყენებდით პრინსისა და



ფორელის მიერ მოწოდებულ კატის გენერალიზებულ მცირე ეპიდევსიური პენიცილინური გულჯრის ვალიდურ მოდელს [16]. ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, “ნღშ” ტესტის კრიტერიუმშიღწეულ კატებს (80%-ში) კუნთებში ვუკეთებდით ნატრიუმ-პენიცილინის ხსნარის ინექციას დოზით 300.000-350.000 ერთ/კგ და 1 სთ-ის შემდეგ ვუქეტის გამოვლენის მიზნით ვიწყებდით ცდების I სერიაში აღწერილი სქემით “ნღშ” ტესტით მანიპულირებას. მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს ვახდენდით მანუიტის ტესტის მეშვეობით.

პათო-ჰისტოლოგიური გამოკვლევის მიზნით საექსპერიმენტო ცხოველების თავის ტვინიდან აღებულ ნაჭრებს ვაფიქსირებდით ნეიტრალური ფორმალინის 10%-იან ხსნარში. სათანადო დამუშავების შემდეგ მასალას ვყავლიბდით პარაფინში. როტაციულ მიკროტომზე მომზადებულ ანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინით, ეოზინით და პიკროფუქსინით (ვან-გიზონის მეთოდი).

### შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტების პირველი სერიის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკვების მოპოვებით მოტივირებული დამშუული კატების ქცევა, რაც ამ შემთხვევაში დომინირებული მოტივიცაა, არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტით შეფასებისას, ალბათ განსხვავებულია სხვადასხვა ცხოველებში მათი ნერვული ტიპის განსხვავებულობის გამო (ცხრილი 1), თუმცა ყველა მათგანმა გადალახა 100 თანმიმდევრულ სინჯში “ნღშ”-ის ტესტის 80%-იანი ბარიერი. მშვიდი კატა (კატა №3) წყნარად რეაგირებდა საკვებურის დანახვაზე, შეცდომების რაოდენობაც ნაკლები ჰქონდა მაშინ, როცა მოუსვენარი, განუწყვეტლივ მოძრავი კატა ძლიერ ემოციებს ავლენდა საკვებურის დანახვაზე და შეცდომებიც მეტი ჰქონდა (კატა №2)

ცხრილი 1

არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტის შესრულების შედეგები კატებში

კატები	“ნღშ”-ის ტესტის კრიტერიუმამდე მიღწევის დღეების რაოდენობა	სინჯების რაოდენობა	ბოლო 5 დღის განმავლობაში 100 თანმიმდევრულ სინჯში პასუხი	
			სწორი	არასწორი
№1	18	360	81%	19%
№2	24	480	80%	20%
№3	21	420	88%	12%
№4	20	400	82%	18%

\* კვირაში 5 დღე, დღეში 20 სინჯი, 10 წმ-იანი დაყოვნება

ცხოველთა არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტით კრიტერიუმამდე მიღწევის შემდეგ ექსპერიმენტთა II სერიაში

აბსანსის ტიპის (ცნობიერების 5-30 წმ-ის გამოთიშვით) მცირე ეპილეფსიური არაკრუნჩხვითი აქტიურობის მოდელირების მიზნით კატების კუნთში ნატრიუმ-პენიცილინის ხსნარის ზღურბლოვანი დოზით ინექციებიდან 1 სთ-ის შემდეგ (მოდელი ვარგისიანია ინექციებიდან 3-4 სთ-ის განმავლობაში) ყალიბდებოდა მცირე გულყრებისთვის დამახასიათებელ სიმპტომათა ქცევითი სპექტრი, კერძოდ, ხდებოდა მიმდინარე ქცევის, კნაილის შეწყვეტა, გუგების გაფართოება, ფაციალური მიოკლონია, გარეგან გაღიზიანებაზე რეაგირების უნარის დაკარგვა, კონცენტრირებული მხერა, რა ნიშნებითაც დიდი მსგავსება გამოვლინდა ადამიანის აბსანსის ტიპის მცირე ეპილეფსიური გულყრის კლინიკურ სურათთან (სურ. 4). ამავე დროს ცნობილია, რომ აბსანსის ტიპის ეპილეფსიურ გულყრებს ელექტროენცეფალოგრაფიულად ახასიათებს დიფუზური, სინქრონული, სიმეტრიული, პიკტალდოვანი კომპლექსები (3 რხ/წმ) ფოკუსური დასაწყისის გარეშე [1, 2, 8, 10], რომელთაც დროში შეესაბამება ცნობიერების ხანმოკლე გამოთიშვა.


ექსპერიმენტების II სერიაში არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტის კრიტერიუმშიდწვეულ კატებში პენიცილინური გენერალიზებული ეპილეფსიური გულყრების ფონზე “ნღშ”-ის ტესტის შედეგები გაუარესებისკენ შეიცვალა. კერძოდ, ნატრიუმ-პენიცილინის ხსნარის ინექციებიდან 1 სთ-ის შემდეგ ყოველდღიურად ვახდენდით არასივრცითი ცნობის მეხსიერების შემოწმებას “ნღშ”-ის ტესტით I სერიაში აღწერილი სქემის მიხედვით (ცხრილი 2).

ცხრილი 2


არასივრცითი მხედველობითი ცნობის მეხსიერების “ნღშ”-ის ტესტის შესრულების შედეგები კატებში გენერალიზებული პენიცილინური ეპილეფსიური გულყრების ფონზე

კატები	დღეების რაოდენობა 100 სინჯის შესრულებამდე	100 “ნღშ”-ის ტესტში სწორი პასუხების %-ული რაოდენობა	
		სწორი	არასწორი
№1	9	70	30
№2	12	58	42
№3	10	54	46
№4	9	65	35

ცხრილში 2 მოცემული შედეგების მიხედვით ნათელია 100 სინჯში სწორი პასუხების პროცენტული რაოდენობის შემცირების ფაქტი, თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველდღიური 20 სინჯის შესრულება ცხოველებს აშკარად უჭირდათ, ადრე წყვეტდნენ სტიმულზე რეაგირებას, (სურ. 5) გაიზარდა მცდარი პასუხების რაოდენობაც, არ ჰქონდათ საორიენტაციო რეაქცია (100 ტესტ-სინჯის შესრულებას უკვე 5 დღეზე მეტი დასჭირდა), რომლის ანალიზმა გვიჩვენა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება I და II სერიების შედეგებს შორის ( $U = 0$ ,  $p = 0.014$  მანუიტის ტესტის მიხედვით).




სურ. 4. აბსანსის ტიპის კატის პენიცილინური გენერალიზებული ეპილეფსიის მოდელირება ქრონიკული ცდის პირობებში




სურ. 5. გენერალიზებული პენიცილინური ეპილეფსიის ფონზე ცხოველის ინდიფერენტულობა "ნაფშ"-ის ტესტზე

აბსანსის ტიპის მცირე ეპილეფსიური აქტიურობის გენერალიზებული, სინქრონული და დიფუზური ხასიათის გათვალისწინებით, ელექტროენცეფალოგრაფიულად პიკტალდოვანი რხევებით (3-4 რხ/წმ) წარმოდგენილი მცირე ეპილეფსიური კერა, უპირველეს ყოვლისა, ყალიბდება დიდი ტვინის ქერქის ფრონტო-ორბიტალურ უბანში [1]. თალამუსის არასპეციფიკური სისტემა აადვილებს ამ რხევებს, კორძიანი სხეულით ვრცელდება ნახვარსფეროების ქერქის თითქმის ყველა უბანში და მათ შორის არასივრციით მხედველობითი ცნობის მეხსიერებაში მონაწილე რინალურ ქერქშიც (კატებში 10-წამიანი დაყოვნების შემთხვევაში) [1, 2, 7, 9, 10, 13]. მიღებული შედეგების ამგვარ ინტერპრეტაციას ამყარებს მიკროფიზიოლოგიური კვლევის ლიტერატურის და საკუთარი მონაცემებიც [1]. ეპილეპტიზირებულ ნეირონში რეგისტრირებული პოსტსინაფსური დეპოლარიზაციული გადახრის (პდზ) წარმოშობაში მნიშვნელოვანი წილი უნდა ჰქონდეს დიდი და გახანგრძლივებული ამაგზნებელი პოსტსინაფსური პოტენციალების აღმოცენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სპაიკ-პოტენციალების ჯერის განვითარებას. პდზ-ს შემდეგ აღმოცენებული ხანგრძლივი კვალის პიპერპოლარიზაცია შეესაბამება პიკტალდოვანი განმუხტვების ტალღოვან კომპონენტს, რომლის დროს ვითარდება პირდაპირი და უკუქცევითი შეკაების მოვლენა. ამგვარად, პიკტალდოვანი განმუხტვებით აგზნებისა და შეკაების გაუარესება მოდელირებული ეპილეფსიის ამ ფორმის ფონზე (განსაკუთრებით თუ ტესტის შესრულება ემთხვეოდა ხანგრძლივ ტალღოვან კომპონენტს) პირდაპირ კავშირშია ნეირონებში განვითარებულ შედარებით ხანგრძლივ შეკაებით პროცესებთან [1, 7, 10]. როგორც ჩანს, ეპილეფსიური აქტიურობა არღვევს მხედველობითი ხატის შექმნაში მონაწილე მე-17 ველის სენსორულ ვარსკვლავისებურ ნეირო-


ნებსა (პირველადი ზონა) და მე-18 კელის (მეორადი ზონა) ასოციაციურ ნეირონებს შორის იმ კავშირებს და ნერვულ წრეებს, რომლებიც ვალიბდება “ნღშ“-ის ტესტის ცალკეული სინჯების შესრულებისას. ამ კავშირებისა და წრეების დარღვევა იწვევს მხედველობითი ობიექტის ხატის კვადის შენახვისა და მისი რეპროდუცირების (გახსენების) მოშლას [3]. ეპილეფსიის აღნიშნული ფორმის გავლენით მხედველობითი არასივრცითი ცნობის მეხსიერების ასეთი მოშლის სასარგებლოდ მეტყველებს თავის ტვინის მიკრომორფოლოგიური გამოკვლევები. დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქში, რუს ნიეთიერებასა და მოგრძო ტვინში ნანახი იყო სისხლსავსეობა (სურ. 6), სისხლჩაქცევები, ტვინის ცალკეულ უბნებში ადგილი ჰქონდა ზომიერად გამოხატულ პერიცელულურ და პერივასკულურ შეშუპებას (სურ. 7, 8), ასტროციტული უჯრედების პროლიფერაციას (სურ. 9). ქერქის ზოგიერთ უბანში ჭარბობდა განგლიოზურ-უჯრედული შემადგენლობა, თეთრ ნიეთიერებაში შეინიშნებოდა ნეირონების შეჭმუხვნა, დისტროფიული, ნეკრობიოზული, ნეკროზული ცვლილებები, უჯრედ-ჩრდილების არსებობა. მორფოლოგიური ცვლილებები უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული მოტორული ქერქის III და IV შრეებში, რაც შესაძლებელია დაზიანების გარკვეულწილად ამორჩევითობაზე მიუთითებდეს.




სურ. 6. თავის ტვინი. კარგად გამოხატული სისხლსავსეობა.  $\times 100$



სურ. 7. თავის ტვინი. პერიცელულური შეშუპება.  $\times 200$



სურ. 8. თავის ტვინი. პერივასკულური შეშუპება.  $\times 100$



სურ. 9. თავის ტვინი. ასტროციტური უჯრედების პროლიფერაცია.  $\times 100$

ჩვენ მიერ გამოვლენილი მორფოლოგიური ცვლილებები არასპეციფიკურია და მიუთითებს თავის ტვინის ჰიპოქსიურ დაზიანებაზე. სადღეისოდ არსებული თავის ტვინის ჰიპოქსიური მორფოლოგიური ცვლილებების კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოთხ სტადიად (I სტადია – შემუშავებით-ჰემორაგიული, II სტადია – ენცეფალური გლიოზი, III სტადია – ლეიკომალაცია (ნეკროზი) და IV სტადია – ლეიკომალაცია სისხლჩაქცევით), ექსპერიმენტული ცხოველების თავის ტვინში ჩვენ მიერ ნანახი ცვლილებები შეესაბამება ჰიპოქსიური დაზიანების III სტადიას.

## ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი ვ. პირველადად გენერალიზებული მცირე ეპილეფსიური გულყრებისთვის დამახასიათებელი პიკ-ტალღოვანი განმუხტვების ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები (დისერ. ავტორეფ.) 2004, თბილისი, “ბიომედი”, 31 გვ.
2. Багашвили Т.И., Андроникашвили Г.Т. Теория и практика клинической неврологии (ред. Р. Шакаришвили). Тбилиси, 1990, 39-48.
3. Бериташвили И.С. Память позвоночных животных, ее характеристика и происхождение. Тбилиси, “Мецниереба”, 1968, 138.
4. Вацуро Э.Г., Никольский П.Н. Ж. Вопросы психологии. 1956, 6, 94-100.
5. Меркулов Г.А. Курс патогистологической техники. Ленинград, “Медицина”, 1969, 337.
6. Окуджавა В.М. Основные нейрофизиологические механизмы эпилептической активности. Тбилиси, “Ганатლება”, 1969, 226.
7. Окуджавა В.М., Натишвили Т.А., Гурашвили Т.Т., Чипაშვილი С.А., Багашвили Т.И., Андроникашвили Г.Т., Кверნაძე Г.Г., მუთაშვილი Т.И., Окуджავა М.В. Журнал высшей нервной деятельности, 2007, 57, 4, 491-498.
8. Сараджიაშვილი П.М., Гелაძე Т.Ш. Эпилепсия. Москва, “Медицина”, 1977, 304.
9. Avoli M., Kostopoulos G. Brain Res., 1982, 247, 159-168.
10. Gibbs F.A., Davis H., Lennox W.G. Arch. Neurol. Psychiat., 1935, 34, 1134-1148.
11. Mishkin M., Delacour J. Journal of Experimental Psychology; Animal Behavior Processes. 1975, 1, 4, 326-334.
12. Mishkin M., Murray E.A. Current Option in Neurology, 1994, 4, 200-206.
13. Mumby D.G., Pined J.P. J. Behav. Neurosci., 1997, 108, 1, 11-18.
14. Okujava V., Natishvili T., Mishkin M., Gurashvili T., Chipashvili S., Bagashvili T., Andronikashvili G., Kverndaze G. Acta Neurobiol. Experimental., 2005, 65, 2, 205-212.
15. Okujava V., Natishvili T., Bagashvili T., Gurashvili T., Chipashvili S., Gogeshvili K., Andronikashvili G., Vashakidze N., Maisuradze M. Georgian Journal of Neurosciences, 2005, 1, 4, 13-18.
16. Prince D.A., Farrell D. Neurology, 1969, 19, 309-310.

## ПАТОФИЗИОЛОГИЧЕСКИЕ И ПАТОГИСТОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ВЛИЯНИЯ ГЕНЕРАЛИЗОВАННЫХ МАЛЫХ ЭПИЛЕПТИЧЕСКИХ ПРИПАДКОВ НА ЗРИТЕЛЬНУЮ НЕПРОСТРАНСТВЕННУЮ ПАМЯТЬ УЗНАВАНИЯ

*Т. Багашвили, Т. Джорбенадзе, Г. Андроникашвили\*, Т. Гурашвили\*,  
Л. Лежава, С. Дзулиашвили*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили; \* Центр по изучению наук о жизни, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Целью работы являлось изучение патофизиологических и патогистологических аспектов несудорожных малых эпилептических припадков типа абсанса с использованием валидной модели “кошачей пенициллиновой генерализованной эпилепсии” на непространственную память зрительного узнавания с помощью теста “отстроченного выбора по образцу” (10 секундная отсрочка). Эксперименты проводились на взрослых кошках в условиях хронического опыта. Согласно полученным данным, генерализованная несудорожная эпилептическая активность типа абсанса вызывает статистически достоверное ухудшение непространственной памяти зрительного узнавания. В различных областях головного мозга были выявлены неспецифические гистологические изменения, которые указывают на гипоксическое повреждение нервной ткани (III стадия).

## PATHOPHYSIOLOGICAL AND PATHOHISTOLOGICAL ASPECTS OF GENERALIZED PETIT MAL EPILEPTIC DISCHARGE INFLUENCE ON VISUAL RECOGNITION MEMORY

*T. Bagashvili, T. Jorbenadze, G. Andronikashvili\*, T. Gurashvili\*, L. Lezhava,  
S. Dzulishvili*

Tbilisi I. Javakhishvili State University; \* Life Science Research Centre, Tbilisi

### SUMMARY

Delayed (10 seconds) matching-to-sample test (DMS) of pathophysiological and pathohistological aspects of “Feline Generalized Penicillin Epilepsy” influence on nonspatial visual recognition memory – the valid animal model of human absence-type non-convulsive epileptic seizures discharges has been studied. The experiments were chronically conducted on the mature cats. According to the statistically verified results, the deterioration of visual recognition memory is caused by generalized nonconvulsive epileptic seizures discharges. The nonspecific histopathological changes, observed in the different areas of experimental animals’ brain, have indicated III-stage hypoxic damage of the nerve tissue.



## კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევების გამოვლენა და მართვა თვითშეფასების კითხვარების და დღიურის გამოყენებით

გ. ბერაძე, მ. შერთზია, ნ. ლურსმანაშვილი

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; შპს “უნიკალი“-ს კლინიკური საავადმყოფო

მიღებულია 24.12.2010

კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევების (კნწმ-ს) რეალური სიხშირე მნიშვნელოვნად აღემატება დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობას. მათი მასიური აქტიური გამოვლენის მიზნით მიზანშეწონილად ითვლება თვითშეფასების კითხვარების და დღიურების გამოყენება.

შრომის მიზანს წარმოადგენდა ეპიდემიოლოგიურ და კლინიკურ კვლევებში გამოსაყენებელი, კონკრეტული კვლევის მიზანსა და კონტინგენტის მენტალიტეტთან შესაბამისი თვითშეფასების კითხვარებისა და დღიურების აპრობაცია.

გამოკვლევები ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ბორჯომში.

დადგინდა, რომ: 1) თვითლუსტრაციის მეთოდი მარტივი კითხვარის გამოყენებით წარმოადგენს ქმედით საშუალებას კნწმ-ის რეალობასთან მიახლოებული სიხშირის დასადგენად; 2) კითხვარი შეიძლება გართულდეს მიზნისა და კონტინგენტის გათვალისწინებით, რის გამო შეიძლება საჭირო გახდეს მკვლევარის მონაწილეობა მისი შევსების პროცესში თვითშეფასების პრიორიტეტის დარღვევის გარეშე; 3) მარტივად შესავსები დღიურის ციფრობრივი მონაცემები იძლევა დეფეკაციის ცვლილებების ხარისხობრივი შეფასებისა (მსუბუქი, საშუალო სიმძიმის, მნიშვნელოვანი და სერიოზული) და სტატისტიკური ანალიზის საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება, კითხვარი, დღიური, კნწმ

კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევების (კნწმ-ის) რეალური სიხშირე მნიშვნელოვნად აღემატება დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობას. ამ პათოლოგიის გამოვლენის მიზნით ეპიდემიური კვლევა როგორც ცალკეულ რეგიონებში, ასევე მოსახლეობის სოციალურად განსხვავებულ პოპულაციებში კლინიკური გასტროენტეროლოგიის აქტიურ პრობლემად არის მიჩნეული [1]. საქართველოში მსგავსი სახის გამოკვლევების გამოცდილება არ არსებობს.

რამდენადაც გადახრები სუბიექტური ხასიათისაა, ფუნქციური დარღვევების დიაგნოსტიკა ეყრდნობა შესაბამისი სიმპტომების (ჩივილების) არსებობას და, აქედან გამომდინარე, მათი მასიური აქტიური გამოვლენისთვის მიზანშეწონილად ითვლება თვითშეფასების კითხვარების და დღიურების გამოყენება [1, 4].

სტანდარტის არარსებობის პირობებში კითხვარი უნდა შეესაბამებოდეს კვლევის მიზანს და აუცილებლად იქნას გათვალისწინებული რესპონდენტთა მენტალიტეტი.

ამავე დროს, განხილვის რეჟიმში რჩება კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევების კლასიფიცირების და ცალკეული ტერმინების დეფინიციის საკითხი. ეს, პირველ რიგში, ეხება “დისპეპსიას”, “პოსტპრანდიალურ სინდრომს”, “გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს” და “ყაბზობას”, რომლებიც აერთიანებენ სიმპტომებს არაერთგვაროვანი პათოგენეზური მექანიზმებით [1].

სიმპტომებზე ორიენტირებული კვლევა სანქციონირებულია საყოველთაოდ აღიარებული დებულებით, რომლის თანახმად “საგანგაშო” ნიშნების არარსებობის შემთხვევაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური დარღვევების დიაგნოზი ეყრდნობა სუბიექტურ მონაცემებს და მკურნალობაც შეიძლება ემპირიულად იქნეს დაწყებული [1, 3, 4].

ძნულ-ს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მსხვილი ნაწლავის ფუნქციურ დარღვევებს, რომლებიც, ფსიქო-სოციალურთან ერთად, გარკვეულწილად, დელიკატურ პათოლოგიასაც წარმოადგენენ, რაც კიდევ უფრო პრობლემურს ხდის მათ გამოვლენასა და მართვას [2].

შრომის მიზანს წარმოადგენდა ორიგინალური თვითშეფასების კითხვარებისა და დღიურების აპრობაცია ეპიდემიოლოგიურ და კლინიკურ კვლევებში მათი გამოყენების თვალსაზრისით.

გამოკვლევები ჩატარდა 8 ჯგუფში. სულ გამოკვლეულ იქნა 369 პირი. I ჯგუფი შეადგინა 116 რესპონდენტმა, რომლებსაც თვითშეფასების კითხვარის შევსების მომენტისთვის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დიაგნოზი დასმული არ ჰქონდათ. გამოკითხვა ჩატარდა ქ. თბილისსა და ბორჯომში. კითხვარი შეავსეს სამკურნალო და სააფთიაქო ქსელების თანამშრომლებმა და მათი ოჯახის წევრებმა, ჩიოხხეგვისის და სახალხო ბანკის თანამშრომლებმა. ქალი იყო 80 და მამაკაცი – 36, რომელთა ასაკი 16-დან 81 წლამდეა, მათ შორის 106-ის – 21-დან 60 წლამდე. II ჯგუფი შეადგინა 132 პაციენტი, რომლებსაც შ.პ.ს. “უნიკალის” კლინიკურ საავადმყოფოში ამბულატორულად დაუდგინდათ კნფდ (88 იყო ქალი და 44 – მამაკაცი). პაციენტთა ასაკი მერყეობდა 16-დან 80 წლამდე, მათ შორის 90-ის – 22-დან 60 წლამდე. III ჯგუფის მასალა წარმოდგენილია თვითშეფასების 28 სპეციალური კითხვარის მონაცემებით. გამოკვლევა ჩატარდა ქ. ქუთაისში, 2008 წლის ომის შედეგად დეზინფორმირებული პირების, სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული აქციის პროცესში. კითხვარების შევსება ეთხოვა სხვადასხვა სპეციალისტებთან სამედიცინო დახმარებისთვის მოსულ პირველ 30 პაციენტს. შევსების პროცესს ექიმი არ ესწრებოდა. ორმა პაციენტმა



კითხვარი დააბრუნა შევსების გარეშე. 28 გამოკითხულიდან 23 იყო ქალი. პაციენტების წლოვანება მერყეობდა 9 წლიდან 74 წლამდე. 23-მა (20 ქალმა და 3 მამაკაცმა) მიუთითა ნევროზულ მდგომარეობაზე. მათ შორის 10-მა აღნიშნა ძილის დარღვევა უკანასკნელი 1-2 წლის, ერთმა – უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში. 13-მა მიუთითა უმადობაზე. 13 პაციენტი პერიოდულად იღებს დამაწყნარებელ საშუალებებს, 5 – მუდმივად. 5 პიროვნებას რამდენიმე თვეა დანიშნული აქვს ანტიდეპრესანტი. IV ჯგუფი შეადგინა ცხენოსანი პოლიციის 15 თანამშრომელმა. მათ შორის იყო 2 ქალი, 39 და 53 წლის. მამაკაცების წლოვანება იყო 23-დან 35 წლამდე. ცხენით ყოველდღიური ვარჯიშის ხანგრძლივობა არის 2.5-დან 5 საათამდე. გამოკითხულები ამ საქმიანობით დაკავებული აღმოჩნდნენ 1-დან 17 წლის, საშუალოდ 2.5 წლის მანძილზე. V ჯგუფი წარმოდგენილია 9 პიროვნებით, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ სტანდარტულ ფიზიკურ დატვირთვას იპოდრომზე. 8 (მათ შორის 2 ქალი) ტუნძულით დარბის 7-დან 10 კმ-მდე, ერთი მამაკაცი იმავე მანძილს ფარავს ველოსიპედით. რესპონდენტთა ასაკი იყო 44-დან 73 წლამდე. VI ჯგუფი შეადგინა 23 ორსულმა. თერაპევტის გეგმიური კონსულტაციის დროს, სტანდარტული შეკითხვების შემდეგ, ექიმის მონაწილეობით (კითხვების განმარტება) ხდებოდა კითხვარის შევსება. ჯგუფის წევრების წლოვანება იყო 15-დან 42 წლამდე, მათ შორის 16-ის – 20-დან 30 წლამდე. ორსულობის ხანგრძლივობა მერყეობდა 4-დან 36 კვირამდე. 8 შემთხვევაში დაფიქსირდება შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი უშვილობის პერიოდის შემდეგ ჩატარებული მკურნალობის შედეგად. 4 შემთხვევაში გამოხატული იყო ზომიერი პიოპრომული ანემია, 3 შემთხვევაში – ასევე ზომიერი ლეიკოციტურია. 10 შემთხვევაში იყო მითითება გულისრევაზე ორსულობის პირველ ტრიმესტრში, მათ შორის 2-ს (4 და 6 კვირის ორსულობით) გულისრევა აწუხებდა გამოკითხვის დროსაც. VII და VIII ჯგუფებში გაერთიანდნენ ის პირები, რომლებიც დათანხმდნენ შევესოთ სპეციალური დღიურები. VII ჯგუფი შეადგინეს უმადლესი სამედიცინო სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის 8 სტუდენტმა გოგონამ, 9 ექიმმა და მათი ოჯახების 19 წევრმა, სულ 36 რესპონდენტმა – 10 მამაკაცმა და 26 ქალმა. სტუდენტების ასაკი მერყეობდა 22-დან 25 წლამდე. დანარჩენებიდან 30-დან 40 წლამდე იყო 2 მამაკაცი და 5 ქალი, 41-დან 50 წლამდე – 3 მამაკაცი და 5 ქალი და 51-დან 70 წლამდე 5 მამაკაცი და 8 ქალი. აღნიშნული კონტინგენტის შერჩევა განპირობებული იყო მათი სიახლოვით მედიცინის სფეროსთან, რაც იძლეოდა დღიურების ადეკვატური შევსების მეტ გარანტიას. ჯგუფი პირობითად კვალიფიცირებულია, როგორც “მოხალისეები”. არც ერთ “მოხალისეს” არც ერთხელ არ მიუმართავს წარსულში სპეციალისტისთვის გასტროენტეროლოგიური პრობლემით. VIII ჯგუფი წარმოდგენილია საშუალო სკოლის 10 პედაგოგით, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩვენს შეთავაზებას საშუალო სკოლის მასწავლებლებს შორის 20 დღიანი თვითდაკვირვების ჩატარებაზე. ათივე არის ქალი, 23-დან 43 წლამდე. ყველა იცავს მარხვას, არც ერთი არ ეტანება ალკოჰოლს, ერთი ეწევა სიგარეტს, არც ერთი არ აღნიშნავს რაიმე მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.

152967

I, II, III, IV, V და VI ჯგუფების რესპონდენტებს უნდა აღენიშნათ რამდენჯერ იკვებებიან დღეში, ეწვეიან თუ არა სიგარეტს, რა ინტენსივობით მოიხმარენ ალკოჰოლურ სასმელს, იცავენ თუ არა მარხვას, რა სიხშირით აქეთ კუჭის მოქმედება და აქეთ თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმე ჩივილ(ებ)ი. ანალიზისთვის შერჩეულ იქნა II სიმპტომი: უმადობა, გულისრევა, გულძმარვა, ადრეული დანაყრება, ჭამის მერე სიმძიმის შეგრძნება, მუცლის ტკივილი, იშვიათი დეფეკაცია, დეფეკაცია ჭინთვებით, დეფეკაციის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ფაღარათი, მუცლის შებერვა.

II ჯგუფის პაციენტებს პასუხი უნდა გაეცათ ყველა ზემოჩამოთვლილ სიმპტომთან დაკავშირებით, განურჩევლად წარმოდგენილი ჩივილ(ებ)ისა.

III, IV, V და VI ჯგუფის წარმომადგენლებს დამატებით ჰქონდათ კითხვები სიმპტომების ანამნეზთან დაკავშირებით ამა თუ იმ ფაქტორთან მათი შესაძლო კავშირის გამოვლენის მიზნით.

VII და VIII ჯგუფების რესპონდენტებს დღის მონაკვეთის (დილა, დღე, საღამო) მითითებით ყოველდღიურად უნდა აღენიშნათ საკვების მიღება, მუცლის ტკივილის, მუცლის შებერვის (მეტეორიზმის), გულძმარვის და კუჭის მოქმედების (დეფეკაციის) ფაქტები. თვითშეფასების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა დეფეკაციის ხასიათის შეფასება 1, 2 ან 5 ქულით. 5 ქულა აღნიშნავს ნორმალურ დეფეკაციას გაფორმებული ექსკრემენტით, 2 ქულა - დეფეკაციას ჭინთვებით და დაქუცმაცებული ან თხელი ექსკრემენტით, 1 ქულა - "ცხვრის ცურცლისმაგვარ" ან წყალწყალა გამოწყაფს, ოყნის ან ლაქსატივის გამოყენებით გამოწვეულ დეფეკაციას. დაკვირვების სტანდარტული ხანგრძლივობა იყო 60 დღე. სტუდენტების შემთხვევაში გრძელდებოდა 10-დან 25 დღემდე. ციფრობრივი მასალის დამუშავება იწყებოდა 3-3 დღიანი მონაცემების თანმიმდევრული მცოცავი გასაშუალებით. შესაბამისად, პირველი ციფრი (პირობითად - "ერთეული") წარმოადგენს პირველი 3 დღის საშუალო მაჩვენებელს, მეორე - მეორე, მესამე და მეოთხე დღეების, მესამე - მესამე, მეოთხე და მეხუთე დღეების და ა.შ. 3-3 დღიანი ინტერვალი შერჩეულ იქნა დეფეკაციის სიხშირის დღეს არსებული ნორმიდან (დღეში 3-ჯერ - კვირაში 3-ჯერ) გამომდინარე. მიღებული ციფრების რიგი შემდგომ გრაფიკულად გამოისახება. აბსოლუტურ ნორმას შეესაბამება 5-5 ერთეულებით გამოისახული სწორი ხაზი. დეფეკაციის დარღვევას გრაფიკში შეესაბამება "ჩაყარდნები", რომლის "ფსკერის" დონის მიხედვით შეიძლება გამოიყოს დარღვევების 4 ხარისხი - მსუბუქი, საშუალო, მნიშვნელოვანი და სერიოზული. გრაფიკის ინვერსია ნულოვან დონემდე ასახავს მიყოლებით მინიმუმ 3 დღის განმავლობაში დეფეკაციის არარსებობას. შემთხვევის შესაფასებლად შესაძლებელია ასევე გამოთვლილ იქნას დარღვევების ეპიზოდების ხანგრძლივობა და დაკვირვების პერიოდში მათი სიხშირე. ცალკეული შემთხვევების ინტეგრირებული შეფასების საშუალებას იძლევა "ჩაყარდნების" პლანიმეტრია და მათი ფართობის მთლიან ფართობთან პროცენტული გამოსახვა. ამ შემთხვევაშიც ნორმიდან გადახრები კლასიფიცირდება როგორც მსუბუქი (25%-მდე), საშუალო სიმძიმის (50%-

მდე), მნიშვნელოვანი (75%-მდე) და სერიოზული (>75%-ზე). ინტეგრირებული მახასიათებლების რიგი ექვემდებარება სტატისტიკურ ანალიზს.

116 კითხვარის მონაცემების თანახმად, სიმპტომები სიხშირის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: მუცლის შებერვის შეგრძნება – 40%; ჭამის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება ეპიგასტრიუმის არეში – 36%; გულმძარვა – 33%; ფაღარათი – 31%; დეფეკაცია ჭინთვებით – 24%; გულისრევა – 23%; მუცლის ტკივილი – 20%; ჭამის დროს ადრეული დანაყრების გრძნობა – 17%; დეფეკაციის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა – 11%; იშვიათი დეფეკაცია – 10%; უმადობა – 9%. გამოკითხულთაგან 16-მა (13%) არ მიუთითა არც ერთ სიმპტომზე, ერთ ჩივილზე მიუთითა 25-მა (22%), 2 და მეტი სიმპტომი დააფიქსირა 75-მა (65%), მათ შორის 2-4 სიმპტომი – 51-მა (44%) და 5-ზე მეტი – 24-მა (21%). 100 კითხვარის მიხედვით გამოვლინდა 11 სიმპტომის კომპლექტაციის 69 ვარიანტი. კითხვარების მონაცემების მიხედვით, დამოუკიდებელი სახით გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დიაგნოზის დასმა არც ერთ შემთხვევაში არ იყო შესაძლებელი. ყველაზე ხშირად, 72 შემთხვევაში აღინიშნა სხვადასხვა სინდრომების ან მათი ცალკეული სიმპტომების ასოციაციები. 8 შემთხვევაში შეიძლება დაისვას ფუნქციური ყაბზობის დიაგნოზი, 7-7-ში – ფუნქციური მეტეორიზმისა და პოსტპრანდიალური დისტრეს სინდრომის და 6-ში – ფუნქციური ყაბზობის.

პაციენტთა კლინიკაში მომართვისას ძირითადი ჩივილები იყო: მეტეორიზმი მუცლის შებერვით – 74%, მუცლის ტკივილი – 70%; იშვიათი დეფეკაცია – 63%. მუცლის ტკივილის 93 შემთხვევიდან 72-ში დადგენილ იქნა ბნს, მათ შორის 53-ში – უპირატესად ყაბზობით მიმდინარე, 9-ში – უპირატესად ფაღარათით მიმდინარე და 10-ში – ყაბზობისა და ფაღარათის მონაცვლეობით მიმდინარე. 85 შემთხვევაში მუცლის ტკივილი ასოცირდებოდა მუცლის შებერვასთან, მათგან 20 შემთხვევაში – ყაბზობაზე და ფაღარათზე მითითების გარეშე. 18 შემთხვევაში (13.5%) დაისვა ფუნქციური ყაბზობის დიაგნოზი და 1 შემთხვევაში (2%) – ფუნქციური ფაღარათის. დისპეპსიური სიმპტომებიდან სიმძიმის გრძნობა მუცელში ჭამის მერე აღინიშნა 28 პაციენტმა, მათ შორის 10-მა – ადრეულ დანაყრებასთან ერთდროულად. 28-დან 24 შემთხვევაში პოსტპრანდიალური დისტრეს სინდრომი შეუძლებელი იყო ნაწლავისმიერ სიმპტომებთან.

გამოკვლევულ დევნილთა უმრავლესობამ აღნიშნა მუცლის პერიოდული ტკივილი, მეტეორიზმი, ბოყინი (19 შემთხვევა) და მუცლის შებერვა (14 შემთხვევა). 17 პიროვნება პერიოდულად იღებს ლაქსატივებს, თუმცა მხოლოდ 4-მა მიუთითა დეფეკაციის გაიშვიათებაზე და ამდენივემ – დეფეკაციაზე ჭინთვებით. ადრეული დანაყრების შეგრძნება აღინიშნა 10-მა (36%) და სიმძიმის შეგრძნება – 11 (39%) გამოკვლევულმა. პოსტპრანდიალური დისტრეს სინდრომის სიმპტომები ყველა შემთხვევაში განვითარებული იყო დევნილობის ორწლიან პერიოდში. გულმძარვაზე მიუთითა 2 მამაკაცი და 8 ქალმა.

ცხენოსანი პოლიციის 15 თანამშრომლიდან მხოლოდ ორმა მიუთითა ჩივილზე, ორივემ – იშვიათ ფაღარათზე.

რეგულარული დატვირთვის მქონე 9 პიროვნებიდან სამმა აღნიშნა თითო-თითო სიმპტომი – ადრეული დანაყრება, სიმძიმის შეგრძნება მუცლის ზედა ნაწილში და ზოგჯერ დეფეკაცია ჭინთვებით.

ორსულთაგან, შეკითხვაზე “ხომ არაფერი გაწუხებთ?”, არც ერთს არ მიუთითებია რაიმე დისკომფორტზე კუჭ-ნაწლავის მხრივ. კითხვარების შევსებით გამოვლინდა: 1) გულმმარვა – 9 შემთხვევაში, მათგან 8 შემთხვევაში ის განვითარდა ფეხმძიმობის შემდეგ და იყო მეტად გამოხატული ორსულობის I ტრიმესტრში (5 შემთხვევაში მითითებული იყო წარსულ დროში); 2) ჭამის მერე სიმძიმის გრძნობა მუცელში – 7 შემთხვევაში, მათგან 4-ში განვითარდა ფეხმძიმობის სხვადასხვა პერიოდებში; 3) მეტეორიზმი და ბოყინი – 14 შემთხვევაში, მათგან 9 შემთხვევაში მითითებული არის მუცლის შებერვა და 7-ში – მუცლის ტკივილი. აღნიშნული ჩივილები 2 შემთხვევაში იყო ორსულობამდეც. იშვიათი დეფეკაცია ჭინთვებით და დეფეკაციის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება აღნიშნა 2-მა ორსულმა. ეს მოვლენები მათ აწუხებდათ 3-5 წელი და ორსულობის პერიოდში გაუარესება არ მომხდარა.

“მოხალისეთა” დღიურებში არც ერთხელ არ არის დაფიქსირებული მუცლის ტკივილი. დეფეკაციის აბსოლუტურად ნორმალური რესულტატი (0%) აღინიშნა 8 შემთხვევაში. რვავე ნორმალური მანვენებული ეკუთვნის 50 წელზე ხანდაზმულ რესპონდენტებს – 2 მამაკაცს და 6 ქალს. არც ერთ შემთხვევაში არ იყო ასევე მითითება დეფეკაციის სიხშირის ნორმიდან გადახრაზე, 8 პირი 2-დღიანი შეკავების შემთხვევაში დეფეკაციას იწყებდა დაქსატივის მიღებით. დეფეკაცია დილით დაფიქსირებულია 772-ჯერ (55%), დღისით – 231-ჯერ (16%), საღამოთი – 411-ჯერ (29%). 28 შემთხვევაში გამოხატული იყო დეფეკაციის დარღვევა: 12-ში – მსუბუქი (1%-19%), 13-ში – საშუალო სიმძიმის (27%-46%) და 3-ში – მნიშვნელოვანი ანუ მძიმე (51%-64%).

ათივე პედაგოგმა გააკეთა მინიშნება სხვადასხვა ხასიათის დისკომფორტზე კუჭ-ნაწლავის მხრივ. მათგან 7-ს ადრე ამის გამო მიუმართავს ექიმისთვის და პერიოდულად აქვს ჩატარებული მკურნალობა. დაკვირვების პერიოდში რაიმე მკურნალობაზე მითითება არ არის, გარდა ერთი ფაქტისა დაქსატივის მიღებისას. 7-მა გამოკითხულმა აღნიშნა ახლო წარსულში სტრესი, ამდენივე მიუთითა სანერვიულო ეპიზოდზე დაკვირვების პერიოდში. ყველაზე ხშირი ჩივილი იყო მუცლის შებერვა (7 შემთხვევა), რაც ზოგჯერ (4 შემთხვევა) შეუღლებული იყო ადრეული გაძღობის შეგრძნებასთან. გამოკითხულთაგან 2-ს დაკვირვების პერიოდში ჰქონდა ფადარათი, მათ შორის ერთს – ხშირი. დეფეკაციის ხარისხის მანვენებული 2 შემთხვევაში იყო ნორმალური, 5 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მსუბუქ (4%-დან 18%-მდე) დარღვევას, 1 შემთხვევაში – საშუალო სიმძიმის (28%) და ორ შემთხვევაში – გამოხატული (56% და 64%).

ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურებულ იქნა: 1) კნჰმ-ს მაღალი სიხშირე, მრავალფეროვნება და მანიფესტაციის უპირატესად პოლისიმპტომური ხასიათი; 2) მოქალაქეთა დიდი ნაწილის, მათ შორის სამედიცინო პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დენილებისა და ორსულების უყურადღებობა კნჰმ-ს გამოვლინებებისადმი.

დადგინდა, რომ 1) ძნულ უზშირესად არის პოლისიმპტომური და პოლისინდრომული პათოლოგია, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის როგორც დიაგნოზის, ასევე მკურნალობის განსაზღვრის დროს; 2) ნაწლავების ფუნქციური დარღვევებით პაციენტების ექიმთან მიმართვის მოტივაცია ძირითადად არის მუცლის შებერვა, განსაკუთრებით მუცლის ტკივილით და დეფეკაციის ძნელად რეგულირებადი გაიშვიათება; 3) წლების განმავლობაში პრაქტიკულად სტაბილური დისკომფორტი, ლაქსატივების ხშირი გამოყენების აუცილებლობა ასეთსავე ყურადღებას არ იმსახურებს; 4) თვითლუსტრაციის მარტივი მეთოდი არ იწვევს რესპონდენტების მხრივ პროტესტს, პოტენციურ პაციენტებში ამახვილებს ყურადღებას კუჭ-ნაწლავის მხრივ არსებულ დისკომფორტზე; 5) შედარებით რთული კითხვარის შევსება საჭიროებს სპეციალისტის განმარტებებს; 6) პაციენტები ძნულ-ის სიმპტომებით უზშირესად არ იტარებენ მკურნალობას ან იტარებენ დროებითი ეფექტის მომცემ ეპიზოდურ მკურნალობას.

ჩატარებული გამოკვლევები შესრულებულია საერთაშორისო ექსპერტთა მიერ შეთანხმებული დოკუმენტების (რომი I, რომი II და რომი III) სულისკვეთების გათვალისწინებით. ეს დოკუმენტები, პირველ რიგში, რომი III, არ არიან იმპერატიული ხასიათის, რის მიუხედავადაც წარმოადგენენ ავტორიტეტულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს [1]. ამ რეკომენდაციებისა და ჩვენ მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1) თვითლუსტრაციის მეთოდი მარტივი კითხვარის გამოყენებით წარმოადგენს ქმედით საშუალებას ძნულ-ის რეალობასთან მიახლოებული სიხშირის დასადგენად; 2) კითხვარი შეიძლება გართულდეს მიზნისა და კონტინგენტის გათვალისწინებით, რის გამოც შეიძლება საჭირო გახდეს მისი შევსების პროცესში მკვლევარის მონაწილეობა, თვითშეფასების პრიორიტეტის დარღვევის გარეშე; 3) მარტივად შესასვები დღიურის ციფრობრივი მონაცემები იძლევა დეფეკაციის ცვლილებების ხარისხობრივი შეფასების საშუალებას.

## ლიტერატურა

1. Drossman D.A. Gastroenterologia, 2006, 130, 1377-1390.
2. Levy R.L., Olden K.W. et al. Gastroenterologia, 2006, 130, 1447-1458.
3. McQuaid K.R. Current Medical Diagnosis & Treatment. Lange, 2009, 487-581.
4. Spiegel B., Camilleri M. et al. Gastroenterologia, 2009, 137, 1944-1963.

## **ВЫЯВЛЕНИЕ И УПРАВЛЕНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНЫХ НАРУШЕНИЙ ЖЕЛУДОЧНО-КИШЕЧНОГО ТРАКТА ПУТЕМ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ВОПРОСНИКА И ДНЕВНИКА САМООЦЕНКИ**

*Г. Берадзе, М. Шерозия, Н. Лурсманашвили*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; Клиническая больница ООО  
“Уникал”, Тбилиси

### **РЕЗЮМЕ**

Реальная частота функциональных нарушений желудочно-кишечного тракта (ФНЖКТ) намного превышает количество диагностически выявленных случаев. Для более полного и активного их выявления считается целесообразным использование вопросника и дневника самооценки.

Целью работы являлась апробация вопросников и дневников самооценки, использование которых стало бы возможным в эпидемиологических и клинических исследованиях в соответствии с целью исследования и менталитету контингента исследуемых.

Исследование было проведено в г. Тбилиси, Кутаиси и Боржоми.

Проведенное исследование подтвердило: 1) высокую частоту, многообразие и полисимптомность ФНЖКТ; 2) невнимание большого числа исследуемых к субъективным проявлениям заболевания.

Исследование показало, что: 1) метод самолюстрации с использованием простого вопросника представляет собой действенный метод установления частоты ФНЖКТ, максимально приближенного к реальности; 2) вопросник может быть дополнен и усложнен в соответствии с учетом контингента и цели исследования, в связи с чем во время его заполнения может стать целесообразным участие исследователя, без нарушения приоритета самооценки; 3) цифровые показатели, простого в заполнении дневника, дают возможность статистического анализа и качественной оценки (легкая, средней тяжести, важные и серьезные) изменений процесса дефекации.

## **IDENTIFICATION AND MANAGEMENT OF FUNCTIONAL GASTROINTESTINAL DISORDERS USING SELF-APPRAISAL QUESTIONNAIRES AND DIARIES**

*G. Beradze, M. Sherozia, N. Lursmanashvili*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy; Ltd Clinical Hospital “Unical”

### **SUMMARY**

The frequency of functional gastrointestinal disorders is much higher than the diagnosed ones. For their active identification, it is strongly recommended to use self-appraisal questionnaires and diaries.

The aim of our work was to approbate self-appraisal questionnaires and diaries appropriate for the aim of research and mentality of the contingent, used in epidemiological and clinical researches.



The research has been carried out in Tbilisi, Kutaisi and Borjomi.

According to the results of research, the following was affirmed: 1) high frequency of functional gastrointestinal disorders, its variety and polysymptomatism, 2) neglectfulness of majority of society to identify this disease.

The results of our research have shown that: 1) self-lustrated method, using simple questionnaire, is a valuable way to establish the frequency of functional gastrointestinal disorders; 2) the questionnaire might get complicated, taking into consideration the aim and contingent, for that the researcher need to be participated into the filling process of questionnaires, without abolishment of priority of self-apprise; 3) the materials by number of diary give us the opportunity of statistical analysis and quality appraisal of changes of defecation (light, middle, important and middle level).

## **აზოტის ოქსიდის შესაძლო როლი მიომეტრიუმის რელაქსაციაში (ლიტერატურის მიმოხილვა)**

*თ.ვ. ბექაია\*, თ. გაინარაშვილი, ლ. მაჭავარიანი\*, თ. სინაურიძე, მ. ფრუიძე\*, ხ. ხომასურიძე, ქ. ხუციშვილი*

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; \* სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

მიღებულია 08.02.2011

მოცემულ მიმოხილვით სტატიაში გაანალიზებულია აზოტის ოქსიდის როლი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციების რეგულაციაში როგორც ნორმაში, ასევე პათოლოგიურ პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კარგად ცნობილ ვარაუდზე, რომ აზოტის ოქსიდი კალციტონინის გენთან დაკავშირებულ პეპტიდთან ერთად ჩართულია მიომეტრიუმის რელაქსაციის მექანიზმში. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი ვაზოდილატაციის მექანიზმი, რომელშიც აზოტის ოქსიდი დომინანტურ როლს ასრულებს, აგრეთვე განხილულია მისი შესაძლო როლი მიომეტრიუმის რელაქსაციაშიც.

**საკვანძო სიტყვები:** აზოტის ოქსიდი, მიომეტრიუმი, რელაქსაცია, კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი

ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ფარმაკოლოგიურ ინჰიბიტორებს შეუძლიათ მოახდინონ მიომეტრიუმზე კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის (CGRP) ეფექტის ბლოკირება [34]. უფრო მეტიც, იგივე ავტორებმა აჩვენეს, რომ NADPH, რომელიც ითვლება აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) მჩვენებლად, ლოკალიზებულია საშვილოსნოს ნერვულ ბოჭკოებში. ამის საფუძველზე ავტორებმა დაასკვნეს, რომ CGRP-ით ინდუცირებული მიომეტრიუმის რელაქსაცია განპირობებული უნდა იყოს აზოტის ოქსიდით.

მოკლედ მიმოვიხილოთ მონაცემები აზოტის ოქსიდის შესახებაც. მეოცე საუკუნის 90-ან წლებამდე ვაზოაქტიური მეტაბოლიტების ძირითადი სია ასე გამოიყურებოდა: ნახშირორჟანგი, ადენოზინი, კალიუმის და წყალბადის იონები, ჰისტამინი, სეროტონინი, ბრადიკინინი და ა.შ. [15].

საუკუნის დასასრულს აზოტის ოქსიდის აღმოჩენამ პრინციპულად შეცვალა ექსპერიმენტული კვლევის მიმართულება მსოფლიოს მასშტაბით



და ყურადღება მთლიანად იქნა გადართული ამ ახალი ფაქტორის როლისა და ფუნქციის დადგენისადმი სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში [4, 9, 12, 17, 42]. ინტენსიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აზოტის ოქსიდი არის ის ძლიერი ვაზოდისაგატორი, რომელიც თავდაპირველად იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციური ფაქტორი [14]. უკვე ცნობილია, რომ პერივასკულური ნერვების, გლისის, აქტიური ნეირონების მიერ იგი აგრეთვე გამომუშავდება თავის ტვინშიც და, ამდენად, შეუძლია ფართოდ აკონტროლოს სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა თავის ტვინშიც [4]. ზოგიერთ კვლევაში ნაჩვენებ იქნა, რომ აზოტის ოქსიდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სისხლძარღვთა ბაზალურ ტონუსში და ასევე დიდ როლს ასრულებს ნახშირორჟანგით გამოწვეულ სისხლის მიმოქცევის მატებაში [17].

მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს აზოტის ოქსიდს სისტემური ჰიპოქსიის [28] და ჰიპოტენზიის პირობებშიც [38].

დადგენილია, რომ ორგანიზმში აზოტის ოქსიდი (NO) წარმოადგენს სასიგნალო მოლეკულას, რომელიც, გარდა სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაციისა, ჩართულია სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციების განხორციელებაში, მათ შორისაა იმუნური სისტემის რეაქციები და ნეიროტრანსმისია [3, 18, 24, 33]. აზოტის ოქსიდი ლიპოფილურია, ტრანსცელულარული დიფუზიით იოლად აღწევს ინტრაცელულარულ სამიზნეებს, რითაც გარკვეულწილად ემსგავსება პორმონს. NO ხასიათდება ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობით. ჟანგბადი აზოტის ოქსიდს ჟანგავს წყალხსნარში აზოტურ ანიონდამდე ნიტრიტის შემდგომი წარმოქმნით. თუ ჟანგბადისა და აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია შესაბამისად 20 და 1 მიკრომოლია, მაშინ აზოტის ოქსიდის ნახევარსიცოცხლის დრო დაახლოებით 500 წამია, მაგრამ *in vivo* პირობებში ეს მაჩვენებელი განისაზღვრება 5 წამის ოდენობით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აზოტის ოქსიდი აქტიურ ურთიერთქმედებაშია უჯრედოვან კომპონენტებთან. ყველაზე დიდი სიჩქარით აზოტის ოქსიდი რეაგირებს სუპეროქსიდურ ანიონთან ( $O_2^-$ ) და გარდამავალ ლითონებთან: რკინისა და სპილენძის ჰემურ კომპლექსებთან, რკინა-გოგირდოვან სტრუქტურებთან.

აზოტის ოქსიდის უმრავლესი უჯრედული ეფექტების გამოვლენა დამოკიდებულია NO და  $O_2^-$  კონცენტრაციათა თანაფარდობაზე, ვინაიდან ბევრ ჯგუფზე მოქმედებს არა უშუალოდ აზოტის ოქსიდი, არამედ პეროქსინიტრიტი, რომელიც არის ბევრად უფრო აქტიური და პოტენციურად უფრო ტოქსიკური შენაერთი, ვიდრე ცალ-ცალკე აღებული NO და  $O_2^-$ . გარკვეულ პირობებში, მაგალითად, ციტოკინების მოქმედებისას, როდესაც უჯრედებში აქტიურად მიდის თიოლების და რკინა-გოგირდოვანი ცენტრების ჟანგვა, ჭარბობს აზოტის ოქსიდის ციტოტოქსიკური მოქმედება. მაგრამ თუ შეიცვალა კონცენტრაციების ბალანსი, ანუ თუ აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აჭარბებს  $O_2^-$ -ის კონცენტრაციას, მაშინ ხდება პეროქსინიტრიტის აღდგენა  $NO_2$ -მდე და ამ პირობებში NO მოქმედებს უკვე როგორც ანტიოქსიდანტი, რომელიც

უჯრედებს ჟანგბადის აქტიური ფორმების ციტოტოქსიკური მოქმედებისგან იცავს [2, 4, 39].

გარდა მაღალი ქიმიური აქტიურობისა, აზოტის ოქსიდის, როგორც სასიგნალო მოლეკულის მნიშვნელობა, განისაზღვრება მისი სწრაფი დიფუზიის უნართაც. თანახმად არსებული მონაცემებისა [20], აზოტის ოქსიდი მისი მასინთეზირებელი უჯრედისგან საკმარისად შორს და სწრაფად ვრცელდება. სინთეზის დაწყებიდან დაახლოებით ორი წამის შემდეგ მასინთეზირებელი უჯრედისგან 100 მკმ-ის დაცილებით აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია წონასწორული მნიშვნელობის ნახევარს შეადგენს [20]. წარმოქმნის ადგილიდან 160 მკმ-ის დაცილებით (რაც დაახლოებით რვა უჯრედული დიამეტრის ტოლია), სინთეზის მუდმივი დონის შენარჩუნების პირობებში აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია ორჯერ კლებულობს [20].

ტრადიციული ნეიროტრანსმიტერებისგან განსხვავებით, NO არ გროვდება ნერვული დაბოლოებების სინაფსურ ვეზიკულებში. L-არგინინის L-ციტრულინად კატალიზურად გარდაქმნის თანაპროდუქტის ფერმენტ NO-სინთაზას (NOS) საშუალებით NO-ს მოლეკულა სინთეზირდება ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მიხედვით [6].

აღმოჩნდა, რომ უჯრედში არსებობს NOS ჯგუფის ფერმენტები, რომლებიც შეიცავენ ნეირონალურ (nNOS), ენდოთელურ (eNOS) და ინდუციბელურ (iNOS) იზოფორმებს. ისინი განსხვავდებიან მოლეკულური, ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური თავისებურებებით [18, 33].

კონსტიტუციური NOS-ის იზოფორმები (eNOS და nNOS) ჩვეულებრივ არსებობენ ენდოთელურ უჯრედებსა და ნეირონებში და აქტივდებიან კალციუმის, კალმოდულინის, ჟანგბადის თანაარსებობისას და იშლებიან ნიკოტინამიდ ფოსფატამდე, მაშინ როცა არგინინის დერივატები ჩვეულებრივ აინჰიბირებენ მათ კატალიზურ აქტიურობას. კონსტიტუციური იზოფორმები, უჯრედშიდა კალციუმის დონის გაზრდამდე არააქტიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. გაზრდის შედეგად კალმოდულინი დაუკავშირდება კალციუმს და კალციუმ-კალმოდულინის კომპლექსი უკავშირდება და ააქტივებს NOS-ს. შემდეგ ხდება NO-ის სინთეზი და ის მცირე რაოდენობით გამოიყოფა მანამ, სანამ შემცირდება კალციუმის დონე. აზოტის ოქსიდის ასეთი პერიოდული წარმოქმნით ხდება სიგნალების გადაცემა. ამის საწინააღმდეგოდ, ინდუციბელური NOS, იყენებს რა ტეტრაჰიდრობიოპროტეინს, როგორც მის მთავარ კოფაქტორს, დაკავშირებულია მაკროფაგებთან და იმუნური ფუნქციის სხვა უჯრედებთან. ინდუციბელური NOS-ის საშუალებით NO დიდი (1000-ჯერ მეტი) ოდენობით მუდმივად სინთეზირდება იმ უჯრედებში, რომლებიც ირგვლივ მყოფი უჯრედებისთვის პათოლოგიურს წარმოადგენენ, ანუ ბაქტერიებსა და პარაზიტებში [6]. iNOS-ის აქტივაციისას NO-ს წარმოქმნა მკვეთრად იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს მხოლოდ საათების განმავლობაში [1].

მრავალი ფაქტორი, ისეთი როგორცაა ოქსიჰემოგლობინისა და პეროქსიდული ანიონის ნაკლებობა, პიპოქსია, კალციუმის დაბალი შიგაუჯრედული მარაგი და ექსტრემალური ტემპერატურის პირობები, შეიძ-

ლება წარმოადგენდეს NO-ს წარმოქმნისა და აქტიურობის ხელის შემშლელ ფაქტორს [24, 33].

NOS-ის გენის ექსპრესია შესაძლოა გამოვლინდეს კოფაქტორებზე მოთხოვნებით და სხვადასხვა სასიგნალო გზების ურთიერთქმედებით [33]. მისი მარეგულირებელი ზეგავლენების რიცხვში შედის განსაზღვრული ზრდის ფაქტორები, ციტოკინებისა და ტრანსკრიპციის ფაქტორები, ასევე მექანიკური ფაქტორები, როგორცაა ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფერომენი, რომელიც განსაზღვრავს ენდოთელური NOS-გენის ექსპრესიას.

ჯანგბადის აქტიური ნაერთებიც ახდენენ გავლენას NOS-ის აქტიურობაზე. დადგენილია, რომ თავის ტვინში L-არგინინისგან NO-ს წარმოქმნის პროცესში, რომელიც კატალიზდება iNOS-ის ციტოლიზური იზოფორმით, მონაწილეობენ სუპეროქსიდ ანიონი, წყალბადის ზეჟანგი და ჰიდროქსიდ რადიკალი [7, 22].

NO-ს ძირითად ბიოქიმიურ ფუნქციას წარმოადგენს მეორადი სასიგნალო მოლეკულის 3',5'-ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) შიგაუჯრედული წარმოქმნის სტიმულირება [18, 33]. NO-ს ეფექტს, დაუკავშირდეს გუანილატციკლაზას ჰემის ნაწილს, მოსდევს მისი ლოკალური წარმოქმნა და დიფუზია. ის იწვევს გუანილატციკლაზას გააქტივებას, რომელიც შემდგომში გუანოზინ-5'-ტრიფტოფანიდან აკატალიზებს cGMP-ს წარმოქმნას. უფრო მეტად, ვიდრე ციკლური ნუკლეოტიდი 3',5'-ციკლური ადენოზინ მონოფოსფატი (cAMP), cGMP ამოღულირებს სხვადასხვა უჯრედშიდა ფუნქციებს გლუვი კუნთების მნიშვნელოვან რელაქსაციისა და სისხლის ნაკადის მნიშვნელოვანი მატების გზით [6].

NO-სთვის დამატებით ბიოქიმიურ ფუნქციებს შეადგენს ურთიერთობა ჰემოგლობინთან, სისხლის შრატის ალბუმინთან, არაკუმურ რკინა-გოგირდოვან ცილებთან და მათთან სტაბილური კომპლექსების შექმნა, რაც, თავის მხრივ, იწვევს NO-ს ბიოლოგიური ეფექტების გაერცვლებას სისხლძარღვებზე.

NO გამოიყოფა ენდოთელიუმში და მიგრირებს სისხლძარღვთა კედლის გლუკუნთოვან უჯრედებში, იწვევს რა მათ მოდუნებას და ამგვარად, იგი წარმოადგენს ბუნებრივ მიორელაქსანტს, რომლის “სამიზნე” არის სისხლძარღვთა კედლის კუნთი. ნაჩვენებია, რომ ენდოთელური NOS გენის გამოთიშვას მიეყავართ მკვეთრ ჰიპერტენზიამდე. აღამიანში NO-სინთაზას დეფექტებს გენში მიეყავართ ათეროსკლეროზამდე.

ცნობილია, რომ ანოქსიის მდგომარეობაში NO-ს პროდუქცია დათრგუნულია, რადგან NO-ს სინთეზი საჭიროებს ჯანგბადის მოლეკულების თანაარსებობას [28]. Pohl და Busse-მ [31] უჩვენეს, რომ ჰიპოქსია ასტიმულირებს NO-ს გამოყოფას სისხლძარღვებიდან და ენდოთელური უჯრედების კულტურებიდან.

დადგენილია, რომ ჯანგბადის და აზოტის რეაქციული სახეობები წართული არის სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების პათოგენეზში. კერძოდ, ხშირად აზოტის ოქსიდს შეუძლია გამოიწვიოს

უარყოფითი მოქმედება ანთებით ქსოვილზე, რომელიც მანიფესტირდება გაუარესებული ენდოთელიუმ-დამოკიდებული ვაზოდილატაციით [37], ბირთვული ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივაციით, ანთებითი ციტოკინების შესაბამისი პროდუქციით [13], ლეიკოციტების მობილიზაციით და აქტივაციით [19], აჩქარებული აპოპტოზით [41] და პარენქიმული უჯრედების ნეკროზით [23]. არაიშემიურ ცდებში ნაჩვენებია იყო, რომ ეპითელიური ნეკროზი და/ან აპოპტოზი კორელირებს აზოტის ოქსიდის დისრეგულაციასთან [11]. ამავე ნაშრომში ნაჩვენებია იყო, რომ ლორწოვანი გარსის ადრეული ნეკროზი ვითარდება ლიმპოპოლისაქარიდებით ინდუცირებული ანთების და მიკროცერკულაციის მოშლის შედეგად, ხოლო აზოტის ოქსიდის როლი გამოკვეთილია უფრო მოგვიანო სტადიაზე – ეპითელიური აპოპტოზის დროს.

ამგვარად, აზოტის ოქსიდის ვაზოდილატაციური ფუნქციის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ NO-ს ქიმიური ბუნება მას უნარს აძლევს დიფუზიის გზით სწრაფად მიადწიოს სამიზნე უჯრედებამდე, გააქტიუროს ციტოზოლური ფერმენტი – გუანილატ ციკლაზა და ამგვარად გამოიწვიოს ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) ფორმირება [24]. ეს ნუკლეოტიდი კი პროტეინკინაზა G-ს აქტივაციის გზით ასტიმულირებს Ca-ATP-ზას, სისხლძარღვოვან გლუვ კუნთებში ამცირებს უჯრედშიდა  $Ca^{2+}$  და ამის შედეგად ვითარდება ვაზორელაქსაცია [30, 32].

საშვილოსნოში NOS ფერმენტების ექსპრესიისა და უჯრედული ლოკალიზაციის კვლევამ ურთიერთგამომრიცხავი შედეგები აჩვენა, რაც დიდად უნდა იყოს განპირობებული გამოყენებული მეთოდიკების არარაოდენობრივი ბუნებით და ექსპერიმენტული მოდელების თავისებურებებით. ამის მიუხედავად, NOS-ის იზოფორმები იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ცალკე, ისე სხვადასხვა კომბინაციაში მრავალი ცხოველის საშვილოსნოში (გამოიყენებოდა იმუნოციტოქიმია, NOS-ის ფერმენტული აქტიურობის გაზომვა) [16, 26, 36]. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ექსპრესირებული NOS-ის ტიპი დამოკიდებულია ცხოველის სახეობასა და გესტაციის სტადიაზე.

ასე, მაგალითად, ბოცვერების საშვილოსნოში ძირითადად ვლინდება ინდუციბელური NOS-ი, მაშინ როდესაც ვირთაგვას საშვილოსნოში – როგორც ინდუციბელური, ისე კონსტიტუციური ფორმები. არამაკე ვირთაგვების საშვილოსნოში ექსპრესირდება მხოლოდ NOS-ის მესამე (ენდოთელური) ტიპი [10]. მაკეობისას ვირთაგვების საშვილოსნოში მნიშვნელოვნად იზრდება აზოტის ოქსიდის პროდუცირება [40]. ამასთან ერთად, ნიტრო-L-არგინინ მეთილ-ესტერით (L-NAME) აზოტის ოქსიდის პროდუქციის ინჰიბირება ზრდის ბაქტერიალურ ინვაზიას და ინფექციით ინდუცირებულ ლეტალობას მაკე ვირთაგვებში [27].

აზოტის ოქსიდი ჩართული აღმოჩნდა ორსულობის ხელშეწყობისა და შეწყვეტის პროცესებშიც [36]. თუმცა, ადამიანის საშვილოსნოში მშობიარობასთან ასოცირებულ NOS-ის დონის არსებითი მატება ან აქტიურობის რაიმე ცვლილება არ იქნა გამოვლენილი [8].

## ლიტერატურა

1. *Меньшикова Е.Б., Венков Н.К., Реутов В.П.* Биохимия, 2000, 65, 4, 485-503.
2. *Beckman J.S., Chen J., Crow J., Ye Y.Z. et al.* Prog. Brain Res., 1994, 80, 103:371.
3. *Bredt D.S., Snyder S.H.* Neuron, 1992, 8(1), 3-11.
4. *Brian J.E. Jr, Faraci F.M., Heistad D.D.* Clin. Exp. Pharmacol. Physiol., 1996, 23(6-7), 449-457.
5. *Brune V., Messmer U.K., Sandau K.* Toxicol. Lett., 1995, 82-83, 233-237.
6. *Brunet L., Finkelman F.D., Cheever A.W., Kopf M.A., Pearce E.J.* J. Immunol., 1997, 159, 777-785.
7. *Claney R.M., Leszczynska-Pasiak J., Abramson S.B.* J. Invest., 1992, 90, 1116-1121.
8. *Dennes W.J., Slater D.M., Poston L., Bennet P.R.* Am. J. Obstet. Gynecol., 1999, 180, 387-392.
9. *Dirnagl U., Lindauer U., Villinger A.* Neurosci. Lett., 1993, 149, 43-46.
10. *Dong Y.L., Fang L., Gangula P., Yallalampalli C.* Bio. Reprod., 1998, 59, 933-940.
11. *Elliot S.J., Striker L.J., Connor E., Stetler-Stevenson W., McQuinn W.C., Blagg C.R., Striker G.E.* Clin. Nephrol., 2000, 54(2), 121-127.
12. *Faraci F.M., Brian J.E.Jr.* Stroke, 1994, 25, 692-703.
13. *Flohe L., Brigelius-Flohe R., Saliou C., Traber M.G., Packer L.* Free Radic. Biol. Med., 1997, 22(6), 1115-1126.
14. *Furchgott R.F., Zawadzki J.V.* Nature, 1980, 288(5789), 373-6.
15. *Hansen N., Bgubaak A., Brattid D., Oh W., Stonestreet B.* Pediatr. Res., 1984, 18, 11, 1132-1136.
16. *Huang P.L., Dawson T.M., Bredt D.S., Snyder S.H., Fishman M.C.* Cell, 1993, 75, 1273-1286.
17. *Iadecola C., Zhang F., Xu X.* Am. J. Physiol. Regulatory Integrative Comp. Physiol., 1995(a), 268, 286-292.
18. *Knowles R.G., Moncada S.* Biochem. J., 1994, 298 (Pt 2), 249-258.
19. *Kubes P., Suzuki M., Granger D.N.* PNAS, 1991, 88, 4651-4655.
20. *Lancaster J.R Jr., Werner-Felmayer G., Wachter H.* Free Radic. Biol. Med., 1994, 16(6), 869-870.
21. *Malinski T., Kapturczak M., Dayharsh J., Bohr D.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 194(2), 654-658.
22. *McCell T.B., Boughton-Smith N.K.* Biochem. J., 1989, 61, 293-296.
23. *McKenzie K.E., Armstrong B.A., Chen Y., Nagarajan M., Aldaz C.M., Sukumar S.* Mol. Carcinog., 1997, 20, 2, 194-203.
24. *Moncada S., Rees D.D., Schulz R., Palmer R.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1992, 88, 2166-2170.
25. *Nathan C.* FASEB J., 1992, 6, 3051-3064.
26. *Natuzzi E.S., Ursell P.C., Harrison M., Buscher C., Riemer R.K.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 194, 1-8.
27. *Nowicki B., Fang L., Singhal J., Nowicki S., Yallampalli C.* Am. J. Reprod. Immunol., 1997, 38, 309-312.
28. *Palmer R.M., Ashton D.S., Moncada S.* Nature, 1988, 333, 664-666.
29. *Pelligrino D.A.* J. Neurosurg. Anesthesiol., 1993, 5(4), 221-31.
30. *Persson K., Garcia-Pascual A., Andersson K.E.* Acta Physiol. Scand., 1991, 143(1), 45-53.
31. *Pohl U., Busse R.* Circ. Res., 1989, 65, 1798-1803.
32. *Popescu L.M., Panoiu C., Hinescu M., Nutu O.* Eur. J. Pharmacol., 1985, 107(3), 393-394.
33. *Sessa W.C., Prüchard K., Seyedi N., Wang J., Hintze T.H.* Circ. Res., 1994, 74, 349-353.
34. *Shew R.L., Papka R.E., McNeill D.L., Yee J.A.* Peptides, 1993, 14, 637-641.
35. *Sladek S.M., Regenstein A.C., Lykins D., Roberts J.M.* Am. J. Obstet. Gynecol., 1993, 169, 1285-1291.
36. *Sladek S.M., Roberts J.M.* Am. J. Obstet. Gynecol., 1996, 175, 1661-1667.
37. *Suzuki M., Zehnter A., Schmidt R.F.* Br. J. Pharmacol., 2000, 129(7), 1397-404.
38. *Toyoda K., Fujii K., Ibayashi S., Nagao T., Kitazono T., Fujishima M.* J. Cereb. Blood Flow Metab., 1997, 17(10), 1089-96.

39. Wink D.A., Cook J.A., Kim S.Y., Vodovotz Y., Pacelli R., Krishna M.C., Russo A., Mitchell J.B., Jourdain D., Miles A.M., Grisham M.B. J. Biol. Chem., 1997, 272, 11147-11151.
40. Yallampalli C., Dong Y.L., Gangula P.R., Fang L. J. Soc. Gynecol. Invest., 1998, 5, 58-67.
41. Zhai P., Eurell Th.E., Cotthaus R., Jeffery E.H., Bahr J.M., David R. Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 2000, 279, 2766-2775.
42. Zoccoli G., Grant D.A., Wild J., Walker A.M. Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 2001, 280, 2598-2606.

## ВОЗМОЖНАЯ РОЛЬ ОКСИДА АЗОТА В РЕЛАКСАЦИИ МИОМЕТРИЯ

*Т.Г. Бекая\*, Т. Гаихарашвили, Л. Мачавариани\*, О. Синауридзе,  
М. Приудзе\*, Х. Хомасуридзе, К. Хуцшвили*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; \* Центр по изучению наук о жизни, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В данной обзорной статье проанализирована роль оксида азота в регуляции различных функций организма как в норме, так и при различных патологических условиях. Особое внимание уделено хорошо известному предположению, что оксид азота совместно с кальцитонин-ген-зависимым пептидом, вовлечен в механизм релаксации миометрия. В статье детально описан механизм вазодилатации, в котором оксид азота играет доминантную роль, обсуждена также его возможная роль в механизм релаксации миометрия.

## POSSIBLE ROLE OF NITRIC OXIDE IN THE RELAXATION OF THE MYOMETRIUM

*T.G. Bekaia\*, T. Gaikharashvili, L. Machavariani\*, O. Sinauridze, M. Pruidze\*,  
Kh. Khomasuridze, K. Khutsishvili*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy; \* Life Science Research Centre, Tbilisi

### SUMMARY

The role of Nitric Oxide in the regulation of various body functions, both in normal and in pathological conditions is analyzed. The special attention is paid to the well-known assumption that nitric oxide jointly with the calcitonin gene-related peptide (CGRP) is involved in the mechanism of relaxation of the myometrium. The mechanism of vasodilation, in which nitric oxide plays a dominant role is described in details, as well as its possible role in the mechanism of the myometrial relaxation.



## МИТОХОНДРИАЛЬНАЯ ПАТОЛОГИЯ И СИГНАЛЬНАЯ РОЛЬ МИТОХОНДРИЙ В КАРДИОПРОТЕКЦИИ

*Н. Гонгадзе, Т. Кезели, Г. Сукоян, Н. Дolidze, М. Чипашвили*

Департамент медицинской фармакологии ТГМУ; Департамент фармакологии  
ТГУ им. И. Джавахишвили; РНИЦ медицинской биофизики и внедрения новых  
биомедицинских технологий им. Н. В. Карсанова, Тбилиси

Принята 12.01.2011

При различных заболеваниях миокарда снижение доставки кислорода или нарушение его использования в клетке и в кардиомиоците приводит к ряду регуляторных функционально-метаболических изменений в митохондриях, среди которых нарушение состояния митохондриальных ферментных комплексов играет ведущую роль. Общая ответная реакция организма на острую кислородную недостаточность характеризуется активацией срочных регуляторных компенсаторных механизмов. В кардиомиоцитах включаются каскадные механизмы внутриклеточной трансдукции, ответственные за экспрессию генов и формирование адаптивных признаков. Развитие представлений о митохондриальной патологии позволило значительно расширить современные воззрения на патогенез заболеваний миокарда. Длительное повышение образования активных форм кислорода (АФК) при нарушении целостности дыхательной цепи митохондрий ведет к катастрофическим изменениям на уровне ДНК и функции митохондрий, дальнейшей активации образования АФК и поражению клетки. Выдвинуто предположение, что митохондриальная дисфункция может быть причиной развития не только полиорганной патологии, но и проявляться преимущественным поражением миокарда. Был предложен новый термин – митохондриальные кардиомиопатии. К ним были отнесены заболевания миокарда, сопровождающиеся структурными, количественными и функциональными нарушениями митохондрий, либо комбинаций этих нарушений, в основе которых лежат мутации митохондриальной ДНК. Было установлено, что при кардиомиопатии происходят нарушения окислительного фосфорилирования, связанные со снижением активности митохондриальной электронно-транспортной системы. Эти нарушения играют важную роль в развитии и прогрессировании патологических изменений, ремоделированию миокарда и развитию недостаточности сердца. Медикаментозное ингибирование патологических сдвигов в митохондриях и ДНК может стать одной из наиболее эффективных новых терапевтических стратегий лечения сердечной недостаточности.

**Ключевые слова:** заболевания миокарда, поражение митохондрий, ремоделирование системы энергетического обеспечения, кардиомиопатии, митохондриальная патология



Снижение эффективности потребления миокардом кислорода и механической эффективности работы сердца впервые было показано E. Starling и M. Visscher [63]. Katz L.N. Mendlowitz M. [37] был выявлен параллелизм между снижением совершаемой сердцем работы и потреблением миокардом кислорода [62]. Снижение пула АТФ и КФ в миокарде при недостаточности сердца (НС) и повышенной нагрузке на сердце, подтвержденное в исследованиях, выполненных методами ЯМР-спектроскопии *in situ*, и использование только ~ 25%, синтезируемой в виде АТФ энергии для совершения внешней работы сердцем [39], свидетельствуют в пользу гипотезы о ключевой роли энергетического дефицита в развитии и прогрессировании НС [35, 52, 65]. Снижение общего содержания АТФ в миокарде до 30% от контрольного показано на биоптатах миокарда, полученных во время трансплантации сердца [35], а уменьшение содержания АТФ на 65%, редокс-потенциала НАД/НАДН (до 0.024, в норме 0.11) на фоне падения общего содержания пиридиновых нуклеотидов почти в два раза и содержания цитохрома С – на 45% установлено на биопсийном материале больных с дилатационной кардиомиопатией (ДКМП), обусловленной инфекционно-аллергическим миокардитом и хронической сердечной недостаточностью (IV функциональный класс по NYHA) [3]. Снижение пула АТФ и, еще ранее, его запасов в форме КФ, происходящее в участках гибернации миокарда лежит в основе формирования дисфункции миокарда, структурной дезорганизации кардиомиоцитов и клеточной гибели [20]. Метаболические нарушения при хронической ишемической болезни сердца и ремоделировании миокарда настолько глубоки, что улучшение кровоснабжения (увеличение доставки кислорода и подачи субстратов, например, после аорто-коронарного шунтирования (АКШ) или тромболитика [1, 10, 46, 47, 66], введение эндогенных субстратов цикла Кребса в условиях низкой активности НАД-зависимых дегидрогеназ и нарушений в системе транспорта электронов, в связи с утерей цитохрома С [1, 7]), не ведет к восстановлению достаточного уровня синтеза АТФ, а вызывает лишь небольшой кардиопротективный эффект, который обусловлен не столько метаболическим действием, сколько коронарорасширяющим эффектом [2]. Ремоделирование системы энергетического обеспечения кардиомиоцита, элементов крови, печени и почек затрагивает различные звенья взаимосвязанных процессов от расстройства внешнего дыхания, кровообращения в легких, кислородтранспортной функции крови, нарушения системного, регионального кровообращения и микроциркуляции и эндотоксемии до обратимых и необратимых “поломок” в самой системе транспорта энергии в клетках (рис. 1).

Кислород и субстраты, поступающие в клетки из капилляров, используются для синтеза АТФ, в основном, в Мх, затем макроэргические фосфаты (АТФ и креатинфосфат) транспортируются к основным энергопотребляющим структурам кардиомиоцита: сократительному аппарату (миофибриллам), ядру, саркоплазматическому ретикулуму (СР) и  $\text{Ca}^{2+}$ -каналам,  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -наосу и  $\text{K}^+$ -каналам сарколеммы (рис. 1). Более того, показано, что  $\text{Na}^+$ -каналы регулируются редокс-потенциалом НАД/НАДН, что предполагает наличие тесного сопряжения между транспортом ионов натрия и уровнем энергетического метаболизма [66]. Энергодефицит при гипоксии способствует накоплению  $\text{Ca}^{2+}$  в цитоплазме клетки, блокируя энергозависимые насосы, выкачивающие ионы  $\text{Ca}^{2+}$  из клетки или закачивающие его в цистерны СР,

а накопление  $\text{Ca}^{2+}$  активирует  $\text{Ca}^{2+}$ -зависимые фосфолипазы. Один из защитных механизмов, препятствующий накоплению  $\text{Ca}^{2+}$  в цитоплазме, заключается в захвате  $\text{Ca}^{2+}$  Мх [52].



Рис. 1. Концепция образования метаболического порочного круга при недостаточности сердца и мишени ишемически/гипоксического поражения в системе энергетического обеспечения кардиомиоцита [10 и собственные данные]. ХСН – хроническая сердечная недостаточность, CP – саркоплазматический ретикулум, АФК – активные формы кислорода

Важную роль в сигнальном механизме Мх – нарушения функции сердца играет развитие перегрузки  $\text{Ca}^{2+}$  в матриксе Мх (Мх в клетке играет роль депо  $\text{Ca}^{2+}$ ) и увеличение продукции активных форм кислорода (АФК), что ведет к активации различных протеинкиназ. Эти процессы могут инициироваться различными субстанциями (лигандами), которые высвобождаются в результате компенсаторного ответа кардиомиоцитов и клеток эндотелия (аденозин, брадикинин, ацетилхолин), с последующим связыванием с рецепторами на внешней стороне митохондриальной мембраны. Большое значение имеет связывание с G-белком с последующей активацией входа  $\text{Ca}^{2+}$ , тирозин протеинкиназы и фосфатидилинозитол 3-киназных путей (рис. 2). Все эти пути основываются на открытии  $\text{K}^+$ -АТФ-чувствительных митохондриальных каналов как первичного непосредственного регуляторного механизма, участвующего в сигнальном механизме кардиопротекции [12, 34, 36, 38, 48]. Значительные изменения в митохондриальном матриксе, связанные с измене-

нием объема Мх, также ассоциированы с открытием митохондриальных  $K^+$ -АТФ-каналов и, возможно, способствуют кардиопротекции [41, 43]. Транспорт  $Ca^{2+}$  из цитозола в Мх является основным регуляторным звеном в сигнальном механизме клетки [15]. Вход  $Ca^{2+}$  в Мх, главным образом, осуществляется через  $Ca^{2+}$ -насос на внешней стороне митохондриальной мембраны и медируется мембранным потенциалом, низким уровнем  $Ca^{2+}$  в матриксе Мх и блокируется рутением красным. Поглощение  $Ca^{2+}$  Мх существенно и быстро возрастает в кардиомиоците при физиологическом  $Ca^{2+}$ -сигнале и часто сопровождается строго локализованной преходящей деполяризацией Мх. Повышение уровня  $Ca^{2+}$  в Мх аллостерически стимулирует активность трех ферментов цикла трикарбоновых кислот: пируват- $\alpha$ , 2-оксалоглутарат- $\alpha$  и изоцитратдегидрогена [13, 21], ведет к снижению редокс-потенциала НАД/НАДН и, как следствие, компенсаторно направлено на повышение синтеза АТФ. Резкое увеличение  $Ca^{2+}$  в Мх быстро передается с фосфатидилинозитола-3 рецепторного канала CP, находящегося в контакте с Мх, хотя молекулярные механизмы, вовлеченные в эти процессы  $Ca^{2+}$ -сопряженных различных внутриклеточных структур, до конца не изучены [16]. Выход  $Ca^{2+}$  из Мх кардиомиоцита медируется  $Na^+/Ca^{2+}$  обменом, связанным с прохождением протона по электротранспортной цепи и при открытии пор, изменяющих проницаемость мембран Мх (рис. 2).  $Ca^{2+}$ -сигнальный механизм, локализованный внутри Мх, представляет собой ключевой процесс переноса сигнала и размножения Мх [15, 19]. Важное значение имеет использование инозитол-фосфолипидов, таких как фосфатидилинозитол-3 фосфата в качестве вторичного мессенджера различных жизненно важных гормонов и сигнала нейротрансмиттеров [8, 17, 57].

Подобно этому, рианидиновые рецепторы CP (рис. 2) также локализованы вблизи Мх, из которой происходит высвобождение  $Ca^{2+}$  [22, 58]. Предполагаемый механизм быстрого транспорта кальция в Мх включает вовлечение растворимого цитозольного фактора, стимулирующего  $Ca^{2+}$  унипорт, а также активацию различных по природе каналов в мембране Мх кардиомиоцита, потенциал-зависимый анионный транспорт  $Ca^{2+}$ - из CP через внешнюю митохондриальную мембрану [12, 31, 55, 58]. Метаболическая активность Мх при этом, направленная на поддержание постоянства внутримитохондриального заряда и перекачку протонов, повышается и сопровождается увеличением расхода АТФ. Замыкается порочный круг: недостаток кислорода нарушает энергетический обмен и стимулирует свободнорадикальное окисление [61], а активация свободнорадикальных процессов, повреждая мембраны Мх и лизосом, усугубляет энергодефицит, что в результате может вызвать необратимые повреждения и гибель клетки [38, 59, 65].

Мх – органелла, которая обеспечивает связь между сигнальной и регуляторной функциями клетки в ответ на физиологический импульс и физиологическое стрессорное воздействие. При этом, Мх является связующим звеном между транмиттером и акцептором сигнала для запуска энергообеспечивающих процессов и выполняет сигнальную роль во многих жизнеобеспечивающих процессах [49, 50, 56]. Рассматривается “динамическая концепция” биоэнергетической недостаточности, согласно которой метаболический сигнал, формирующийся в ферментативных комплексах Мх, находящихся в состоянии, близком к равновесному, и в других гомеостатических механизмах самостоятельно обеспечивает эффективную



Возможно это объясняется тем, что цитохром С синтезируется вне Мх и затем встраивается в Мх по специальному НАДН-зависимому механизму [53]. В процессе переноса электрона молекула цитохрома С претерпевает окислительно-восстановительные превращения и эти изменения могут быть триггером запуска гибели клеток по типу апоптоза (рис. 3). Нарушение энергетического метаболизма, ускорение апоптоза при сильном истощении клетки АТФ замыкает порочный метаболический круг и становится одной из главных причин смерти кардиомиоцитов.

Важная роль в заболеваниях сердца и степени тяжести поражения миокарда отводится установленным различным мутациям и изменениям в ДНК митохондрий (мДНК). Специфические мутации мДНК, ассоциированные с нарушениями в дыхательной цепи Мх, показаны как в случаях изолированных кардиомиопатий (КМП), так и при ее сочетании с системными энцефалопатиями [49, 50]. Выпадения из мДНК определенных отрезков в сочетании с мутациями в респираторной цепи ДНК показаны при нарушении дыхательной цепи Мх, характерных для больных дилатационной и гипертрофической кардиомиопатией, а также показаны в эксперименте при КМП, индуцированной зидовудином [43, 51]. Дальнейшие исследования специфических патогенетических мДНК мутаций и/или укорочение последовательности ДНК позволяет выявить роль митохондриальной цитопатии в патогенезе сердечно-сосудистых заболеваний [14, 44, 54]. Короткие эпизоды ишемии (гипоксии), в определенной степени повышающие адаптационные возможности миокарда, рассматриваются в качестве фактора, уменьшающего риск развития тяжелой ишемии. Считается, что сохранение миокардиальной функции и уровня АТФ связано с экспрессией стресс-белков (белка теплового шока 70) и АТФ-синтаз в Мх [12]. Признавая важнейшую роль Мх в синтезе АТФ, остается вопрос – модифицирует ли Мх клеточный ответ на ишемию и реперфузию [35, 65]. Ишемия сердца вызывает перестройки в системе энергообеспечения кардиомиоцита в цепи окислительного фосфорилирования, в энергетических резервных возможностях Мх, а также в степени сопряженности дыхания и регулирования образования АФК [40, 61] и, тем самым, непосредственно изменяет ответ кардиомиоцита на ишемию и реперфузию (рис. 3).

Сегодня Мх отводится роль не только основного источника энергии (исторически Мх была пассивным пользователем кислорода для синтеза АТФ), но и органеллы-реостата, отвечающей за: поддержание редокс-потенциала клетки [18, 44], гомеостаза пула активных форм кислорода и оксида азота, регуляции  $Ca^{2+}$ -метаболизма, метаболизма гема и скорости апоптотических изменений ретроградного сигнала, модулирующего передачу сигналов [25, 26, 33], генетический потенциал [11] и регуляцию ядерных процессов [29], эндотелиальную дисфункцию и гипертрофию миокарда [28]. Мх запускает процесс клеточной гибели через активацию проницаемости мембранных пор как по типу апоптоза, так и некроза [64].

Действие лекарств, таких как дезоксид и никорандил, специфически активирующих  $K^+$ -АТФ-каналы [24] и, вероятно, ингибирующих  $H_2O_2$ -индуцированный апоптоз в кардиомиоцитах, предполагает, что  $K^+$ -АТФ-каналы выполняют важную роль в распространении сигнала оксидативного стресса в развитии апоптоза митохондрий [23, 25, 38]. Однако, последовательность событий и распространение

сигнала с участием  $K^+$ -АТФ-каналов Мх и запуск митохондриального каскада кардиопротекции остается предметом изучения [32, 35].




Рис. 3. Сигналы, индуцируемые в Мх, ведущие к нарушению проницаемости митохондриальной мембраны. Узловая роль Мх в контроле скорости апоптоза как структуры, в которую поступают жизненно важные и летальные сигналы от различных субклеточных структур и внеклеточного пространства, где они преобразуются и интегрируются в сигналы, модулирующие функциональную активность клетки. Семейство про- и антиапоптотических энзимов Мх, Bcl-2 осуществляют активность не только в Мх, но и в CP, где они регулируют пул внесаркоплазматического  $Ca^{2+}$ . КсГл3β – киназа гликогенсинтазы, Ола1 – фактор атрофии 1, ГлбФ – глицерол-6-фосфат, JNK – семейство с JNK NH<sub>2</sub>-терминальных киназ, ГКП – гексокиназа II, КБОП – комплекс пор, которые участвуют в проницаемости мембран, фактор активации – NF-κB, РИЗФ – инозитол 1, 4, 5-трифосфат рецептор, семейство проапоптотических белков – Bax, Bak, tBid, Bcl-X<sub>L</sub>, ПКС – протеинкиназа С, КОФ – комплекс оксидативного фосфорилирования

Будущее терапии сердечно-сосудистых заболеваний, обусловленных дисфункцией Мх или вторичными нарушениями их структурно-функционального состояния, включает генно-инженерные возможности, трансплантацию стволовых клеток, которые не плохо зарекомендовали себя на модельных системах в экспериментах [4, 6, 32] и ждут проверки в клинике до хорошо апробированных, но далеко неисчерпанных возможностей заместительной терапии. Например, эффекты НАД и надцина при ишемически-гипоксических поражениях мозга и надцина при ишемически-реперфузионных поражениях миокарда, основанные на запуске ключевых сигнальных механизмов кардио- и нейропротекции. Активно развивается



представление о полисистемных нарушениях клеточного энергообмена (митохондриальная патология). Ключевая область этого раздела медицины – наследственные синдромы, в основе которых лежат мутации генов, ответственных за митохондриальные белки (синдромы Кернса-Сейра, MELAS, MERRF, Пирсона, Барта и др.). Однако, класс состояний, характеризующихся митохондриальной недостаточностью, отнюдь не ограничивается этими “первичными” митохондриальными заболеваниями. Огромное количество болезней включает в себя нарушения клеточного энергообмена в качестве “вторичных” звеньев патогенеза: синдром хронической усталости, мигрени, кардиомиопатии, гликогеназы, заболевания соединительной ткани, диабет, рахит, тубулопатии, панцитопения, гипопаратиреоз, печеночная недостаточность и др. Особое значение для практической медицины имеет изучение указанных нарушений в связи с разработкой в этой области эффективных методов терапевтической коррекции.

## ЛИТЕРАТУРА

1. Бокерия Л.А., Бузиашвили Ю.И., Мамаев Х.К. и др. Бюллетень НЦ ССХ им. А.Н. Бакулева РМАН, 2004, 5(9), 119-126.
2. Костин В.И. Фармакол. Токсикол., 1989, 52(6), 49-52.
3. Палеев Н.Р., Санина Н.П., Сукоян Г.В. и др. Действие нового кардиотропного препарата рефрактерина и антиишемического средства энергостима на некоторые биохимические показатели крови и биопатов в процессе лечения сердечной недостаточности. Мат. Всероссийской конф., Пушкино, 1996, 125-126.
4. Сукоян Г.В., Андриадзе Н.А., Гучуа Э.И., Карсанов Н.В. Бюлл. exper. биол., 2005, 139(1), 53-56.
5. Сукоян Г.В., Галенко-Ярошевский П.А., Перов Ю.М. Ишемическая болезнь сердца: стратегия фармакологического вторжения и коррекция метаболизма миокарда. В кн.: Ишемическая болезнь сердца. М. Изд-во РАМН, 2007, 310-341.
6. Сукоян Г.В., Кавадзе И.К. Бюлл. exper. биол., 2008, 146(9), 297-300.
7. Фетисова Т.В., Фролькис Р.А. Биохимия инфаркта миокарда. Киев, Наукова думка, 1976, 167 с.
8. Abramov A.Y., Smulders-Srinivasan T.K., Kirby D.M. Brain, 2010, 133, 797-807.
9. Akaio M., Teshima Y., Marban E. J. Am. Coll. Cardiol., 2002, 40, 803-810.
10. Ashrafian H., Frenneaux M.P., Opie L.H. Circulation, 2007, 116(4), 434-448.
11. Balir E., Redwood C., Ashrafian H. et al. Hum. Mol. Genet., 2001, 10, 1215-1220.
12. Barbato J.C. Hypertension, 2009, 54(2), 222-223.
13. Beltrami A.P., Barlucchi L., Torella D. et al. Cell, 2003, 114, 763-776.
14. Benit P., Slama A., Cartault F. et al. J. Med. Genet., 2004, 41, 14-17.
15. Buntinas L., Gunter K.K., Sparagna G.C., Gunter T.E. Biochim Biophys. Acta, 2001, 1504, 248-261.
16. Cantassa S., Aon M.A., Marban E. et al. Biophys. J., 2003, 84, 2734-2755.
17. Chen L., Hahn H., Wu G. et al. Prof. N. Natl. Acad. Sci. USA, 2001, 98, 11114-11119.
18. Chiarugi A., Moskowitz M.A. Science, 2002, 297, 200-201.
19. Csordas G., Thomas A.P., Hajnozky G. Trends Cardiovasc. Med., 2001, 11, 269-275.
20. Elshasser A., Vogt A.M., Nef H. et al. J. Am. Coll. Cardiol., 2004, 43(12), 2191-2199.
21. Finc B.N., Lehman J.J., Leone T.C. et al. J. Clin. Invest., 2002, 109, 121-130.
22. Fogal V., Richardson A.D., Karmali P.P. et al. Cellular Biology, 2010, 30(6), 1303-1318.



23. Fryer R.M., Schultz J.E., Hsu A.K., Gross G.L. *Am. J. Physiol. Heart. Circ. Physiol.*, 1999, 276, H1229-H1235.
24. Garlid K.D., Raucek P., Yarov-Yarovoy V. *et al. Circ. Res.*, 1997, 81, 1072-1082.
25. Giordano F.J. *J. Clin. Invest.*, 2005, 115, 500-508.
26. Giordano F.J. *Arterioscler Thromb. Vasc. Biol.*, 2010, 30(4), 641-642.
27. Goffart S., Wiesner R.J. *Exp. Physiol.*, 2003, 88, 33-40.
28. Graham D.I., Graham D., Huynhet N.N. *et al. Hypertension*, 2009: 54(2), 322-233, 246.
29. Guzy R.D., Schumacker P.T. *Exp. Physiol.*, 2006, 91, 807-819.
30. Hakvoort T.B.M., Sprinkle J.R., Margoliash E. *Biochemistry*, 1990, 87(13), 4996-5000.
31. Hajnoczky G., Crosdas G.Y. *Cell. Calcium*, 2002, 32, 363-377.
32. Hausenloy D.J., Ruiz-Meana M. *Cardiovascular Research*, 2010, 85, 128-130.
33. He H., Li H.L., Lin A., Gottlieb R.A. *Cell Death Differ.*, 1999, 6, 987-991.
34. Hunter J.J., Chien K.R. *N. Engl. J. Med.*, 1999, 341, 1276-1283.
35. Ingwall J.S. *Cardiovasc. Res.*, 2009, 81(3), 412-419.
36. Kang P.M., Yue P., Liu Z. *et al. Am. J. Physiol. Heart. Circ. Physiol.*, 2004, 240, 1111-1119.
37. Katz L.N., Mendlowitz M. *Am. J. Physiol.*, 1938, 122, 262.
38. Kats A.M. *Cardiovas. Drugs Ther.*, 2002, 16, 245-249.
39. Knaapen P., Germans T., Knutti J. *Circulation*, 2007, 115, 918-927.
40. Lee I., Bender E., Kadenbach B. *Mol. Cell. Biochem.*, 2002, 234-235, 63-70.
41. Lehman J.J., Barger P.M. *et al. J. Clin. Invest.*, 2000, 106, 847-856.
42. Lehman J.J., Kelly D.P. *Heart. Fail. Rev.*, 2002, 7, 174-178.
43. Lewis W., Lalakas V.C. *Nat. Med.*, 1995, 1, 417-422.
44. Liesa M., Palaci N.M., Zordano A. *Physiol. Rev.*, 2009, 89, 799-845.
45. Lodi R., Cooper J.M., Bradley J.L. *et al. Proc. Natl. Acad. Sci. USA*, 1999, 96, 11492-11495.
46. Lopaschuk G.D., Kelly D.P. *Cardiovasc. Res.*, 2008, 79(2), 205-207.
47. Lopaschuk G.D., Ussher J.R., Folmes C.D.L., Jaswal J.S., Stanley W.C. *Physiol Rev.*, 2010, 90, 207-258.
48. Lucas D.T., Aryal P., Szweda L.I., Koch W.J., Leinwand L.A. *Am. J. Physiol. Heart. Circ. Physiol.*, 2003, 284, H575-H583.
49. Marin-Garsia J., Goldenthal M. *J. Card. Fail.*, 2002, 8, 347-361.
50. Marin-Garsia J., Goldenthal M. *J. Card. Fail.*, 2004, 10, 55-66.
51. Nadal-Ginard B., Kajstura J., Leri A., Anversa P. *Circ. Res.*, 2003, 92, 139-150.
52. Neubauer S. *N. Engl. J. Med.*, 2007, 356, 1140-1151.
53. Nicholson D.W., Kohler H., Neupert W. *Eur. J. Biochem.*, 1987, 164, 147-155.
54. Papadopoulou L.C., Sue C.M., Davidson M.M. *et al. Nat. Genet.*, 1999, 23, 333-337.
55. Rappizzi E., Pinton P., Szabadkai G. *et al. J. Cell Biol.*, 2002, 159, 613-624.
56. Robb-Gaspers L.D., Barnett P., Rutter G.A. *et al. EMBO J.*, 1998, 17, 4987-5000.
57. Robinson M.M., Hamilton K.L., Miller B.F. *J Appl. Physiol.*, 2009, 107, 8-16.
58. Rutter G.A., Rizzuto R. *Trends Biochem. Sci.*, 2000, 25, 215-222.
59. Sayen M.R., Gustafsson A.B., Susmann M.A. *et al. Am. Physiol. Cell Physiol.*, 2003, 284, C562-C570.
60. Schulz R., Cohen M., Behrends M. *et al. Cardiovasc. Res.*, 2002, 52, 181-198.
61. Seddon M., Looi Y.H., Shah M.A. *Heart*, 2007, 93, 903-907.
62. Sonnenblick E.H., Anversa P. *Cardiologia*, 1999, 44(7), 609-19.
63. Starling E.H., Visscher M.B. *J. Physiol.*, 1926, 62, 243-261.
64. Taegtmeyer H., Wilson C.R., Razeghi P., Sharma S. *Ann. NY Acad. Sci.*, 2005, 1047, 208-218.
65. Taegtmeyer H. *J. Nucl. Med.*, 2010, 51 (Suppl. 1), 80S-87S.
66. Vanoverschelde J., Janier M., Bakke J. *et al. Am. J. Physiol.*, 1994, 267, H1785-H1794.
67. Yano M., Ikeda Y., Matsuzaki M. *J. Clin. Invest.*, 2005, 115(3), 556-564.

## მიტოქონდრიული პათოლოგია და მიტოქონდრიუმის სასიგნალო როლი კარდიოპროტექციაში

*ნ. გონგაძე, თ. კეზელი, გ. სუკოიანი, ნ. დოლიძე, მ. ჩიპაშვილი*

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი; ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი; აკად. ნ. ვ. კარსანოვის სახ. სამედიცინო ბიოფიზიკისა და ახალი ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი

### რეზიუმე

მიოკარდიუმის სხვადასხვა დაავადებების დროს უჯრედის და კარდიომიოციტების ჟანგბადით უზრუნველყოფის დეფიციტი ან მისი გამოყენების დარღვევა ხელს უწყობს მიტოქონდრიუმში მთელი რიგი მარეგულირებელი ფუნქციურ-მეტაბოლური ცვლილებების ჩამოყალიბებას, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მიტოქონდრიული ფერმენტული კომპლექსების მდგომარეობის დარღვევას. ჟანგბადის მწვავე უქმარისობის პირობებში ორგანიზმის საერთო საპასუხო რეაქცია ხასიათდება სწრაფი მარეგულირებელი კომპენსატორული მექანიზმების აქტივაციით და კარდიომიოციტებში უჯრედშიდა სასიგნალო ტრანსდუქციის კასკადური მექანიზმების ჩართვით, რომლებიც პასუხისმგებელია გენების ექსპრესიასა და ადაპტიური ნიშნების ფორმირებაზე.

არსებობს ვარაუდი, რომ მიტოქონდრიული დისფუნქცია შესაძლებელია არა მხოლოდ პოლიორგანული პათოლოგიის განვითარების მიზეზად მოგვევლინოს, არამედ იგი შეიძლება უპირატესად მიოკარდიუმის დაზიანების სახით გამოვლინდეს, რის გამოც შემოთავაზებულია ახალი ტერმინი – მიტოქონდრიული კარდიომიოპათია. დადგენილ იქნა, რომ კარდიომიოპათიის შემთხვევაში ადგილი აქვს ჟანგვითი ფოსფორილირების დარღვევას, რომელიც მიტოქონდრიული ელექტრონულ-ტრანსპორტული სისტემის აქტიურობის დაქვეითებას უკავშირდება. აღნიშნული დარღვევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პათოლოგიური ცვლილებების პროგრესირებაში, მიოკარდიუმის რემოდელირებასა და გულის უქმარისობის განვითარებაში. მიტოქონდრიუმში და ღმმ-ში პათოლოგიური ცვლილებების მედიკამენტოზური ინჰიბირება შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ, ახალი თერაპიული სტრატეგიის წინამდებარედ მოგვევლინოს გულის უქმარისობის სამკურნალოდ.

## MITOCHONDRIAL PATHOLOGY AND SIGNALING ROLE OF MITOCHONDRIA IN CARDIOPROTECTION

*N. Gongadze, T. Kezeli, G. Sukoyan, N. Dolidze, M. Chipashvili*

Department of Medical Pharmacology of Tbilisi State Medical University; Department of Pharmacology of I. Javakhishvili Tbilisi State University; Acad. N. Karsanov Republican Scientific Centre for Medical Biophysics and Introduction of New Biomedical Technology, Tbilisi

### SUMMARY

Decrease in delivery of oxygen or disturbances of its using in the cell and cardiomyocyte at various diseases of a myocardium leads to a numerous functional-metabolic and regulatory



## ACINETOBACTER BAUMANNII-ს კლინიკური შტამების მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და დახასიათება

ე. თევდორაძე, ლ. ლეშკაშელი, თ. მესხი, ნ. სხირტლაძე,  
ნ. ბალარჯიშვილი, მ. ქუთათელაძე

გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუს-  
სოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 21.01.2011

*Acinetobacter baumannii* გრამ-უარყოფითი ბაცილაა, რომელიც ჰოსპიტალური ინფექციების ძირითადი გამომწვევეია. აღნიშნული მიკროორგანიზმი სხვადასხვა გარემო პირობებში დიდი ხნის განმავლობაში არ კარგავს სიცოცხლისუნარიანობას.

ანტიბიოტიკო-რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული საავადმყოფოსშიდა ინფექციების კონტროლი გასული ათწლეულის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. რეზისტენტული ბაქტერიული შტამების ფართოდ გავრცელების გამო ჰოსპიტალური ინფექციების მკურნალობა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჩატარებული სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა გეოგრაფიული ზონიდან გამოყოფილი *A. baumannii*-ს კლინიკური ბაქტერიული შტამების მიმართ აქტიური ფაგების გამოყოფა და დახასიათება. 31 ბაქტერიული შტამის მიმართ გამოყოფილ იქნა ხუთი ვირულენტური ბაქტერიოფაგი (vB\_Aba G865; vB\_Aba G866; vB\_Aba B37; vB\_Aba U7; vB\_Aba U8); სამი ფაგი გამოირჩევა განსაკუთრებით ფართო სპექტრის ლითიური აქტიურობით.

ამრიგად, კლინიკური ბაქტერიული შტამების მიმართ ფაგების *in vitro* მაღალი აქტიურობის გამო, ფართო სპექტრის მქონე ბაქტერიოფაგები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დამატებითი ან ალტერნატიული ანტიმიკრობული საშუალება *A. baumannii*-ს ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: ბაქტერიოფაგი, ლითიური სპექტრი, ლიზისი, ნეგატიური კოლონია, *Acinetobacter baumannii*

*Acinetobacter baumannii* გრამ-უარყოფითი მიკროორგანიზმია, რომლის გავრცელების არეალს წარმოადგენს ნიადაგი, ჩამდინარე წყლები და კლინი-

კური დაწესებულებები. იგი ოპორტუნისტული ინფექციების ძირითადი გამომწვევია და ასოცირებულია ისეთ დაავადებებთან, როგორცაა პნემონია, ბაქტერიემია, მენინგიტი, სეფსისი, სასუნთქი გზებისა და საშარდე ტრაქტის ინფექციები. ეს ორგანიზმი განსაკუთრებულ გარემო პირობებს არ საჭიროებს ზრდისთვის და შეუძლია კულტივირდეს pH-ის სხვადასხვა პირობებში. ამ შესაძლებლობების გამო *Acinetobacter baumannii* დიდი ხნის განმავლობაში არ კარგავს სიცოცხლისუნარიანობას როგორც მშრალ, ასევე ტენიან გარემოში. იგი შედის განსაკუთრებით გავრცელებულ ანტიბიოტიკო-რეზისტენტულ პათოგენთა რიცხვში [11].

*Acinetobacter baumannii*-თვის ორგანიზმში მოხვედრის გზას წარმოადგენს ღია ჭრილობები, სასუნთქი აპარატები და კათეტერები. 2003-2005 წლებში, აშშ-ს სამხედრო სამკურნალო დაწესებულებებში მოხდა ნოზოკომიალური ინფექციების აფეთქება, რომელიც ამ პათოგენის ანტიბიოტიკო-რეზისტენტული ფორმებით იყო გამოწვეული [9], რის გამოც გაიზარდა ამ დაავადებების ლეტალური დამოსავალი, რაც შემთხვევებში კი მკურნალობა კიდურების ამპუტაციით დასრულდა. CDC-ს მონაცემებით, *Acinetobacter baumannii*-ით გამოწვეული ნოზოკომიალური ინფექციების გავრცელება ევროპისა და ამერიკის საავადმყოფოებში გამოიწვია დაჭრილი პაციენტების ტრანსპორტირებამ [8].

*Acinetobacter baumannii*-ის ბაქტერიები მდგრადია დეჰიდრატაციის, UV სინათლის და, აგრეთვე, სადეზინფექციო საშუალებების მიმართ, რაც უკიდურესად აძნელებს მის აღმოფხვრას სამედიცინო დაწესებულებებიდან. ამიტომაც, ამგვარ დაწესებულებებში მნიშვნელოვნად იზრდება პოსპიტა-ლიზებული პაციენტების დასნებოვნების რისკი [3]. ეს ბაქტერიები მდგრადობას ავლენენ აგრეთვე მრავალი ანტიბაქტერიული აგენტის, მათ შორის ანტიბიოტიკების – პენიცილინის, ქლორამფენიკოლისა და ამინოგლიკოზიდების მიმართ [13]. შესაბამისად, ამ მიკროორგანიზმით გამოწვეული ინფექციების მკურნალობა გართულებულია. ამგვარად, ფაგური თერაპია შესაძლებელია განიხილოს, როგორც ალტერნატიული სამკურნალო საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ანტიბიოტიკების მიმართ გაზრდილი რეზისტენტობა მედიცინისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს [7].

აღნიშნული საშუალოს მიზანს წარმოადგენდა *Acinetobacter baumannii*-ის შტამების მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და მათი დახასიათება.

კვლევაში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული 31 ანტიბიოტიკო-რეზისტენტული *Acinetobacter baumannii*-ის კლინიკური შტამი. აღნიშნული ბაქტერიული შტამების გენოტიპირება განხორციელდა პულსირებადი გელ-ელექტროფორეზის მეთოდით (PFGE). გარემოდან გამოყოფილ იქნა ხუთი ფაგი სხვადასხვა გეოგრაფიული ზონებიდან (აშშ, გერმანია და ბულგარეთი) მიღებული შტამების მიმართ. შესწავლილია ახლად-გამოყოფილი ფაგების ლითური აქტიურობა *Acinetobacter baumannii*-ის კლინიკურ შტამებზე. ჩატარებულია აღნიშნული ბაქტერიოფაგების დნმ-ის შედარებითი რესტრიქციული ანალიზი და შესწავლილია ამ ფაგების სტრუქტურული ცილები.

## მასალა და მეთოდები

### ბაქტერიული შტამები

2006-2009 წლების განმავლობაში მიღებულ იქნა *Acinetobacter baumannii*-ის 10 კლინიკური შტამი, რომელიც გამოყოფილ იქნა ერავის ომში მონაწილე ჯარისკაცებიდან; 3 შტამი – გერმანიიდან (DSMZ კოლექციიდან); 4 შტამი – გერმანიის კლინიკებიდან; 10 შტამი – ბულგარეთიდან (National Center for Infectious and Parasitic Diseases); 2 შტამი – თურქეთის კლინიკიდან; ხოლო 2 კლინიკური შტამი გამოყოფილია ქ. თბილისის კლინიკებიდან.

### ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიების მგრძობელობის დადგენა

ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიების მგრძობელობა შესწავლილია დისკების მეთოდით. გამოყენებულ იქნა LB მყარი ნიადაგი და 23 დასახელების სხვადასხვა ჯგუფების ანტიბიოტიკი (LIOFILCHEM), ესენია:  $\beta$ -ლაქტამები, ამინოგლიკოზიდები, ტეტრაციკლინი, ლინკოზამიდები, მაკროლიდები, ქლორამფენიკოლი, პოლიპეპტიდები, ციპროფლოქსაცინი, რიფამპიციინი. შტამების მგრძობელობის ხარისხი კონკრეტული ანტიბიოტიკების მიმართ შეფასებულია მწარმოებლის მიერ მოწოდებული კრიტერიუმებით.

### პულსირებადი გელ-ელექტროფორეზი

კლინიკური ბაქტერიული შტამების ქრომოსომული დნმ-ის რესტრიქციული ფრაგმენტების პოლიმორფული ანალიზი განხორციელდა პულსირებადი გელ-ელექტროფორეზის საშუალებით (PFGE – Pulsed-Field Gel Electrophoresis). გენომური დნმ-ის ექსტრაქციას ვახდენდით 1%-იანი აგაროზას (SeaKem-Gold Agarose, Lonza) გელში, რომელიც მუშავდებოდა 1 მგ/მლ ლიზოციმისა და 100 მკგ/მლ პროტეინაზა K-ს შემცველი მაღლიზირებელი ბუფერით (6 mM Tris-აცეტატი, pH-8.0; 1M NaCl; 100 mM EDTA pH – 8.0; 0.2% deoxycholate; 0.5% N-Lauroylsarcosine) [10, 12].

ინტაქტური დნმ-ის ფრაგმენტირებას ვახდენდით რესტრიქციული ენდონუკლეაზით NotI (Neb.BioLabs) მწარმოებლის მიერ მოწოდებული ანოტაციის მიხედვით. ფერმენტით დამუშავებული დნმ-ის ფრაგმენტების დაყოფას ვახდენდით პულსირებადი ელექტროფორეზით 1.2% SeaKem-Gold აგაროზას გელში, შესაბამისი ელექტროფორეზის ბუფერით (0.5xTris-Borate-EDTA), Gene Navigator™ System (Amersham) აპარატის გამოყენებით. ელექტროფორეზისთვის გამოყენებულ იქნა მოლეკულური მასის მარკერი (Pulse Marker™ 50-1.000 kb, Sigma). ელექტროფორეზის პულსირების პარამეტრები შეესაბამებოდა: 10-50 წამი, 200 ვოლტი (6 V/სმ), 20 საათი, 14°C.

რესტრიქციული ფრაგმენტების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა Free three-thre view კომპიუტერული პროგრამა. გენეტიკური მსგავსების ამსახველი UPGMA (unweighted pair group method with arithmetic means) დენდროგრამა კონსტრუირებულ იქნა რესტრიქციული ფრაგმენტების მსგავსების კოეფიციენტის მიხედვით.

ბაქტერიოფაგების ტოტალური დნმ-ის მასის განსაზღვრისთვის დნმ-ის ექსტრაქციას ვახდენდით 1xSSC-ში გახსნილი ფაგის სუსპენზიიდან (1 ×



$10^{10}$  ფაგური ნაწილაკი/მლ), 1% აგაროზას გელში (SeaKem-Gold Agarose, Lonza), პროტეინაზა K-ს გამოყენებით [5]. ელექტროფორეზი მიმდინარეობდა ზემოხსენებულ პირობებში.

გელის შეღებვას ვახდენდით ეთიდიუმის ბრომიდის ხსნარში (0.5 მკ/მლ) 20 წუთის განმავლობაში. დნმ-ის ფრაგმენტების შეფასებას ვახდენდით UV-ტრანსილუმინატორის მეშვეობით.

### **ფაგების გამოყოფა და მათი ლითიური სპექტრის შესწავლა**

ფაგების გამოსაყოფად 10-ჯერ კონცენტრირებული LB ბულიონით გადიდრებულ ჩამდინარე წყლის ნიმუშში შეტანილ იქნა 1 მლ *Acinetobacter baumannii*-ის ბაქტერიული კულტურა. ინკუბაცია მიმდინარეობდა  $37^{\circ}\text{C}$ -ზე, 18 საათის განმავლობაში. ფაგების ნეგატიური კოლონიების მორფოლოგიის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა ორშრიანი აგარის მეთოდი [1].

ფაგების ლითიური სპექტრის განსაზღვრა ხდებოდა მყარ საკვებ ნიადაგზე, ბაქტერიული შტამების გაზონზე ფაგების (15 მკლ) დაწვეთების მეთოდით.

### **ფაგური დნმ-ის გამოყოფა და რესტრიქციული ანალიზი**

ფაგური დნმ-ს გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა სარეაქციო ნაკრები QIAamp DNA Mini and Blood Mini KIT (QIAGEN). დნმ-ს რესტრიქციული ანალიზი განხორციელდა რესტრიქციული ენდონუკლეაზებით: BamHI, EcoRI, EcoRV, HindIII, KpnI, PstI, PvuII, Sall, SwaI, XbaI, Sau3AI (Neb. BioLabs). ფაგური დნმ-ებისა და რესტრიქციული ფერმენტების ინკუბირება ხდებოდა შესაბამის სარეაქციო არეში  $37^{\circ}\text{C}$ -ზე, 18 საათის განმავლობაში. სინჯების ელექტროფორეზი მიმდინარეობდა 0.8-1%-იან აგაროზას გელში (Type I; Sigma) (ელექტროფორეზის პირობები:  $U = 70 \text{ V}$ ,  $I = 140 \text{ mA}$ ).

### **ცილების ელექტროფორეზი SDS-პოლიაკრილამიდის გელში**

ბაქტერიოფაგების სტრუქტურული ცილების გელ-ელექტროფორეზი ტარდებოდა Laemmly-ის მეთოდით [6] ვერტიკალურ აპარატში, გრადიენტულ გელში (გამყოფი – 10%-იან და მაკოცენტრირებელი – 3%-იან პოლიაკრილამიდის გელი). სინჯი შედგებოდა 40 მკლ ფაგის, 300 მკლ ბუფერის (გლიცეროლი, 8%-იანი შ შ, 100 მ თრის-აცეტატი,  $\text{pH} = 6.5$ ), 24 მკლ მერკაპტოეთანოლისა და 2-3 მკლ საღებავისგან (ბრომ ფენოლ ლურჯი). ელექტროფორეზის დაწყებამდე სინჯის დენატურაციას ვახდენდით დუდილით, 10 წუთის განმავლობაში. ელექტროფორეზის პარამეტრები შეესაბამებოდა:  $I = 8-10 \text{ mA}$ ,  $U = 43-45 \text{ V}$ , 18-19 საათი.

## **შედეგები და მათი განხილვა**

### **კლინიკური ბაქტერიული შტამების ანტიბიოტიკო-მგრძობელობა**

*Acinetobacter baumannii*-ის ყველა კლინიკურმა შტამმა გამოამჟღავნა რეზისტენტობა  $\beta$ -ლaktამების, ტეტრაციკლინის, ლინკოზამიდების, ციპროფლოქსაცინებისა და ცეფალოსპორინების მიმართ. ანტიბიოტიკის ყველა



ჯგუფის მიმართ გამოყენებულმა 10 შტამმა გამოავლინა მსგავსი რეზისტენტობა. დანარჩენი 21 შტამისთვის დამახასიათებელია განსხვავებული ანტიბიოტიკო-მგრძობელობა, კერძოდ, შტამების 76% მდგრადი იყო ამინოგლიკოზიდების, 33% – მაკროლიდების, 38% – რიფამპიცინის, ხოლო მხოლოდ 38% იყო მგრძობიარე იმიპენემის მიმართ.

სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული შტამები განსხვავდება ანტიბაქტერიული საშუალებების მიმართ მდგრადობით, მაგალითად, *Acinetobacter baumannii*-ს შტამები, რომლებიც მიღებულია აშშ-დან, გერმანიიდან, ბულგარეთისა და საქართველოს კლინიკებიდან, ამჟღავნებდა დაბალი ხარისხით მგრძობელობას მაკროლიდებზე და რიფამპიცინზე. DSMZ (გერმანია) კოლექციიდან და აშშ-დან მიღებული შტამები, მგრძობიარე იყო ამინოგლიკოზიდების და იმიპენემის მიმართ, ხოლო გერმანიის კლინიკებიდან, ბულგარეთიდან და საქართველოდან მიღებული შტამები ამ ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი აღმოჩნდა. რაც შეეხება თურქეთიდან მიღებულ ბაქტერიულ შტამებს, ამ პათოგენებმა ყველა გამოყენებული ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტობა გამოამჟღავნა.

ანტიბიოტიკებისგან თავდასაცავად *Acinetobacter baumannii*-ის სახეობის ბაქტერიები იყენებს რამდენიმე მექანიზმს, კერძოდ, ანტიბიოტიკების დაშლელ სპეციფიკური ფერმენტების სინთეზს. მაგალითად, რეზისტენტობა ამინოგლიკოზიდების, კერძოდ, ამიკაცინისა და ტობრამიცინის მიმართ გამოწვეულია ამინოგლიკოზიდ-მამოდიფიცირებელი ფერმენტის არსებობით. რეზისტენტობა β-ლაქტამების მიმართ კი გამოწვეულია β-ლაქტამაზების პროდუქციით. ამ ფერმენტების სინთეზი *Acinetobacter baumannii*-ის უჯრედებში კოდირებულია როგორც ქრომოსომით, ასევე პლაზმიდითაც [2]. თავდაცვის დამატებით მექანიზმებს წარმოადგენს ანტიბიოტიკების სამიზნე საიტების მუტაციები და გენის რეგულატორული ცვლილებები [4].


**ფაგების გამოყოფა და ლითიური სპექტრის შესწავლა**

სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული *Acinetobacter baumannii*-ის 31 შტამის მიმართ გამოყოფილ იქნა 5 ბაქტერიოფაგი: აშშ-დან მიღებული ბაქტერიების მიმართ აქტიური vB\_Aba U7 და vB\_Aba U8 ფაგები; ორი ფაგი (vB\_Aba G866 და vB\_Aba G865), რომლებიც გერმანიის კლინიკებიდან მიღებული შტამების მიმართ გამოიყო და ბულგარეთიდან მიღებული შტამების მიმართ აქტიური vB\_Aba B37 ფაგი.

ფაგების ნეგატიური კოლონიები ორშრიან აგარზე ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება როგორც ზომით, ასევე ნეგატიური კოლონიის გამჭვირვალობით.

ელექტრონულ-მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ოთხი ფაგისთვის დამახასიათებელია ჰექსაგონალური ფორმის თავი და გრძელი, არაკუმშვადი წანაზარდი. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კლასიფიკაციით ეს ოთხი ფაგი ეკუთვნის Siphoviridae-ს ოჯახს. თავისა და წანაზარდის ზომებით ეს ფაგები ერთმანეთისგან განსხვავდება: თავის ზომები ვარიებს 30 × 30 ნმ-დან 80 × 80 ნმ-მდე, წანაზარდის სიგრძე კი მერყეობს


100 ნმ-დან 200 ნმ-ის ფარგლებში, ხოლო სიგანე – 6 ნმ-დან 20 ნმ-ის ფარგლებში (ფაგი vB\_Aba G866-ს წინაზარდი ხასიათდება 100 ნმ სიგრძით და 20 ნმ სიგანით, ხოლო ფაგი vB\_Aba U8-ს წინაზარდი ყველაზე გრძელია – 200 ნმ) (სურ. 1ა, 1ბ, 1გ, 1დ). რაც შეეხება vB\_Aba U7 ბაქტერიოფაგს, მისთვის დამახასიათებელია ჰექსაგონალური ფორმის თავი (80 × 80 ნმ) და მოკლე წინაზარდი (20 ნმ). იგი მიეკუთვნება Podoviridae-ს ოჯახს (სურ. 1ე).



ა) vB\_Aba B37    ბ) vB\_Aba U8    გ) vB\_Aba G865    დ) vB\_Aba G866    ე) vB\_Aba U7

სურ. 1. ფაგური ნაწილაკების მორფოლოგია

აღნიშნული ფაგების ლითიური სპექტრის შესწავლისას დადგინდა, რომ vB\_Aba U7 და vB\_Aba U8 ფაგები არიან შტამ-სპეციფიკურები, ხოლო დანარჩენი სამი ფაგი vB\_Aba G866, vB\_Aba G865 და vB\_Aba B37 ამჟღავნებს ფართო სპექტრის ლითიურ აქტიურობას პატრონი ბაქტერიული შტამების მიმართ (შესაბამისად, 90%, 90% და 94%) (სურ. 2).




სურ. 2. ფაგების ლითიური აქტიურობის ამსახველი დიაგრამა

### *A. baumannii*-ის კლინიკური შტამების გენოტიპირება

სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული *A. baumannii*-ის კლინიკური შტამების გენეტიკური პოლიმორფიზმი შესწავლილ იქნა პულსირებადი გელ-ელექტროფორეზით.

UPGMA მეთოდის გამოყენებით მიკროორგანიზმების გენოტიპებს შორის მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლის გზით აგებულ იქნა დენდროგრამა. ახლომონათესავე გენომის მქონე შტამები გაერთიანდა კლასტერებად (A; B).




სურ. 3. *A. baumannii*-ის კლინიკური შტამების PFGE-ზე დაფუძნებული გენეტიკური მსგავსების ამსახველი UPGMA დენდროგრამა

იდენტურად ითვლებოდა იმ შტამების გენოტიპი, რომელთა ღწმ-ის ფრაგმენტების მსგავსების კოეფიციენტი ( $r_1$ ) უდრიდა 100-ს. დენდროგრამიდან ჩანს, რომ კლასტერი B ხასიათდება ჰეტეროგენობით და ორ ქვეკლასტერს მოიცავს ( $B_1$ ;  $B_2$ ) (სურ. 3). პირველი მათგანი ( $B_1$ ) თანაბარი სიხშირით აერთიანებს გერმანიიდან, ბულგარეთიდან, აშშ-დან და თურქეთიდან მიღებულ შტამებს, მეორე ქვეკლასტერი ( $B_2$ ) მოიცავს მხოლოდ სამ შტამს, აქედან ორი ბაქტერიული შტამი მიღებულია ბულგარეთიდან, ერთი – ერაყიდან. საქართველოში გამოყოფილი შტამებიდან ერთი განთავსდა  $B_1$  ქვეკლასტერში, ხოლო მეორე, გენეტიკურად A კლასტერში განთავსებული შტამების მსგავსია.

შესწავლილი 31 ბაქტერიული შტამი გაერთიანებულ იქნა 19 განსხვავებულ გენოტიპში. ამ შტამების კლასტერიზაციამ გამოავლინა გარკვეული დამოკიდებულება გენოტიპსა და ამ პათოგენების “გეოგრაფიულ წარმოშობას” შორის. კერძოდ, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში გამოყოფილი A. baumannii-ის კლინიკური შტამები ხასიათდებოდა გარკვეული გენოტიპური პოლიმორფიზმით.

#### ფაგური ღწმ-ის რესტრიქციული ანალიზი

ღწმ-ის შედარებითი რესტრიქციული ანალიზის შედეგად ნანახი იქნა, რომ ორი ფაგის ღწმ ( $vB\_Aba$  G865 და  $vB\_Aba$  B37), სამი გამოყენებული (HindIII, SmaI, Sau3AI) ფერმენტით ერთმანეთის მსგავსად ფრაგმენტირდა.




სურ. 4. ბაქტერიოფაგების ღწმ-ს რესტრიქციული ანალიზი


ამ ფაგების ღწმ-ებს ფერმენტ Kpn I-ის სამიხნე თანმიმდევრობები არ აღმოაჩნდათ.  $vB\_Aba$  G865 ფაგის ღწმ მდგრადი აღმოჩნდა BamHI, EcoRV, PstI და PvuII ენდონუკლეაზების მიმართ. დანარჩენი 4 ფაგის ღწმ გამო-

ყენებული ფერმენტებით ერთმანეთისგან განსხვავებულად ფრაგმენტირდა (სურ. 4). აღნიშნული შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაგები გენეტიკურად განსხვავებულია.

ბაქტერიოფაგების გენომის მოლეკულური მასის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა PFGE-მეთოდი, რომლის მიხედვით, ფაგური ღწმ-ის ზომები დაახლოებით 45 კბ-დან 55.5 კბ-მდე ფარგლებშია (სურ. 5).



სურ. 5. ფაგების გენომის ანალიზი პულსირებადი გელ-ელექტროფორეზით



სურ. 6. ფაგების სტრუქტურული ცილები

ფაგების სტრუქტურული ცილების შესწავლამ, ღწმ-ის რესტრიქციული ანალიზის მსგავსად, აჩვენა ფაგებს შორის განსხვავება. პოლიაკრილამიდურ გელში ელექტროფორეზის მიხედვით, გენეტიკურად მცირედ განსხვავებული ფაგები vB\_Aba G865 და vB\_Aba B37 სტრუქტურული ცილების მიხედვით მსგავსია, ხოლო დანარჩენ სამ ფაგს, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურული ცილები გააჩნია (სურ. 6).

## ლიტერატურა

1. Adams M. Бактериофаг, М., 1961.
2. Amyes S.G.B., Young H.K. Mechanisms of antibiotic resistance in Acinetobacter spp.-genetics of resistance. In: Bergogne-Berezin E., Joly-Guillou M.L., Towner K.J. eds. Acinetobacter: microbiology, epidemiology, infections, management. New York, NY: CRC Press, 1996, 185-223.

3. Barbolla R.E., Centron D., Maimone S., Rospide F., Salgueira C., Altclas J., Catalano M. Amer. J. Infect Control., 2008, 36(6), 444-452.
4. Hujer K.M., Hujer A.M., Hulten E.A., Bajaksouzian S., Adams J.M., Donskey C.J., Ecker D.J., Massire C., Eshoo M.W., Sampath R., Thomson J.M., Rather P.N., Craft D.W., Fishbain J.T., Ewell A.J., Jacobs M.R., Paterson D.L., Bonomo R.A. Antimicrob. Agents Chemother., 2006, 50, 4114-4123.
5. Kutter E., Sulakvelidze A. Bacteriophages – Biology and Applications. CRC Press, 2005, 475.
6. Laemmli U.K. Nature, 1970, 227, 680-685.
7. Merrill C.R., Scholl D., Adhya S.L. Nat. Rev. Drug Discov., 2003, 2(6), 489-497.
8. Report from the Center for Disease Control and Prevention. Morbidity and Mortality. JAMA, 2004, 292(24), 2964-2966.
9. Scott P., Deye G., Srinivasan A., Murray C., Moran K., Hulten E., Fishbain J., Craft D., Riddell S., Lindler L., Mancuso J., Milstrey E., Bautista C.T., Patel J., Ewell A., Hamilton T., Gaddy C., Tenney M., Christopher G., Petersen K., Endy T., Petruccielli B. Clin. Infect. Dis., 2007, 44, 1577-1584.
10. Seifert H., Dolzani L., Bressan R., Reijden T., Strijen B., Stefanik D., Heersma H., Dijkshoorn L. JCM, 2005, 43(9), 4328-4335.
11. Talbot G.H. Clin. Infect. Dis., 2006, 42, 657-668.
12. Tenover F.C., Arbeit R.D., Goering R.V. et al. Infect. Control Epidemiol., 1997, 18, 426-439.
13. Van Looveren M., Goossens H. ARPAC Steering Group. Infect., 2004, 10, 684-704.

## ВЫДЕЛЕНИЕ И ХАРАКТЕРИСТИКА ЛИТИЧЕСКИХ БАКТЕРИОФАГОВ ПРОТИВ КЛИНИЧЕСКИХ ШТАММОВ ACINETOBACTER BAUMANNII

*Е. Тевдорадзе, Л. Лешкашели, Т. Месхи, Н. Схиртладзе,  
 Н. Баларджиеви, М. Кутателадзе*

Институт бактериофагии, микробиологии и вирусологии им. Г. Элиава, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

*Acinetobacter baumannii* – аэробные грамотрицательные бактерии, которые могут вызывать госпитальные инфекции. Они не теряют жизнеспособности в разных условиях окружающей среды в течение долгого времени. За прошлое десятилетие, госпитальные инфекции, вызванные мультирезистентными микроорганизмами, стали проблемой как в развивающихся, так и развитых странах. Лечение таких инфекций часто связано с трудностями из-за широкого распространения резистентности этих бактерий к основным группам антибиотиков.

Целью нашего исследования было выделение и характеристика литических бактериофагов против клинических штаммов *Acinetobacter baumannii*, полученных из различных географических зон. Пять фагов (vB\_AbaG865, vB\_AbaG866, vB\_AbaB37, vB\_AbaU7, vB\_AbaU8), были выделены против 31 бактериальных штаммов *A.baumannii*. Три из пяти фагов имеют широкий спектр литической активности.

Мы предполагаем, что из-за высокой литической активности фагов *in vitro* против клинических бактериальных штаммов *A. baumannii*, фаготерапия является дополнительным или альтернативным средством антибактериального лечения инфекционных заболеваний.

## ISOLATION AND CHARACTERIZATION OF LYTIC BACTERIOPHAGES AGAINST *ACINETOBACTER BAUMANNII*

*E. Tevdoradze, L. Leshkasheli, T. Meskhi, N. Skhirtladze, N. Balarjishvili,  
M. Kutateladze*

G. Eliava Institute of Bacteriophages, Microbiology and Virology, Tbilisi

### SUMMARY

*Acinetobacter spp.* is an aerobic gram-negative bacillus which can cause healthcare-associated infections; they can survive for long periods in the environment. The control of hospital-acquired infections caused by multi-drug resistant bacteria has proved to be a particular problem over the past decade even in developed countries. Recently, this microbe is included in a hit list of the most spread drug-resistant microbes. Such infections are often extremely difficult to treat due to widespread resistance of these bacteria to the major groups of antibiotics.

The goal of our research was the isolation and characterization of lytic bacteriophages against clinical strains of *Acinetobacter baumannii* isolated from different geographical zones. Five phages (vB\_Aba G865, vB\_Aba G866, vB\_Aba B37, vB\_Aba U7, vB\_Aba U8) have been isolated against 31 clinical strains of *A. baumannii*. Three out of five phages have been shown the wide spectrum of lytic activity.

We assume that the high lytic activity of phages *in vitro* against clinical bacterial strains of *A. baumannii* offers an additional antimicrobial approach against infectious diseases caused by this pathogen.



## რბილი ქსოვილების რელიზის თავისებურებები მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების დროს

*მ. კაპანაძე, ვ. ხუციშვილი, ვ. ლეინჯილია, ვ. არაბიძე*

აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი, ქუთაისი

მიღებულია 27.12.2010

ნაშრომის მიზანია მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირების დროს რბილი ქსოვილების რელიზის ტექნიკის თავისებურებათა ჩვენება. ჩვენ მიერ მოწოდებულია რბილქსოვილოვანი რელიზის ორიგინალური ტექნიკა, ბარძაყისთვის რეჟექციისა და ტაბუხის ფოსოს დამუშავების დროს ოსტეოფიტები სცილდება ყველა მიმართულებით, რათა კუნთმყესოვან აპარატს მეტი მოცულობით მიეცეს თავისუფლად და უმტკივნეულოდ მოძრაობის საშუალება. სრული აბლექციის უზრუნველსაყოფად მცირე ციბრუტიდან სცილდება ძვლისსაზრდელასთან ერთად *m. ileopsoas*. შიგნითა როტაციის შეზღუდვის შემთხვევაში დამატებით კეთდება როტატორების (*m. piriformis*, *m. gemelus superios*, *m.obturator inferior*, *m. gemelus inferior*, *m. Quadriceps*) ნაწილობრივი აშრევა. ძვალზე მიმაგრების ადგილიდან კუნთოვანი მასივების აშრევა ყველა შემთხვევაში ხდება ძვლისსაზრდელასთან ერთად, ამ უკანასკნელის აუცილებელი შენარჩუნებით. ასეთ შემთხვევაში ძვლის-საზრდელა იქცევა კუნთოვანი მასივის საერთო სამაგრად და უზრუნველყოფს სასურველ შეკუმშვის ძალის განვითარებას. ჩვენ მიერ მოწოდებული მეთოდიკით აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში ჩატარდა 453 ოპერაცია. შედეგები ფასდებოდა პარისის სკალით. ოპერაციის შემდეგ მოძრაობის სიფართო სახსარში 55.3%-ით გაუმჯობესდა. ყველა შემთხვევაში ტკივილი არ აღინიშნებოდა როგორც უძრაობის, ისე ფიზიკური დატვირთვის დროს. შესაძლებელი გახდა ისეთი მოძრაობების შესრულება, რომელიც ოპერაციამდე შეუძლებელი იყო.

ჩვენ მიერ მოწოდებული რბილი ქსოვილების რელიზის მეთოდის გამოყენების დროს კუნთების აშრევა ძვლისსაზრდელასთან ერთად კუნთოვანი მასივების სრული მოცილებით ფუნქციონირების მყარ გარანტიას ქმნის, მკვეთრად აუმჯობესებს სახსრის ბიომექანიკას, რაც ოპერაციის შემდეგ ფუნქციის სრული აღდგენის საწინდარია.

**საკვანძო სიტყვები:** ენდოპროტეზირება, რელიზი, ბიომექანიკა, კოკსართროზი

მენჯ-ბარძაყის სახსრის დაავადებები მისი ქირურგიული მკურნალობის თვალსაზრისით დღემდე ერთოპედიის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად

რნება. ეს განპირობებულია იმით, რომ ხშირად მიდამოს პათოლოგიების ადრეული კონსერვატიული მკურნალობა ნაკლებად ეფექტურია. პაციენტების ასაკი ბავშვობიდან ღრმა მოხუცობამდეა. ყველა ისინი საჭიროებენ რადიკალურ ქირურგიულ მკურნალობას [3, 4, 6]. დაავადების სხვადასხვაგვარი გამოვლინება გამოწვეულია იმით, რომ ავადმყოფობის განვითარების პროცესში ყალიბდება სხვადასხვა ანატომიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები, რაც ართულებს ოპერაციული მკურნალობის მეთოდის არჩევას [1, 2]. ავადმყოფთა დიდ ნაწილს უვითარდება დეგენერაციულ-დისტროფიული ცვლილებები, რაც სახსრებსა და ხერხემლის გავაწევის ნაწილში იწვევს სხვადასხვა პათოლოგიებს.

დღეისთვის ქირურგიული მკურნალობის ყველაზე გავრცელებული მეთოდია მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირება. იგი იძლევა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღდგენის და ტკივილის სინდრომის შემცირების საშუალებას [3, 5, 7].

სახსარში მოძრაობის მოცულობის მკვეთრი შემცირება და გაუსაძლისი ტკივილი, რაც დამახასიათებელია მენჯ-ბარძაყის სახსრის პათოლოგიებისთვის, ავადმყოფებს ღრმა ინვალიდობად აქცევს. მკურნალობის მეთოდი, რომელიც ავადმყოფებს აღდგენს შრომის უნარს, შეუმცირებს ტკივილს და აქცევს მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, არის არა მარტო ბარძაყის პათოლოგიით შეპყრობილი ავადმყოფების მკურნალობის ტაქტიკის გადაწყვეტა, არამედ ყველა შემთხვევაში საჭიროებს ინდივიდუალურ შერჩევას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მკურნალობისადმი დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს ახალი მეთოდების ძებნას, როცა ტექნოლოგია შეჯერებულია მენჯ-ბარძაყის სახსრის დაზიანების ხარისხთან და გათვალისწინებულია მთელი ორგანიზმის თავისებურებები, დღეისთვის მოწოდებულია მენჯ-ბარძაყის პროტეზირების ძალიან ბევრი მეთოდი როგორც ტექნიკის, ისე ტექნოლოგიების თვალსაზრისით, თუმცა პრობლემა სრულიად გადაწყვეტილი არ არის. ამასვე მიუთითებს მრავალი სახის პოსტოპერაციული გართულება და მოძრაობის მოცულობისა და ფორმის არასრულყოფილება.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვეშვავენა რბილქსოვილოვანი რელიზის ტექნიკა, რომელიც გააფართოვებდა მოძრაობის მოცულობას, შეამცირებდა ტკივილს და ადადგენდა სახსრის ფუნქციას. მოწოდებული რბილქსოვილოვანი რელიზის ტექნიკა ითვალისწინებს კუნთმეცხოვანი აპარატის ისეთ კორექციას, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციის შემდგომ კუნთოვანი მასივის კოორდინირებულ და სრულფასოვან შეკუმშვას, ასევე მინიმუმამდე შეამცირებს ტკივილს. ჩვენ მიერ მოწოდებული რელიზის ტექნიკა გულისხმობს ბარძაყის თავის რეზექციის და ტაბუხის ფოსოს დამუშავების შემდეგ ოსტეოფიტების მოცილებას ყველა მიმართულებით, რათა კუნთმეცხოვანი აპარატს მეტი მოცულობით თავისუფლად და უმტკივნეულოდ მოძრაობის საშუალება მიეცეს. სრული აბდუქციის უზრუნველსაყოფად ბარძაყის ძვლის მცირე ციბრუტიდან, ძვლისსაზრდელასთან ერთად სცილდება *m. iliopectineus*. შიგნითა როტაციის შეზღუდვის შემთხვევაში დამატებით კეთდება როტატორების (*m. piriformis*, *m. gemelus superior*, *m. obturator*)

inferior, m. gemelus inferior, m. quadriceps) ნაწილობრივ აშრევება. ძვალზე მიმაგრების ადგილიდან კუნთოვანი მასივების აშრევება ყველა შემთხვევაში ხდება ძვლისსაზრდელთან ერთად, ამ უკანასკნელის მთლიანობის აუცილებელი შენარჩუნებით. ასეთ შემთხვევაში ძვლისსაზრდელა იქცევა კუნთოვანი მასივის საერთო სამაგრად და უზრუნველყოფს სასურველი შეკუმშვის ძალის განვითარებას.

აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში 2007-2010 წლებში, ჩვენ მიერ მოწოდებული მეთოდებით, ჩატარდა 453 ოპერაცია, პაციენტებიდან 312 იყო ქალი, 151 – მამაკაცი, ასაკის მიხედვით 22-35 წლამდე იყო 47 პაციენტი, 35-დან 50 წლამდე – 123, 50-დან 65 წლამდე – 201, 65 წელს ზემოთ იყო 82 პაციენტი, ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სახსარზე იყო 165, მარცხენაზე – 288. ჩატარებული ოპერაციული მკურნალობის შედეგების შესაფასებლად ვიყენებით ჰარისის სკალას (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**მკურნალობის გამოსავლის შედარება W.Harris-სკალით  
 რბილქსოვილოვანი რელიზის შემდეგ**

გამოკვლევის სახე	ოპერაციამდე	ოპერაციის შემდეგ
ტკივილი	12.3 ± 3.9	42.1 ± 4.1
ფუნქცია	18.2 ± 4.6	44.5 ± 4.9
დეფორმაცია	2.9 ± 0.2	3.9 ± 0.2
მოძრაობის მოცულობა	2.2 ± 1.0	4.2 ± 0.9
ჯამი	36.1 ± 8.1	94.7 ± 8.3

აღგიური სინდრომი იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც ავადმყოფები იტარებდნენ ოპერაციულ მკურნალობას, ყველა მათგანს ოპერაციამდე აღუნიშნებოდა მკვეთრად გამოხატული ტკივილი, უმეტეს შემთხვევაში მუდმივად, ტკივილდამაყუჩებელი საშუალება იძლეოდა ხანმოკლე შედეგს, ტკივილი შეფასებული იყო საშუალოდ 12.3 ± 3.4 ქულით. ოპერაციის შემდეგ ტკივილი საგრძნობლად მცირდებოდა. უმეტეს შემთხვევაში ტკივილი საერთოდ ქრებოდა ან გამოხატული იყო უმნიშვნელოდ, რომელიც არ აქვეითებდა აქტიურობას. პოსტოპერაციული მანევრები იყო 42.1 ± 4.1, რაც ამ თვალსაზრისით საუკეთესო შედეგზე მიუთითებს. ფუნქციური თვალსაზრისით ოპერაციული აქტიურობა შეადგენდა 18.2 ± 4.6 ქულას (ჰარისის სკალის მაქსიმალური მონაცემი არის 47), ხოლო ოპერაციის შემდეგ იგი გაიზარდა 44.5 ± 4.9, რაც 26 ერთეულით გაზრდას გულისხმობს და შეესაბამება მოძრაობის გაფართოებას 55.3%-ით. მოძრაობის მოცულობა 2.2 ± 1.0-დან გაიზარდა 4.2 ± 0.9-მდე, რაც 26 ერთეულით გაზრდას გულისხმობს და შეესაბამება მოძრაობის გაფართოებას 55.3%-ით.

մոძրածոյի մօՇւլօԼօԲԱ  $2.2 \pm 1.0$ -ԴԱՆ ԳԱԻՆԱՐԴԱ  $4.2 \pm 0.9$ -ՄԴԵ. ԳԱՆՏԱԿՍՏՐԵԲԻՏ ԲԼՏԱՆԻՄՆԱՅԻԱ, ՐՈՄ ՄԿՅԵՒՐԱԴ ԻՆՐԴԵԲԱ ԱԲԼՍՔԻԿԻԱ ԴԱ ՖԻԶՆԻՏ ՐՈՇԱԿԿԻԱ, ՐԱԿ ՄԻԶՅԱՆՆԻԱ ՆՅԵՆ ՄԻԵՐ ՄՈՎՐՈԴԵԲՍԼԻ ՐԵԼԻՅԻՏԻ ԴԱՄՏԱՅՍՐԵԲԱԴ.

ՅԱՐԻՏԻՏԻ ՏԿԱԼԻՏԻ ՏԱԵՐՏՈ ՄԱՆՅԵՆԵԲԵԼԻ ՕԲԵՐԱԿԿԻՄԴԵ ԱՐԻՏ  $36.1 \pm 8.1$ , ՆՈԼՈ ՕԲԵՐԱԿԿԻՏԻ ՏԵՄԴԵՎԵ –  $94.7 \pm 8.3$ . ԵՏ ՄՈՆԱԿԿԵՄԵԽԻ ՄԻՍՏԻՏԵԲՏ ՆԱԿԱՐԵԲՍԵԼԻ ՕԲԵՐԱԿԿԻՍՍԵԼԻ ՄԿՍՐՆԱԼՈԲԻՏԻ ՏԵԴԵՎԵՏԻ ԵՄՅԵԿՏՐՈԲՈՒՅԵ. ԱՏԵՍԻ ՏԵԴԵՎԵԿԻ ԱՐԻՏ ՄԱԴԱԼԻ ԵՄՅԵԿՏՐՈԲԻՏԻ ԴԱ ԱՅԱԴՄՈՒՄՅԻՏԻ ԿՄԱՅՈՒՄԻԼԵԲԻՏԻ ՏԱՐՄՍՄՆՈ ՄԱՆՅԵՆԵԲԵԼԻ, ՐԱԴԳԱՆ ՅԱՐԻՏԻՏԻ ՏԿԱԼԱ ՏԵՍԻԿԱՅՏ ՐՈԳՈՐԿ ՕԲԻԵԿՏՐՈՐ, ԻՏԵ ՏՍԽԵԿՏՐՈՐ ՅԱՐԱՄԵՐԵԲՏ.

ՆՅԵՆ ՄԻԵՐ ՄՈՎՐՈԴԵԲՍԼԻ ՄԵՏՈԴԻՏԻ ՍՅԱՐԱԿԵՏՈԲԻՏԻ ՏԱՆՅԵՆԵԲԼԱԴ ՆՅԵՆԻ ՅԱԿԿԵՆԵԲԵԽԻ ՏԵԴԱՐԴԱ ՅԱԿԿԵՆԵԲՏԱ ԻՏԵՒ ՋԳՍՄՏԱՆ, ՏԱԴԱԿ ՐՈԲԻԼԿՏՈՒԵԼՈՒԿԱՆԻ ՐԵԼԻՅԻ ՆԱԿԱՐԵԲՍԵԼԻ ԻՅՈ ՏՅԵՎ ՄԵՏՈԴԻԿԻՏ (ԿՆՐԻԼԻ 2). ԱԼՏԱՆԻՄՆԱՅԻԱ, ՐՈՄ ՄՈՆԱԿԿԵՄԵԽԻՏԻ ԱՆԱԼԻՅԻ ՆԱՏԼԱԴ ԳԵՄԻՅՅԵՆԵՏ ՆՅԵՆ ՄԻԵՐ ՄՈՎՐՈԴԵԲՍԼԻ ՄԵՏՈԴԻԿԻՏ ՄԻԼԵԲՍԵԼ ՍԿԵՏԵՏ ՏԵԴԵՎԵԿԵՏ.

ԿՆՐԻԼԻ 2

ՄԿՍՐՆԱԼՈԲԻՏԻ ԳԱՄՈՏԱՅՎԻՏԻ ՏԵԴԱՐԵԲԱ W. Harris-ԻՏ ՏԿԱԼԻՏԻ ՏՅԵՎ ՄԵՏՈԴԻՏ ՆԱԿԱՐԵԲՍԵԼԻ ՐԵԼԻՅԻՏԻ ԴՐՈՏ

ԳԱՄՈԿՅԵԼՅԵՏԻ ՏԱՅԵ	ՕԲԵՐԱԿԿԻԱՄԴԵ	ՕԲԵՐԱԿԿԻՏԻ ՏԵՄԴԵՎԵ
ՏՅԻՅԻԼԻ	$12.3 \pm 4.1$	$41.2 \pm 4.0$
ՄՍՆԿԿԻԱ	$18.2 \pm 5.2$	$40.3 \pm 4.9$
ԴԵՄՈՐՄԱԿԻԱ	$2.9 \pm 0.3$	$3.1 \pm 0.2$
ՄՈԴՐԱՕԲԻՏԻ ՄՈՇՍԼՈԲՈՒԲ	$2.3 \pm 1.1$	$3.4 \pm 0.9$
ՋԱՄԻ	$35.8 \pm 7.9$	$87.3 \pm 8.1$

ՆՅԵՆ ՄԻԵՐ ՆԱԿԱՐԵԲՍԵԼԻ ԿԵԼԵՅԻՏԻ ՄՈՆԱԿԿԵՄԵԽԻ ՏԱՏԵՄԱԼԵԲԱՏ ԻԴԼԵՅՅԱ ԳԱՅԱԿԵՏՈՒՏ ՏԵՄԴԵՎԵԿԻ ԴԱՏԿԵՆԵԽԻ:

ՄԵՆՋ-ՅԱՐԿԱՅԻՏԻ ՏԱՆՏՐԻՏԻ ՏՈՇԱԼՍՐԻ ԵՆԴՈՐՐՈՏՅՈՒՆԻՐԵԲԻՏ ԴՐՈՏ ՐՈԲԻԼԿՏՈՒԵԼՈՒԿԱՆԻ ՐԵԼԻՅԻՏԻ ՆԱԿԱՐԵԲԱ, ԳԱՄՅԻԴԵՎԵԼԻ ԴԱ ՖԻԶՆԻՏԱ ՐՈՇԱԿՏՐՈՐԻ ԿՍՆՏԵԲԻՏԻ ՄՈՇԻԼԵԲԱ ԺԿԼԻՏՏԱՆՐԴԵԼԱՏՈՆ ԵՐՏԱԴ ՆԵԼՏԱՅՐԵԼԻԱ, ՐԱԴԳԱՆ ԵՏ ՍԿԱՆԱՏԿԵԼԻ ԿՍՆՏՈՒՅԱՆԻ ՄԱՏԻՅԻՏԻ ՏԱԵՐՏՈ ՏԱՄԱԳՐԻ ՆԴԵԲԱ.

ԺԿԼԻՏՏԱՆՐԴԵԼԱՏԻ ՏԵՆԱՐՈՒՄԵԲԱ ՆԵԼՏ ՍՄՅՈՒՅՏ ԿՍՆՏԵԲԻՏԻ ՏԵԿՍՄՏԻՏԻ ՏԱՏՍՐԵՎԵԼԻ ԺԱԼԻՏԻ ԳԱՆՅԻՏԱՐԵԲԱՏ.

ՐՈՏՍՈՒՄԻՐԵԲԻՏԻ ՏՐՍՍԻ ԼԻԿՅԻԴԱԿԻԱ ԴԱ ԿՍՆՏՈՒՏԱ ՏԱՄԱԳՐԻՏԻ ԳԱԵՐՏԻԱՆԵԲԱ ՄՈԴՐԱՕԲԻՏԻ ՄՈՇՍԼՈԲՈՒՅԻ ԳԱՆՐԴԻՏԱ ԴԱ ՏՅԻՅԻԼԻՏԻ ՄԿՅԵՒՐԻ ՏԵՄԿԻՐԵԲԻՏԻ ՏԱՄԻՆԴԱՐԻԱ.

## ԼԻՏԵՐԱԿՏՐԱ

1. *Агаджанян В.В., Арменик А.А.* Восстановление двигательной функции у больных с патологией тазобедренного сустава. 13-ая научно-практическая конференция SICOT, Санкт-Петербург, 2002, 5.

2. *Ахматов И.Ф.* Ошибки и осложнения эндопротезирования тазобедренного сустава. Казань. Центр оперативной печати, 2006, 328.
3. *Загородний Н.В.* Эндопротезирование при повреждениях и заболеваниях тазобедренного сустава. Дисс. докт. мед. наук, Москва, 1998, 347.
4. *Хамраев А.Ш.* Травма, 2006, 6, 3, 291-294.
5. An analysis of the risk of hip dislocation with a contemporary total joint registry. Clin. Orthop., 2006, 447, 19-23.
6. *Kim U.* Arch. Orthopedics Trauma Surgery, 1997, 117, 1, 8-14.
7. *Motta J.M., Ferguson T.A.* Orthopedics, 2005, 28(9), 927-928.

## ОСОБЕННОСТИ РЕЛИЗА МЯГКИХ ТКАНЕЙ ПРИ ТОТАЛЬНОМ ЭНДОПРОТЕЗИРОВАНИИ ТАЗОБЕДРЕННОГО СУСТАВА

*М. Капанадзе, Г. Хуцишвили, Г. Гвинджилия, Г. Арабидзе*

Национальный центр интервенционной медицины Западной Грузии, г. Кутаиси

### РЕЗЮМЕ

Целью исследования явилось выявление особенностей техники релиза мягких тканей при тотальном эндопротезировании тазобедренного сустава. Нами предложена оригинальная техника релиза мягких тканей. При резекции бедренной кости и обработке вертлужной впадины остеофиты отделяются во всех направлениях для того, чтобы сухожильно-мышечному аппарату дать возможность свободного и безболезненного движения в большем объеме. Для обеспечения полной абдукции вместе с надкостницей от малого вертела отделяется *m. ileopsoas*. В случае внутренней ротации дополнительно проводится частичное отслоение ротаторов (*m. piriformis*, *m. gemelus superior*, *m. obturatorius*, *m. gemelus inferior*, *m. quadriceps*). Во всех случаях отслоение мышечных массивов с места прикрепления к кости имеет место вместе с надкостницей с обязательным сохранением последнего. В таком случае надкостница превращается в общее крепление мышечного массива, которое обеспечивает развитие сокращения желаемой силы. С использованием методики, предложенной нами в Национальном центре интервенционной медицины Западной Грузии, проведено 453 операции. Результаты оценивались по шкале Гарриса. После операции широта движения в суставе улучшилась на 55.3%. Во всех случаях не отмечалась боль как при покое, так и при физической нагрузке. Пациенты выполняли такие движения, которые ими не выполнялись до операции.

При использовании предложенной нами методики релиза мягких тканей отслоение мышц вместе с надкостницей с полным удалением мышечных массивов создает прочную гарантию функционирования, резко улучшает биомеханику суставов, что является предпосылкой полного восстановления функции после операции.

  - გულმკერდის შიდა წნევის მკვეთრი ვარდნისას (ფილტვის კომპლავენსის შემცირების გამო, გაძნელებული ფ.ხ.ვ-ის პირობებში, ჩასუნთქვაზე წნევის მაღალი მაჩვენებლის საჭიროებისას) ფილტვის პარენქიმის დაზიანება არაადეკვატურად დიდი სასუნთქი მოცულობის მიწოდების გამო.
  - პერფუზიის აღდგენის გამო არაადეკვატურად პერფუზირებულ ქსოვილებში ცირკულაციაში დიდი რაოდენობით ტოქსიკური ნივთიერებების გადმოსროლა (ლაქტატი, ადენოზინი, კალიუმი), რაც იწვევს არითმიას, მიოკარდიუმის დეპრესიას, ვაზოდილატაციას.

**პრაქტიკული რეკომენდაციები**

მომატებული IAP-ის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით მენეჯმენტი არსებითად განსხვავებულია (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ხარისხი	გაზომილი I	მოქმედება
1	10-15 მმ ვ. წყ. სვ.	ნორმოვოლემია
2	16-25 მმ ვ. წყ. სვ.	ჰიპერვოლემიის მიღწევა
3	26-35 მმ ვ. წყ. სვ.	დეკომპრესია
4	მეტე 35 მმ ვ. წყ. სვ.	რელაპარატომია და დეკომპრესია



თუ პაციენტს აქვს IAP 12 მმ ვ. წყ.სვ, ვიწყებთ მის მონიტორინგს: ვზომავთ IAP-ს ყოველ 4-6 სთ-ში. მიზანი – IAP < 15 მმ ვ. წყ. სვ. და APP > 60 მმ ვ. წყ. სვ. ამისთვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

1. ნაწლავთა სანირება (ნაზოგასტრალური ზონდირება, ოყნა, გაზ-გამყვანი მილი, ენტერალური კვების შემცირება, კოლონოსკოპიური დეკომპრესია).
2. მუცლის დრუს კედლის კომპლენსის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები (სედაცია-ანალგეზია, ტრენდელბურგის პოზა, ნეირომუსკულური ბლოკადა), ჰემოდიალიზი (ულტრაფილტრაციით).
3. ოპტიმალური სითხის შეყვანა.
4. სისტემური/რეგიონული პერფუზიის ოპტიმიზირება (სითხის შევსების მიუხედავად, თუ ვერ ვაღწევთ APP > 60 მმ ვ. წყ. სვ. დონეს, საჭიროა ვაზოაქტიური ნივთიერებების გამოყენება).
5. მუცლის დრუს კბ ან ექოსკოპია (საჭიროების შემთხვევაში). ავადმყოფებს IAH-ის მაღალი ხარისხით, 25%-ში უვითარდებათ გულის გაჩერება 100%-იანი ლეტალობით. რეპერფუზიის ამ სინდრომს თავს ავარიდებთ, თუ დეკომპრესიის წინ გადავასხამთ 2 ლ 0.45% NaCl ხსნარს, რომელიც შეიცავს 50 გრ მანიტოლს და 50 მ/ეკვ. სოდას.

მუცლის დრუს დახურვა შეიძლება გადაიდოს ხანგრძლივი ვადით ნაწლავის შეშუპების გამო. ასეთ ავადმყოფებში სითხის მოთხოვნა მკვეთრად მომატებულია (ზოგჯერ 10-15 ლ დღე-ღამეში). თუმცა, ამ მოცულობით სითხეების ინფუზია შეიცავს ჰიპოთერმიის განვითარების რისკს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს ნაწლავთა იშემიას. აუცილებელი ხდება საინფუზიო სითხეების ტემპერატურის ოპტიმიზირება წინასწარი გათბობით. ოპტიმიზირებული APP ამცირებს ACS-ის შემთხვევას 64%-ით, სიკვდილიანობას კი – 44%-ით [1, 2].

## ლიტერატურა

1. Cheatham M.L. World J. Surg., 2009, 33(6), 1116-22.
2. Cheatham M.L., Safcsak K. Acta Clinica Belgica, 2007, 62, supplement 1, abstract O61.
3. Coombs H.C. Am. J. Physiol., 1920, 61, 159-163.
4. Emerson H. Arch. Intern. Med., 1911, 7, 754-784.
5. Ennis J.L., Chung K.K. et al. J. Trauma, 2008, 64(2 Suppl): S146-51; discussion S151-2.
6. Ivatury R.R., Porter J.M. et al. J. Trauma, 1998, 44(6), 1016-21.
7. Kimball E.J., Mone M. et al. Acta Clinica Belgica, 2009, 64(3), 81 (Abstract 110).
8. Mao E.Q., Tang Y.Q. et al. Chin. Med. J. (Engl.), 2009, 122(2), 169-73.
9. Oda S., Hirasawa H. et al. Ther. Apher. Dial., . 2005, 9(4), 122-24.
10. O'Mara M.S., Semins H. et al. Am. Surg., 2003, 69(11), 975-7.
11. Saggi B.H., Sugerman H.J., Ivatury R.R., Bloomfield G.L. J. Trauma, 1998, 45, 597-609.
12. Sun Z.X., Huang H.R. et al. World J. Gastroenterol., 2006, 12(31), 5068-5070.

## ОСОБЕННОСТИ МЕНЕДЖМЕНТА ИНТРААБДОМИНАЛЬНОЙ ГИПЕРТЕНЗИИ И АБДОМИНАЛЬНОГО КОМПАРТМЕНТ-СИНДРОМА

*A. Мухадзе, Т. Гвасалия, Н. Чадунели, Н. Кадеишвили*

Военный госпиталь Министерства Обороны Грузии, г. Гори

### РЕЗЮМЕ

В последнее время во всем мире, в том числе и в Грузии, все больший интерес вызывает такая патология как абдоминальный компартмент-синдром (синдром повышенного давления в брюшной полости).

В нашей клинике накопился достаточно солидный опыт по адекватному менеджменту абдоминального компартмент-синдрома. В статье описаны несколько клинических случаев, которые достоверно доказывают диагностическую ценность данного синдрома в точной оценке состояния пациента в раннем послеоперационном периоде.

Таким образом, своевременная диагностика и правильный менеджмент абдоминального компартмент-синдрома является в дальнейшем залогом успешной терапии.

## MANAGEMENT SPECIFICATIONS OF INTRAABDOMINAL HYPERTENSION AND ABDOMINAL COMPARTMENT SYNDROME

*A. Mukhadze, T. Gvasalia, N. Chaduneli, N. Kadeishvili*

Military Hospital of Georgian Ministry of Defence, Gori, Georgia

### SUMMARY

Intraabdominal hypertension (IAH) and abdominal compartment syndrome (ACS) have detrimental effects on all organ systems and are associated with significant morbidity and mortality. In recent years, the diagnosis and management of these syndromes have evolved tremendously, and the importance of comprehensive strategies to reduce intraabdominal pressure (IAP) has been recognized. All clinicians should be aware of the risk factors that predict the development of IAH/ACS, the appropriate measurement of IAP, and the current resuscitation options for managing these highly morbid syndromes. The non-operative management of IAH/ACS can be summarized using five therapeutic goals: evacuate intraluminal contents, evacuate intraabdominal space-occupying lesions, improve abdominal wall compliance, optimize fluid administration, and optimize systemic and regional tissue perfusion. Surgical intervention through open abdominal decompression should immediately be pursued for patients with progressive IAH, end-organ dysfunction, and failure that is refractory to these non-operative therapies. This comprehensive management strategy has been demonstrated to improve patient survival and long-term outcome.

Our clinics has great deal of experience in adequate managing of abdominal compartment syndrome (ACS). Therefore the diagnostics on proper time and the correct management of this syndrome is the guarantee for the successful therapy.

## ოვარიექტომიის გავლენა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე

*ზ. ნანობაშვილი, ნ. ბუკია, ლ. მაჭავარიანი, მ. ბუცხრიკიძე,  
ა. ბილაიშვილი, ნ. ხიზანიშვილი*

ს. ს. ი. პ. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

მიღებულია 03.02.2011

ზრდასრულ მდედრ ვირთაგვებზე შესწავლებოდა მაკეობის და ოვარიექტომიის გავლენა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების (კრუშინსკი-მოლოდკინას ხაზის ვირთაგვები) მიმდინარეობაზე. გამოირკვა, რომ მაკეობის დროს ადგილი აქვს კრუნჩხვითი რეაქციების დაკნინებას. ამასთან ერთად დადგენილ იქნა, რომ ოვარიექტომიის შემდეგ ხდება კრუნჩხვითი რეაქციების მნიშვნელოვანი გაძლიერება. ნაშრომში განხილულია კრუნჩხვითი რეაქციების გაძლიერების შესაძლო მექანიზმი ოვარიექტომიისას.

**საკვანძო სიტყვები:** მაკეობა, ოვარიექტომია, აუდიოგენური კრუნჩხვები, ვირთაგვა

ნევროლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება კავშირი ორსულობასა და ეპილეფსიურ გულყრებს შორის [2]. ადამიანებში ეპილეფსიურ გულყრებს და ორსულობას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა გართულებულია ეთიკური თვალსაზრისით და ასევე, ანტიეპილეფსიური თერაპიის გამო. ამიტომ, ცხადია მიზანშეწონილია, ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გამოყენებულ იქნას ეპილეფსიის ცხოველური მოდელები. ცხოველურ მოდელებზე აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი. ეპილეფსიის ცხოველური მოდელებიდან აღსანიშნავია კრუნჩხვითი რეაქციებისადმი გენეტიკურად ლეტერმინებული კრუშინსკი-მოლოდკინას [3] ხაზის ვირთაგვები. აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა თავის ტვინის ღეროვან წარმონაქმნებს ენიჭება [7].

ორსულობის დროს კრუნჩხვითი რეაქციების გამოვლინების მექანიზმების გარკვევისას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ეპილეფსიის ტიპს და/ან ეპილეპტოგენული კერის ლოკალიზაციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შესწავლილიყო ოვარიექტომიის გავლენა და ჰორმონული ნეიროსტეროიდების მნიშვნელობა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე.

## მეთოდიკა

ექსპერიმენტები ტარდებოდა კრუშინსკი-მოლოდინას ხაზის 8 ვირთაგვაზე. აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების გამოწვევის მიზნით გამოიყენებოდა კედლის სტანდარტული ხარი (90-100 დბ) 60 წამის განმავლობაში. ამ ხაზის ვირთაგვები იყოფა ორ ქვეხაზად. ცხოველები, რომელთაც ბგერით გამლიზიანებელზე უვითარდებათ შიშის რეაქცია და სახის კუნთების კლონუსი, და ცხოველები, რომელთაც აღნიშნულ რეაქციებთან ერთად უვითარდებათ ველური სირბილის რეაქცია, ხტომები და ქცევითი კლონურ-ტონური კრუნჩხვები. ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა ორივე ქვეხაზის ცხოველები.

ოვარიექტომიის ოპერაცია კეთდებოდა ეთერით დანარკოვებულ ცხოველებზე, საკვერცხეების ორმხრივი ამოკვეთით.

ცხოველის მაკეობა დგინდებოდა საშვილოსნოდან აღებულ ნაცხში სპერმატოზოიდების მიკროსკოპული დათვალიერებით და შემდგომ, პალპაციის მეთოდით.

ცრუმაკეობის მოდელის მისაღებად ოვარიექტომირებულ ვირთაგვებში ვახდენდით პროგესტერონის მაღალი დოზის (20-30 მგ/კგ) ინტრაპერიტონეალურ ინექციას. შემდგომ, ექსპერიმენტის მიზნიდან გამომდინარე (იგივე ცხოველებში), ვახდენდით ალოპრეგნანოლონის აბსტინენციას პროგესტერონის მეტაბოლიზმის ბლოკატორის – ფინასტერიდის (40-60 მგ/კგ) ინტრაპერიტონეალური შეყვანით.


## შედეგები და მათი განხილვა

*ექსპერიმენტი 1.* ცდებისთვის გამოიყენებოდა აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებული იმ ქვეხაზის ცხოველები, რომელთაც ბგერით გამლიზიანებელზე უვითარდებოდათ შიშის რეაქცია, სახის კუნთების კლონუსი, ველური სირბილის რეაქცია და ქცევითი კლონურ-ტონური კრუნჩხვები.


აღნიშნული ვირთაგვების, ასევე აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებულ მამრ ვირთაგვებთან ხდებოდა შეჯვარება და მაკეობის მეორე და მესამე კვირას ვაკვირდებოდით კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობას. გამოირკვა, რომ მაკეობა აბრკოლებს კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებას (სურ. 1).

*ექსპერიმენტი 2.* ცდებისთვის გამოიყენებოდა აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებული იმ ქვეხაზის ცხოველები, რომელთაც ბგერით გამლიზიანებელზე უვითარდებოდათ მხოლოდ შიშის რეაქცია და სახის კუნთების კლონუსი, ქცევითი კლონურ-ტონური კრუნჩხვების გარეშე. ოვარიექტომიიდან 12-14 დღის შემდეგ (და მთელი დაკვირვების პერიოდში) ცხოველებს უვითარდებოდათ ძლიერი ტონურ-კლონური კრუნჩხვითი რეაქციები (სურ. 2). იმავე ოვარიექტომირებულ ცხოველებში, ცრუ მაკეობის განვითარების საპასუხოდ, ვახდენდით პროგესტერონის დიდი დოზის (20-30 მგ/კგ) ინტრაპერიტონეალურ შეყვანას. გამოირკვა, რომ პროგესტერონის შეყვანისა და ცრუ მაკეობის განვითარების პარალელურ

ლურად, ბგერითი გამლიზიანებლის მიწოდებისას, ხდებოდა ქცევითი ტონურ-კლონური კრუნხვითი რეაქციების მნიშვნელოვანი დაკინება (სურ. 2).



სურათი 1. მაკეობის გავლენა აუდიოგენური კრუნხვითი რეაქციების განვითარებაზე. სერია 1 - ველური სირბილის ფარული პერიოდი; სერია 2 - ველური სირბილის ხანგრძლიობა; სერია 3 - ტონურ-კლონური კრუნხვების ხანგრძლიობა. აბსცისა: 1 - მაკეობამდე, 2 - მაკეობის მეორე კვირა, 3 - მაკეობის მესამე კვირა, 4 - მაკეობიდან სამი კვირის შემდეგ. ორდინატა: დრო წამებში



სურათი 2. ოვარიექტომიის გავლენა აუდიოგენური კრუნხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე. სერია 1 - ველური სირბილის ფარული პერიოდი; სერია 2 - ველური სირბილის ხანგრძლიობა; სერია 3 - ტონურ-კლონური კრუნხვები. აბსცისა: 1 - ოვარიექტომიამდე, 2 - ოვარიექტომიის შემდეგ, 3 - პროგესტერონის შეყვანის შემდეგ, 4 - ფინასტერიდის შეყვანის ეფექტები. ორდინატა: დრო წამებში

უფრო მეტიც, ცხოველებს უვითარდებოდათ მხოლოდ სახის კუნთების კლონუსი, რასაც ადგილი ჰქონდა პროგესტერონის შეყვანამდე. იგივე ცხოველებში პროგესტერონის მეტაბოლიზმის ბლოკატორის – ფინასტერიდის ინტრაპერიტონეალური შეყვანის (40-60 მგ/კგ) შემდეგ ბგერითი გამღიზიანებელი იწვევდა ქცევითი ტონურ-კლონური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ოვარიექტომიის შემდეგ.

გამორკევა, რომ ცხოველებს, რომელთაც ოვარიექტომიამდე ჰქონდათ მხოლოდ შიშის რეაქცია და სახის კუნთების კლონუსი, ოვარიექტომიის შემდეგ, აღნიშნული რეაქციების გარდა, უვითარდებოდათ ველური სირბილის რეაქცია, ხტომები და კლონურ-ტონური ქცევითი კრუნჩხვები.

ოვარიექტომირებულ ცხოველებში პროგესტერონის ინტრაპერიტონეალური ინექცია (ცრუმაკეობის გამოწვევის მიზნით) მნიშვნელოვნად აკნინებდა კრუნჩხვითი რეაქციების ქცევით გამოვლინებებს. ამ ვირთაგვებში ფინასტერიდის ინტრაპერიტონეალური ინექცია იწვევდა პროგესტერონის ეფექტის მოხსნას. უნდა აღინიშნოს, რომ ფინასტერიდი არის 5-ალფა რედუქტაზის ინჰიბიტორი, რომელიც აინჰიბირებს პროგესტერონის მეტაბოლიზმს. 5-ალფა რედუქტაზის ნორმალური ფუნქციობის დროს სისხლის პლაზმაში არსებული პროგესტერონი გარდაიქმნება ალოპრეგნანოლონად. ალოპრეგნანოლონი სხვა მონათესავე ნეიროაქტიურ სტეროიდებთან ერთად მიეკუთვნება ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობის ენდოგენურ მოდულატორს. ალოპრეგნანოლონი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაემ-ერგული რეცეპტორების აქტივაციაზე [1, 3]. თავის მხრივ, გაემ-ერგული რეცეპტორების გააქტივება დამორგუნველად მოქმედებს კრუნჩხვითი რეაქციების სხვადასხვა გამოვლინებებზე. სწორედ ეს შეიძლება ედოს საფუძვლად ესტრალური ციკლის პროესტრუსის ფაზაში, ასევე ფეხმძიმობს დროს (ორივე შემთხვევაში მკვეთრად იზრდება პროგესტერონის შემცველობა სისხლში) ეპილეპსიური კრუნჩხვების ბლოკირებას [4, 8].

ნაშრომი შესრულებულია სესფ-ის გრანტის 07/6-238 მხარდაჭერით

## ლიტერატურა

1. Biggo G., Follesa P., Sanna E., Pudri R., Concas A. *Int. Rev. Neurobiol.*, 2001, 46, 421-459.
2. Frey C.A. *Int. Rev. Neurobiology*, 2008, 83, 27-77.
3. Krushinsky L.V., Molodkina L.N., Fless D.A., Dobrokhotova L.P., Steshenko A., Zorina Z.A., Romanova L.G. The functional state of the brain during sonic stimulation. In: Welch B.L. and Welch A.S. (eds.). *Physiological effects of noise*, New York: Plenum Press, 1970, 151-158.
4. Lambert J., Hamey S., Beletti D., Peters J. *Int. Rev. Neurobiol.*, 2001, 46, 421-459.
5. Reddy D.S., Kim H.Y., Rogawski M.A. *Epilepsia*, 2001, 42, 328-336.
6. Reddy D.S., Rogawski M.A. *Epilepsia*, 2001, 42, 337-344.
7. Ross K.C., Coleman J.R. *Neurosci. and Biobehav. Rev.*, 200, 24, 6, 639-653.
8. Stromberg J., Haage D., Taube M., Backstrom T., Lundberg P. *Neuroscience* 2006, 143, 73-81.

## ВЛИЯНИЕ ОВАРИЭКТОМИИ НА ТЕЧЕНИЕ АУДИОГЕННЫХ СУДОРОГ

*З.И. Нанобашвили, Н.Г. Букия, Л.И. Мачавариани, М.И. Буцхрикидзе,  
И.Г. Биланишвили, Н.А. Хизанишвили*

Центр по изучению наук о жизни, Тбилиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

На взрослых крысах (самки линии Крушински-Молодкиной) исследовали влияние беременности и овариэктомии на проявление аудиогенных судорог. Оказалось, что во время беременности судорожные реакции блокируются, а после овариэктомии происходит их усиление. Рассматривается возможный механизм усиления аудиогенных судорог после овариэктомии.

## THE INFLUENCE OF OVARIECTOMY ON THE PROCESS OF AUDIOGENIC SEIZURE

*Z.I. Nanobashvili, N.G. Bukia, L.I. Machavariani, M.P. Butskhrikidze,  
I.G. Bilanishvili, N.G. Khizanishvili*

Life Science Research Center, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

The influence of pregnancy and spay on the audiogenic seizure reaction process was studied in the full grown rats (Krushinski-Molodkina line rats). It was found that during the pregnancy the seizure reactions are depreciated. It was also observed that after the ovariectomy the significant increase of seizure reactions takes place. The presented work reviews the possible mechanism of increase of seizure reactions during the ovariectomy.



## სტრიატოლოგიაში აღვილობრივი ანესთეტიკების გამოყენების ზოგადი საკითხები

*მ. პლიასუნოვა, ნ. საყვარელიძე, თ. კეკოშვილი, ი. კვაჭაძე,  
ნ. სეფანელიძე, გ. ბეჭაძე*

თბილისის პ. შოთაძის სახ. სამედიცინო აკადემია; თბილისის სახელ-  
მწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 03.02.2011

სტრიატიაში განხილულია ადგილობრივი საანესთეზიო ნივთიერებების მოქმედების მექანიზმები და ეფექტურობა. აგრეთვე მათი ფარმაკოკინეტიკის საკითხები. განხილულია აგრეთვე ვაზოკონსტრიქტორული ნივთიერებების დამატებით გამოწვეული პიპოქსია და მისი გავლენა ნერვულ ბოჭკოთა აგზნებადობაზე.

გარდა ადგილობრივად გაუტკივარების ეფექტისა, ადგილობრივი ანესთეტიკების სხვა მრავალი ეფექტიც არის მოხსენიებული როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების, ისე ვაზოაქტიური ეფექტის თვალთახედვით.

**საკვანძო სიტყვები:** ადგილობრივი ანესთეზია, ვაზოკონსტრიქტორის კონცენტრაცია, რეცეპტორები, კატექოლამინები

საანესთეზიო ნივთიერებების უმრავლესობა ხასიათდება ვაზოდილატაციური ეფექტით, რომელიც ხორციელდება არტერიოლების გლუვკუნთოვან ელემენტებზე პირდაპირი მიორელაქსაციური მოქმედების გზით, ასევე იმ ვაზოკონსტრიქტორული ნერვული იმპულსების ბლოკადით, რომლებიც სიმპათიკური ბოჭკოებით მოდის და თავისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით C ჯგუფის ბოჭკოებს მიეკუთვნება. ასეთი მოქმედების გამო ადგილი აქვს რიგ არასასურველ მოვლენებს: სისხლდენას, საოპერაციო ველიდან ანესთეტიკის გამორეცხვას, პრეპარატის მოხვედრას სისხლის ნაკადში და მისი ტოქსიკურობის გამოვლენას.

ადგილობრივ ანესთეტიკთა ეფექტურობა განპირობებულია რეცეპტორზე მათი კონცენტრაციით, პრეპარატის დისოციაციის კონსტანტით, წყალში და ცხიმში ხსნადობის კოეფიციენტით, ნერვული ბოჭკოს მემბრანის ცილებთან პრეპარატის შეკავშირების უნარით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო პრეპარატთა ფარმაკოკინეტიკის შესწავლისას წამლის ნახევარდაშლის პერიოდს ( $t_{1/2}$ ). ეს არის დრო,

რომლის განმავლობაშიც სისხლის პლაზმაში პრეპარატის შემცველობა 50%-ს უტოლდება. ამ პროცესში მნიშვნელობა აქვს ანესთეტიკის არა მარტო გამოსვლას ორგანიზმიდან, არამედ მის ბიოტრანსფორმაციას და დეპონირებას ქსოვილებში.

ლოკალურ ანესთეტიკთა რეზორბციული ეფექტის თავიდან აცილების მიზნით და მათი მოქმედების პროლონგირებისთვის საანესთეზიო ხსნარებში ვაზოკონსტრიქტორები ემატება. ამ გზით გამოწვეული ჰიპოქსია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნერვულ ბოჭკოთა აგზნებადობაზე. ჰიპოქსიისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა მიეღინიანი ნერვული ბოჭკოები, მაშინ როცა C-ჯგუფის უმიეღინი ბოჭკოები პრაქტიკულად არ რეაგირებენ უანგზადის დეფიციტზე. რაც მეტია ბოჭკოს სისქე, მით მეტად ქვეითდება მისი აგზნებადობა ჰიპოქსიის ფონზე [1].

ვაზოკონსტრიქტორები არა მარტო ახანგრძლივებენ გამაუტიკიარებელ ეფექტს, არამედ, აძლიერებენ მას მიეღინიანი ნერვული ბოჭკოების აგზნებადობის დაქვეითების გზით. ასეთი დანიშნულებით შემდეგი კატეგორიის დამნიები გამოიყენება: ადრენალინი, ნორადრენალინი, დეჰონორდერფინი, ვაზოპრესინი, ფელიპრესინი.

დადგენილია, რომ ვაზოკონსტრიქტორის 1:250000 განზავების დროს ადგილი აქვს ქსოვილების ისეთ ჰიპოქსიას, რომლის დროსაც, მეტაბოლიზმი შეუქცევადად ირღვევა. კბილის პულპის პერიფერიული სისხლის მიმოქცევის შესწავლისას მიღებული შედეგებით, რომელიც ლაზერული დოპლერ-ფლოუმეტრიით იქნა მიღებული, უკვე 1:50000 განზავების დროს ადგილი აქვს მიკროცირკულაციის სრულ მოშლას ვაზოკონსტრიქტორის შეყვანიდან 15 წთ-ში, ხოლო 30-40 წთ-ის განმავლობაში სისხლძარღვთა სისხლსავსეობა 80%-ით დაქვეითებული რჩება [1]. ამიტომ, რეკომენდებულია ისეთი ხსნარების გამოყენება, რომლებშიც ვაზოკონსტრიქტორის კონცენტრაცია ნაკლებია.

ყელაზე ხშირად საანესთეზიო ხსნარებში ეპინეფრინი, სუპრანეფრინი, სუპრარენინი გამოიყენება, რომლებიც ამაგზნებლად მოქმედებს ალფა-1, ალფა-2, ბეტა-1 და ბეტა-2- ადრენორეცეპტორებზე. მკვეთრად გამოხატულია მათი მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემაზეც. ამ პრეპარატებით გამოწვეული ეფექტი განპირობებულია ქსოვილის ტიპით, სადაც ხდება მათი შეყვანა. სიმპატომიმეტიკების აქტივობა, მათ შორის ადრენალინის, მცირდება ანთებით ქსოვილებში არსებული აციდოზის გამო [9].

ადრენალინის ანალოგების შემცველი საანესთეზიო ხსნარების პირშიგნითა ინექციის შემთხვევაში პრევალირებს ალფა-1-ადრენორეცეპტორების აგზნება და ადგილი აქვს 30-90წთ-ით ვაზოკონსტრიქციას. თანდათან, ქსოვილებში ადრენალინის კონცენტრაცია კლებულობს და ვლინდება მისი მოქმედება ბეტა-ადრენორეცეპტორებზე, რასაც მოსდევს ვაზოდილატაცია, რომელიც 1,5-2,0 სთ ნარჩუნდება [6].

საანესთეზიო ხსნარებში ადრენალინის კონცენტრაცია ვარირებს (1:50000-1:200000). Tolas et al. მონაცემებით [10], 1 კაპსულა ლიდოკაინის 1:100000 ადრენალინის განზავებით შეყვანის შემდეგ, სისხლში ადრენალინის შემცველობა საწყის დონესთან შედარებით (39 პგ/მლ) ორმაგდება,

ხოლო ადრენალინის გარეშე არ იცვლება. სისხლში კატეპოლამინის დონე დოზადამოკიდებულია და ვლინდება რამდენიმე წუთში [5]. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სტომატოლოგიური ჩარევის დროს შეყვანილი ვაზოკონსტრიქტორის რაოდენობა ნაკლებ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ვიდრე ენდოგენური ჰორმონი [3, 7].

ქიმიური სტრუქტურის მიხედვით, ადგილობრივი ანესთეტიკები ორ ჯგუფად იყოფა – რთული ეთერები და ამიდები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ნოვოკაინი, ანესთეზინი და დიკაინი, ხოლო მეორე ჯგუფს – ლიდოკაინი, ტრიმეკაინი, მეპივაკაინი, პრილოკაინი, ბუპივაკაინი, ეტიდოკაინი და არტიკაინი.

გარდა ადგილობრივად გაუტიკვარების ეფექტისა, ადგილობრივი ანესთეტიკებს სხვა მრავალი ეფექტიც გააჩნია როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების, ისე, როგორც უკვე აღინიშნა, ვაზოაქტიური ეფექტის თვალთახედვით. ლიტერატურაში არსებული მონაცემების თანახმად, ამ უკანასკნელის (ვაზოაქტიური მოქმედების) მრავალი ასპექტი საჭიროებს დამატებით და დეტალურ კვლევას, რაც აუცილებელია პრეპარატების გამოყენებისას შესაძლო გართულებების პრევენციისთვის [1].

სტატისტიკური მონაცემებით, სტომატოლოგიური ამბულატორიული მიღების პაციენტთა დაახლოებით 30%-ს ანამნეზში სხვადასხვა ზოგადსომატური დაავადება აღენიშნება კომპენსირებულ ფორმაში [2]. ასეთ პაციენტთა მკურნალობისას ადგილობრივი ანესთეტიკების გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული გართულებები გამოიწვიოს როგორც მკურნალობის პროცესში, ისე მოგვიანებით. განსაკუთრებით, ეს ეხება რისკ-ჯგუფის პაციენტებს ღვიძლის ფერმენტების აქტიურობის დაქვეითებით, ღვიძლისა და თირკმლის დისფუნქციით, რომელთაც დარღვეული აქვთ ფარმაკოლოგიური პრეპარატების მეტაბოლიზმი და ასევე ხანდაზმულ პაციენტებს. ასეთ შემთხვევაში, სისხლში საანესთეზიო ნივთიერებების კუმულაციის და მათი ნეიროტოქსიკური მოქმედების გამოვლენის შანსი იზრდება [4, 8]. ასეთივე შედეგები შესაძლოა განვითარდეს ლოკალური ანესთეტიკების ინექციის ჩატარებისას ასპირაციული სინჯის გარეშე, შეცდომითი ინტრავასკულური შეყვანის შემთხვევაში, რაც საკმაოდ ხშირი მოვლენაა კლინიკურ პრაქტიკაში. პრეპარატის მაღალი დოზების არსებობისას, სისხლში იზრდება ლოკალური ანესთეტიკების ტოქსიკური ნევროლოგიური ეფექტების რისკი.

აღნიშნულის გამო, თანამედროვე სტომატოლოგიაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ადგილობრივი ანესთეტიკების სისხლში კუმულაციით და ზედოზირებით ინდუცირებული ნეიროტოქსიკური ეფექტის პრობლემა ფრიად აქტუალურია.

## ლიტერატურა

1. Рабинович С.А. Современные технологии местного обезболивания в стоматологии. – М.: ВУНМИЦ МЗ РФ, 2000, 144 с.

2. *Стош В.И., Зорян Е.В., Рабинович С.А., Шугаилов И.А., Лукьянов М.В.* Диагностика, профилактика и лечение неотложных состояний в амбулаторной стоматологической практике. Учебное пособие. ВУНМЦ, М., 1998, 72 с.
3. *Holroyd S.V., Watts D.T., Welsh J.T.* Oral Surg., 1960, 18, 492-503.
4. *Jacobs S., Pasheed A.M., Abdulsamat W. et al.* Respir. Care, 2003, 48, 1, 29-37.
5. *Jastak J.T., Yagiela J.A.Y., Donaldson D.* Local anesthesia of the oral cavity. Philadelphia, W.B. Saunders Company, 1995.
6. *Lindorf H.H.* Oral Surg., 1979, 48 292-297.
7. *Malamed S.F., Gagnon S., Leblanc D.* J. Am. Dent. Assoc., 2001, 132, 177-184.
8. *Malamed S.F.* Dent. Today, 2003 Apr, 22(4), 114-6, 118-121.
9. *Milan S.B. et al.* Dental Clinics of North America, 1984, 28, 493-508.
10. *Tolas A.G., Pflug A.E., Halter J.B.* J. Amer. Dent. Assoc., 1982, 104; 41-43.

## ОБЩИЕ ВОПРОСЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МЕСТНЫХ АНЕСТЕТИКОВ В СТОМАТОЛОГИИ

*М. Плясунова, Н. Сакварелидзе, Т. Кекошвили, И. Квачадзе,  
Х. Саганелидзе, Г. Бекая*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены вопросы механизмов действия и эффективности местных анестетиков, а также вопросы их фармакокинетики. Рассмотрена также вызванная добавлением вазоконстриктора гипоксия и ее эффект на возбудимость нервных волокон.

Кроме эффекта местного обезболивания, упомянуты и многие другие эффекты местных анестетиков как с точки зрения действия на центральную нервную систему, так и вазоактивности.

## GENERAL PROBLEMS OF THE USE OF LOCAL ANESTHETICS IN DENTISTRY

*M. Plyasunova, N. Sakvarelidze, T. Kekoshvili, I. Kvachadze, Kh. Saganelidze,  
G. Bekaia*

P. Shotatdze Tbilisi Medical Academy; Tbilisi State Medical University

### SUMMARY

The mechanisms of action and effectiveness of local anesthetics, as well as their pharmacokinetics are discussed. Considered as hypoxia, caused by the addition of a vasoconstrictor, and its effect on the excitability of nerve fibers is considered as well.

Besides analgesic effect, many other effects of local anesthetics, both in terms of the central nervous system and vasoactive action are mentioned.

## ინფანტილური სპაზმების პროგნოზი: ეპილეფსიის ვეოლუცია და ნევროლოგიური გამოსავალი

ლ. ყანდარელი, მ. შიშნიაშვილი, ც. სირბილაძე, თ. სამხარაძე,  
თ. ყიფიანი

ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი, თბილისი;  
მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, თბილისი

მიღებულია 01.03.2011

West-ის სინდრომი ანუ ინფანტილური სპაზმები ადრეული ჩვილობის ეპილეფსიური ენცეფალოპათიაა, რომელიც ხასიათდება ბავშვის განვითარების შეფერხებით და შექმნილი ცერებრული ფუნქციების რეგრესით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ინფანტილური სპაზმების პროგნოზის განსაზღვრა ეპილეფსიის ევოლუციის და ნევროლოგიური გამოსავლის მხრივ.

ინფანტილური სპაზმების მქონე 39 პაციენტი მკურნალობის ტაქტიკის მიხედვით დაყოფილ იქნა ორ საკვლეფ ჯგუფად: I საკვლეფ ჯგუფში შევიდა 29 პაციენტი, რომლებიც იტარებდნენ აკტ-ით მკურნალობის კურსს პერორალურ ანტიკონვულსანტთან ერთად და II საკვლეფი ჯგუფი – 10 პაციენტი მხოლოდ პერორალური მკურნალობით. მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ხდებოდა როგორც საწყისი პროგნოზის, ასევე შორეული ნევროლოგიური სტატუსის, კოგნიტური სფეროს დინამიკის და საბოლოო ეპისინდრომის შეფასების საფუძველზე (სინდრომის დიაგნოსტიკებიდან 2 წლის შემდეგ).

საკვლეფი ჯგუფების ეპილეფსიის ევოლუციის მხრივ შედარებისას მათ შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლინდა. სპაზმებამდე ნეონატალური გულყრების არსებობის და/ან სპაზმებთან ერთად გულყრის სხვა დამატებითი ტიპის გამოვლენისას ეპილეფსიის პროგნოზი უარესი აღმოჩნდა ( $p < 0.01$ ). სპაზმების ეტიოლოგიური ფაქტორი ძირითადად იყო სიმპტომური და შემდგომში ახლდა მძიმე უნარშეზღუდულობა (87.1%)

საკვანძო სიტყვები: ინფანტილური სპაზმები, ეპილეფსიური ენცეფალოპათია, ჰიფსართიმია, ეპილეფსიის ევოლუცია, ნევროლოგიური გამოსავალი

West-ის სინდრომი ანუ ინფანტილური სპაზმები არის განსაკუთრებული, მკვეთრად ასაკდამოკიდებული (სიცოცხლის პირველ წელიწადში გამოვლენილი) ეპილეფსიური სინდრომი, რომელიც ამჟამად ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ლიგის (ILAE) მიერ შეტანილია ეპი-

ლეფსიური ენცეფალოპათიების ჯგუფში (2001 წ.) ეპილეფსიური ენცეფალოპათია არის მდგომარეობა, რომლის დროს ეპილეფტიფორმული (ინტერიქტალური) აქტიურობა წარმოადგენს ცერებრული ფუნქციების პროგრესირებადი დარღვევების საფუძველს [3, 6]. West-ის სინდრომის, ამ ე.წ. “კატასტროფული ეპილეფსიის” სიმძიმე განპირობებულია არა მხოლოდ გულყრებით, არამედ დიფუზური და მუდმივი ეპილეფტიფორმული გამოვლინებით ეპი-ზე; ჰიფსართიმით, რაც იწვევს ეპილეფსიურ ენცეფალოპათიას [12]. ეტიოლოგიური ფაქტორი და თვით ეპილეფსია ერთობლივად განაპირობებენ ინფანტილური სპაზმების პროგნოზს. დიაგნოზი ეფუძნება ამ სინდრომისთვის დამახასიათებელ გულყრის ტიპს (ეპილეფსიური სპაზმი), ჰიფსართიმის ეპი-პატერნს (დეიბილში) და ფსიქო-მოტორულ რეგრესს [4].

მიუხედავად იმისა, რომ 150 წელი გავიდა ინფანტილური სპაზმების აღწერიდან, ჯერ კიდევ მცირე პროგრესია ამ სინდრომის შეცნობასა და მკურნალობაში [2]. არ არის დაზუსტებული, რამდენი შემთხვევაა აღწერილი, როგორია ოპტიმალური თერაპია, რა როლი ენიჭება ეპილეფსიას და ტვინის რა დაზიანებაა პროგნოზის თვალსაზრისით. ეპილეფსიური ენცეფალოპათიების მკურნალობის ტაქტიკა, სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, შედარებით აგრესიულია და მოიცავს როგორც გულყრების კონტროლს, ასევე ეპილეფტიფორმული აქტიურობის დათრგუნვას ეპი-ზე, რაც მკვეთრად აუმჯობესებს ნევროლოგიურ და კოგნიტიურ განვითარებას [1, 10]. აგრესიული მკურნალობა მოიცავს სტეროიდებით თერაპიას რამდენიმე კვირის ან თვის მანძილზე და ასევე ანტიკონვულსანტებით მკურნალობას, ხშირად ძალიან მაღალი დოზებით, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან [5, 11].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ინფანტილური სპაზმების პროგნოზის განსაზღვრა ეპილეფსიის ევოლუციის და ნევროლოგიური გამოსავლის მხრივ.

## მასალა და მეთოდები

შრომა ეფუძნება 2007-2009 წლებში მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს “პედიატრიული ნევროლოგიისა და ეპილეფსიის დეპარტამენტსა” და “ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრში” დაკვირვების ქვეშ მყოფი ინფანტილური სპაზმების მქონე 39 პაციენტის შედეგებს. პაციენტები მკურნალობის ტაქტიკის მიხედვით დაიყო ორ საკვლევ ჯგუფად: I საკვლევ ჯგუფში შევიდა 29 პაციენტი (74,4%), რომლებთანაც მკურნალობა ტარდებოდა ადენოკორტიკოტროპული ჰორმონით (აპტჰ) პერორალურ ანტიკონვულსანტებთან ერთად. II საკვლევ ჯგუფში – 10 პაციენტი (25,6%), რომლებიც იღებდნენ მხოლოდ პერორალურ ანტიკონვულსანტებს.

ჩატარებული ნეიროვიზუალური კვლევების (CT, MRI) საფუძველზე გამოყოფილ იქნა ორი ეტიოლოგიური ფაქტორი: სიმპტომური და კრიფტოგენური.



აპტჰ-ით (სინთეზური დეპონირებული, ტეტრაკოზაქტრინი, Synacthen) მკურნალობის კურსი Vigevano-ს სქემის მიხედვით ტარდებოდა ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო “რესპუბლიკას” ნერულ განყოფილებაში.

- ინფანტილური სპაზმების დეპონირებული აპტჰ-ით მკურნალობის სქემა [14]:
- 2 მგ/კგ/დღეში 14 დღე, ყოველდღე ან სულ ცოტა 7 დღე, სპაზმების შეწყვეტის და ჰიფსართიმის მოხსნის შემდეგ.
  - 2 მგ/კგ/დღეში 2 კვირის მანძილზე, დღეგამოშვებით (7 ინექცია).
  - 2 მგ/კგ/დღეში ყოველ მესამე დღეს (5 ინექცია).

(1 მლ შეიცავს 40 U-ს, კეთდება ინტრამუსკულარულად).

მეხ კვლევა ტარდებოდა Nicolet-ის ფირმის (აშშ) ციფრული ელექტროენცეფალოგრაფიით რამდენიმეჯერ: სინდრომის დიაგნოსტიკებისას, მკურნალობის დაწყების ფონზე გულყრების კუპირებისას, I საკვლევ ჯგუფში აპტჰ-ს ფონზე გულყრების კუპირებიდან დამატებით 1 კვირაში და 1 თვეში; ორივე საკვლევ ჯგუფში შემდგომ 3 თვიანი ინტერვალებით, რაც საშუალებას იძლეოდა შეფასებულიყო საბოლოო ეპილეფსიური სინდრომის ჩამოყალიბება დაკვირვების დაწყებიდან ორი წლის მანძილზე.

საბოლოოდ, მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ხდებოდა როგორც საწყისი პროგნოზის (ერთი თვის მანძილზე ეპილეფტიფორმული აქტიურობის სუპრესიის და გულყრების კუპირების), ასევე შორეული ნევროლოგიური სტატუსის, კოგნიტიური სფეროს დინამიკის (ჩვილის განვითარების შეფასების Bayley-ს შკალა) და საბოლოო ეპისინდრომის შეფასების საფუძველზე.

ნევროლოგიურ-კოგნიტიურ სტატუსზე და ეპილეფსიის დინამიკაზე დაკვირვება ხდებოდა სინდრომის დიაგნოსტიკებიდან 2 წლის მანძილზე. პროგნოზის მხრივ, ორივე საკვლევ ჯგუფში ეპილეფსიის ევოლუციის შესაფასებლად ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით [9, 13, 14], გამოყოფილ იქნა სამ-სამი ქვეჯგუფი: I – მძიმე ეპილეფსიური სინდრომები, რომელშიც შეყვანილ იქნა გენერალიზებული ეპილეფსიური სინდრომის ჩამოყალიბება ან ინფანტილური სპაზმების გადასვლა Lennox-Gastaut-ის სინდრომში, II – საშუალო სიმძიმის სინდრომები – პარციალური ეპილეფსიის ჩამოყალიბება, III ჯგუფი – გულყრების სრული კუპირება.

მოტორული განვითარების შესაფასებლად გამოიყენებოდა Milani-Compart-ის სკრინინგ-ტესტი [7]. შორეული ნევროლოგიური სტატუსი 2 წლის ასაკისთვის ცერებრული დამბლის არსებობის შემთხვევაში ფასდებოდა ცერებრული დამბლის სიმძიმის მიხედვით Russman და Gage-ის (1989) კლასიფიკაციით (მსუბუქი, საშუალო, მძიმე) [8].

მასალის სტატისტიკური დამუშავება მოხდა SPSS კომპიუტერული პროგრამით (ვერსია 11.0)

## შედეგები და გამოი განხილვა

West-ის სინდრომის მქონე 39 პაციენტიდან 22 იყო ვაჟი (56.4%) და 17 გოგონა (43.6%) (1.3:1). სინდრომის დიაგნოსტიკა ხდებოდა გულყრის



ტიპის – ინფანტილური სპაზმის ამოცნობით (ვიდეო ან ემბ-იქტალური კორელატით), ეპილეფტიფორმული კორელატის – ღვიძილში ჰიფსარიტომის ან ძილში “ფსევდოპერიოდული” პატერნის დაფიქსირებით და კლინიკურად ფსიქო-მოტორული რეგრესის არსებობის შეფასებით.

ინფანტილური სპაზმების დაწყების ასაკი მერყეობდა 4-დან 10 თვემდე. ყველაზე ხშირი იყო 6-7 თვის ასაკში დაწყება.

სპაზმების უხშირესი ტიპი იყო ფლექსორული – 31 შემთხვევა, შერეული ტიპის სპაზმები აღენიშნა 5 ავადმყოფს, ხოლო მხოლოდ ექსტენზორული – 3-ს, ამ სამიდან ერთი იყო ტუბეროზული სკლეროზით. სპაზმების ტიპების მიხედვით პროგნოზული კორელაციის დადგენა არ ჩატარებულა ამ კრიტერიუმით გამოყოფილი შემთხვევების რაოდენობრივი სიმცირის გამო.


ჰიფსარიტომის დიაგნოსტიკებისას მძიმე კოგნიტიური შეფერხება (Bayley-ს შკალით) გამოვლინდა 91,8%-ში, საშუალო – 5,8%-ში და მსუბუქი – 2,6%. West-ის სინდრომის მხოლოდ ერთი შემთხვევა (2,6%) შეფასდა კრიფტოგენურად (MRI-პათოლოგიის გარეშე), რომელსაც სპაზმების დაწყებამდე არ აღენიშნებოდა ნევროლოგიური დეფიციტი, ხოლო მენტალური შეფერხება სინდრომის დიაგნოსტიკებისას იყო მსუბუქი. ამ პაციენტთან 1,5 წლის ასაკისთვის კოგნიტიური დისფუნქცია არ გამოვლინდა. ორი შემთხვევა ასოცირებული იყო ფენილკეტონურიასთან, სადაც დიეტოთერაპიით და ანტიკონვულსანტით მკურნალობის ფონზე კოგნიტიური სფერო 2 წლის ასაკისთვის შეესაბამებოდა ნორმის ქვედა ზღვარს.

მკურნალობის ტაქტიკის მიხედვით გამოყოფილ ორივე საკვლევ ჯგუფზე ეპილეფსიის ევოლუციის თვალსაზრისით დაკვირვება ხდებოდა სინდრომის დიაგნოსტიკებიდან 2 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ I საკვლევ ჯგუფში გულყრების კუპირება და ეპილეფტიფორმული აქტიურობის სუპრესია ძირითადად მიღწეულ იქნა პორმონით მკურნალობის დაწყებიდან პირველი კვირის მანძილზე. მხოლოდ 4 პაციენტს ჩაუტარდა განმეორებითი კურსი რელაფსის გამო. პორმონით მკურნალობის შეწყვეტა გართულებების გამო აღინიშნა 16,1%-ში, ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პნევმონიას. რაც შეეხება შორეულ პროგნოზს, აღმოჩნდა, რომ I საკვლევ ჯგუფში შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: მძიმე ეპილეფსიური სინდრომი გამოვლინდა 41,4%-ში (12 შემთხვევა), საშუალო – 20,7%-ში (6 შემთხვევა), გულყრების კუპირება მოხდა 37,9%-ში (11 შემთხვევა). II საკვლევ ჯგუფში შესაბამისად მძიმე ეპილეფსიური სინდრომი გამოვლინდა 30%-ში (3 შემთხვევა), საშუალო – 40%-ში (4 შემთხვევა), კუპირება მოხდა 30%-ში (3 შემთხვევა). თუმცა, მთლიანობაში ყველა შემთხვევის შედეგის შეფასებით ეპილეფსიის ევოლუციის მხრივ, სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა I და II ჯგუფს შორის არ გამოვლინდა (გრაფიკი I).

შემთხვევათა 11,1%-ში West-ის სინდრომი გადავიდა Lennox-Gastaut-ის სინდრომში.


ინფანტილური სპაზმების მქონე ავადმყოფებიდან ნაწილს, რომელთაც ანამნეზში სპაზმების დაწყებამდე აღენიშნებოდათ ნეონატალური გულყრები ან სპაზმების გარდა გულყრის სხვა დამატებითი ტიპი ან ორივე

ერთად (23 შემთხვევა – 58,9%), პროგნოზი ეპილეფსიის ევოლუციის მხრივ უარესი გამოუვლინდათ, ვიდრე დანარჩენებს (16 შემთხვევა – 41,1%).



სურ. 1.

ნეონატალური გულყრების მქონე 23 პაციენტიდან ეპილეფსიის ევოლუციის მხრივ შემდგომში მძიმე ეპილეფსია გამოუვლინდა 47,8%-ს (11 შემთხვევა), საშუალო სიმძიმის – 43,5%-ს (10 შემთხვევა), გულყრების კონტროლი მოხერხდა 8,7%-ში (2 შემთხვევა). ნეონატალური გულყრების გარეშე ვესტის სინდრომის მქონე 16 პაციენტიდან მძიმე ეპილეფსია შემდგომში განუვითარდა 25%-ს (4 შემთხვევა), საშუალო – 0%-ს (0 შემთხვევა), გულყრები კუპირებულ იქნა 75%-ში (12 შემთხვევა). ამრიგად, ეპილეფსიის ევოლუციის თვალსაზრისით, ინფანტილური სპაზმების პროგნოზს ამძიმებს სპაზმებამდე ნეონატალური გულყრების ან სპაზმების გარდა სხვა ტიპის გულყრების არსებობა, რაც სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა ( $p < 0,01$ ) (გრაფიკი II).



სურ. 2.

West-ის სინდრომის 39 შემთხვევიდან სხვადასხვა სიმძიმის ცერებრული დამბლები Russman და Gage-ის კლასიფიკაციით 2 წლის ასაკისთვის გამოვლინდა 87.1%-ში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ადრეული

ჩვილობის ეს ეპილეფსიური ენცეფალოპათია ძირითადად სიმპტომურია და ასოცირებულია მძიმე უნარშეზღუდულობასთან.

მიღებული შედეგების მიხედვით, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ:

1. აბტჰ და მხოლოდ პერორალური მკურნალობის შემთხვევების შედარებისას (I და II საკლასი ვეგუფები) ეპილეფსიის ევოლუციასთან კორელაციაში სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლინდა, თუმცა პორმონით მკურნალობისას გულყრების კუპირების სისშირე შედარებით უფრო მაღალი აღმოჩნდა.
2. ეპილეფსიის ევოლუციის თვალსაზრისით, ინფანტილური სპაზმების პროგნოზი უარესი აღმოჩნდა სპაზმებამდე ნეონატალური გულყრების არსებობის და/ან სპაზმებთან ერთად გულყრის სხვა დამატებითი ტიპის გამოვლენასას ( $p < 0.01$ ).
3. სპაზმების ეტიოლოგიური ფაქტორი ძირითადად იყო სიმპტომური და 2 წლის ასაკისთვის ახლდა მძიმე უნარშეზღუდულობა (87.1%-ში).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფანტილური სპაზმები ძირითადად სიმპტომური გენეზისაა [11]. ამ ეპილეფსიური ენცეფალოპათიის მკურნალობაში ამჟამად პრიორიტეტულია ადენოკორტიკოტროპული პორმონით მკურნალობა, თუმცა კვლევები ამ მხრივ კვლავ გრძელდება [10].

## ლიტერატურა

1. *Appleton R.E.* Epilepsy problem solving in clinical practice, 2000, 325-335.
2. *Baram T.Z.* Ann. Neurol., 1993, 33, 231-236.
3. *Blume W.T., Luders H.O., Mizrahi E., Tassinari C., van Emde B.W., Engel J.* Epilepsia, 2001, 42, 1212-1218.
4. *Chiron C., Dumas C., Jambaque I., Humford J. et al.* Epilepsia Res., 1997, 26, 389-395.
5. *Dulac O.* Brain Dev., 2001, 23, 447-452.
6. *Engel J.* Epilepsia, 2001, 42, 796-803.
7. *Milani-Comparetti.* Motor Development Screening Test for Infants and Young Children. A Manual. University of Nebraska Medical Center. 1998.
8. *Miller G., Clark G.D.* The Cerebral Palses, Causes, Consequences, and Management. Boston, Butterworth-Heinemann, 1998.
9. *Panayiotopoulos C.P.* A Clinical Guide to Epileptic Syndromes and their Treatment. 2002. Bladon Medical Publishing.
10. *Peltzer B., Alonso W.D., Porter B.E.* J. Child Neurol., 2009, 24(4), 400-405.
11. *Riikonen R.S.* Eur. J. Paediatr. Neurol., 2009, 10.
12. *Stephani U.* European Journal of Paediatric Neurology, 2001, 5(5), A62.
13. *Stephen L.J., Broie M.J.* Epilepsia, 2000, 45(1), 1-4.
14. *Vigevano F., Fusco L., Pachatz C.* Brain Dev., 2001, 23, 467-472.

## ПРОГНОЗ ИНФАНТИЛЬНЫХ СПАЗМОВ: ЭВОЛЮЦИЯ ЭПИЛЕПСИИ И НЕВРОЛОГИЧЕСКИЙ ИСХОД

*Л. Кандарели, М. Шиш尼亚швили, Ц. Сирбиладзе, Т. Самхарадзе, Т. Кипиани*

Центр детской неврологии и нейрореабилитации, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Инфантильные спазмы (синдром West-a) – это эпилептическая энцефалопатия младенчества, которая манифестируется задержкой развития и регрессом приобретенных церебральных функций у детей.

Цель исследования: изучение прогноза инфантильных спазмов с точки зрения эволюции эпилепсии и неврологического исхода.

39 больных с синдромом West-a поделили на две экспериментальные группы: I группа – 29 больных, которым проводилось лечение аденокортикотропным гормоном (АКТГ) вместе с пероральными антиконвульсантами и II группа – 10 больных только с пероральными антиконвульсантами. Оценивалась эффективность лечения с точки зрения эволюции эпилепсии и неврологического исхода, наблюдение проводилось в течение 2-х лет после диагностики синдрома.

Через 2 года тяжелый эпилептический синдром в I группе оказался в 41.4%, средней тяжести – 20.7%, приступы были купированы в 38.9%; во II группе, соответственно, 30%, 40%, 30%. Статистически достоверной разницы между двумя группами с различными типами лечения не выявилось. Прогноз оказался более тяжелым при наличии неонатальных припадков в анамнезе и/или других типов припадков одновременно со спазмами ( $p < 0.01$ ). В большинстве случаев этиологический фактор был симптомным и церебральный паралич разной степени тяжести был установлен в 87.1%.

## PROGNOSIS OF INFANTILE SPASMS: EVOLUTION OF EPILEPSY AND NEUROLOGICAL OUTCOME

*L. Kandareli, M. Shishniashvili, Ts. Sirbiladze, T. Samkharadze, T. Kipiani*

The Center for Child Neurology and Neurorehabilitation, Tbilisi

### SUMMARY

West syndrome (infantile spasms) is the most common epileptic encephalopathy of early infancy, which is manifested in developmental delay and regression of acquired cerebral functions in children.

The goal of the research was the investigation of the prognosis of this syndrome in evolution of epilepsy and neurological outcome.

Total of 39 patients with infantile spasms were divided into two groups according to the following criteria: the I group (29 patients) treated with adencorticotrophic hormone (AKTH) therapy and the II group (10 cases) – undergo the treatment with oral anticonvulsants only. We have observed the evolution of epilepsy and neurological outcome during 2 years after the qualification of epileptic encephalopathy.

According to our data, after 2 years, in the I group severe epilepsy was observed in 41.4% of cases, in 20.7% – moderate severity and in 37.9% – was achieved the control of seizures. In the II group severe epileptic syndrome was established in 30% of cases, moderate – in 40% and in 30% of cases was achieved the control of seizures. The differences between these two groups with different types of treatment have not been revealed. Cases with history of neonatal seizures were associated with the worst prognosis for the evolution of epilepsy ( $p < 0.01$ ).

The incidence of symptomatic etiology was high and cerebral palsy of different severities (by Russman and Gage) appeared in 87.1% of cases.

## EFFECTS OF EXERCISE INTENSITY ON LEUKOCYTE COUNT AND SUBPOPULATION IN YOUNG NON ACTIVE MEN

*E.A. Shojaei, A. Farajov\*, A. Jafari\*\*, A. Gaziyev\**

Tuberculosis and lung diseases research centre, Tabriz university of Medical Sciences, Tabriz, Iran; \* Institute of physiology, National Academy of Sciences, Baku, Azerbaijan; \*\* University of Tabriz, Tabriz, Iran

Accepted 24.01.2011

Leukocytes – the mobile units of the protective system of the body, may circulate freely in the blood, adhere to the vascular endothelium in sites where blood flow is relatively slow and then once again re-enter the circulation in a process of continuous exchange. This process of continuous exchange of leukocytes is influenced by proper stimulation such as exercise. This study was done to determine the effects of intensity and duration of exercise on total leukocyte count. Ten normal healthy male adults were exercised on Cycle ergometer in two sessions with one week separately.

It is clearly reflected by this study that the magnitude of exercise-induced leukocytosis is higher in exercise of more intensity and less duration.

**Key words:** exercise intensity, leukocyte, adult men

Leukocytosis – an increase of leukocytes in the circulation in response to acute psychological stress or short-term intensive exercise, is a well-documented phenomenon [1]. It is well documented that, intensive exercise or acute psychological stress induces increase in circulation of leukocytes [10].

Sedentary individuals of all ages will achieve significant improvements in physical working capacity by performing appropriate type of exercise at the proper intensity, duration and frequency [10]. The ability of exercise to alter the immune system of adults has been well documented in the literature [1]. The leukocytes are the mobile units of the protective system of the body [4]. The well known phenomenon of leukocytosis is induced by exercise [11].

The change in peripheral leukocyte number is assumed to be diagnostically informative and may be a prognostic marker, reflecting organ damage and restoration after strenuous physical exercise [6]. The intensity of leukocytosis is proportional to the intensity of work and duration of exercise [7], independent of gender and subject fitness level [8].

## MATERIAL AND METHODS

This study was conducted at the Department of Physiology, Faculty of Medicine, Tabriz University of Medical Science. Twelve subjects were selected from the students, according to the following criteria:

- normal healthy male adult subjects with no disease or positive clinical findings,
- age ranging from 18 to 23 years,
- BMI range between 18 and 25,
- non-smokers,
- living in Tabriz medical university campus,
- taking any medication.

All of the experiments in this study were performed between 9:00 to 10:00 A.M, to avoid possible circadian fluctuations in the blood concentrations of leukocytes. On the experimental day, a general physical examination of each volunteer was made by physician.

### *Exercise protocol*

The selected subjects were performed two session exercise on cycle ergometer (Ergometrics 800S, SensorMedics, Yorba Linda, USA), as follows:

#### *Session-I*

The cycling exercise was performed by moderate intensity for duration of 45 minutes (in addition 3 min warm up and 5 min cool down).

#### *Session-II*

The cycling exercise was performed by intense severity for duration of 10 minutes (in addition 3 min warm up and 5 min cool down) after one week separately (washout period).

Blood sample was drawn from an antecubital vein (2.5 ml) before (PRE) and immediately after (POST) the exercise. Immediately after collection, blood samples send for CBC-HI analyses red blood cells (RBC), total and differential leukocytes count as well as hemoglobin (Hgb) and hematocrit (Hct) levels were determined by automatic blood analyzer (Technicon H1, Technicon, Tarrytown, NY, USA).

Leukocyte count changes were adjusted for percentage changes in blood volume, whereas plasma and serum variables were adjusted according to percentage changes in plasma and blood volume, as calculated from hemoglobin and hematocrit [8].

### *Statistical analysis*

Data were expressed as means ( $\pm$  SD). The parameters differences between before and after exercise protocol were analyzed by paired student's t-test. All statistical analyses were performed using the SPSS statistical software package (SPSS version 15.0 for Windows, SPSS Inc., Chicago, IL, USA). The significance level was set at  $\alpha < 0.05$ .

## RESULTS

Sociophysiological characteristics of subjects shown in table 1, and the pre- and post-exercise total leukocyte counts in both sessions are shown in tables 2 and 3.



**The characteristics of the ten subjects**

Variables	Age (year)	Height (cm)	Weight (kg)	Body Fat (%)	BMI (kg/m <sup>2</sup> )	VO <sub>2max</sub> (ml/kg/min)	AT* (%)
